ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№251 (12 626) 25 ოქტომბერი შაბათი 2008 ფასი 50 თეთრი

## 20 საათზე გელით დიეგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილეთები **50 ლარი** ღირს

# დიდი ხალხის დღე



# ჩივაძის დავალება

# მარადონას ისევ სულაქველიძე დაიჭერს

» 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია

# დიეგოს საჩუქარი

## მარადონამ ჩივაძე და სულაქველიძე გაიხსენა. თბილისში ქართულ-არგენტინული საფეხბურთო მომზადების ცენტრი გაიხსნება, მწვრთნელებს კი მარადონა გამოგზავნის

**დიეგო მარადონას** ქართული მისია მხოლოდ ოთხდღიანი სტუმრობით არ შემოიფარგლება. **ნიკო პატარქალიშვილის** იდეას დიეგომ მხარი დაუჭირა და გადაწყდა, რომ თბილისში დაფუძნდება ქართულ-არგენტინული საფეხბურთო მომზადების ცენტრი, რომელშიც მარადონას თანამემამულე მწვრთნელები ქართველ ჭაბუკებს მოამზადებენ. მერე რეგიონებში ფილიალების გახსნაცაა ჩაფიქრებული. მწვრთნელებს თავად დიეგო გამოგზავნის. სწორედ ამ თემას მიეძღვნა გუშინ გამართული პრესკონფერენცია.

მარადონას გარდა, მედიის წინაშე **ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე** და ნიკო პატარქალიშვილი წარდგნენ. თავიდან პროექტზე პატარქალიშვილმა ისაუბრა:

*„დღეისთვის, არგენტინაში ათი ქართველი ჭაბუკი ემზადება. 2009 წლის ივნისში თბილისში გვსურს, ჩავატაროთ საერთაშორისო ოთხთა ტურნირი, რომელშიც არგენტინის, ბრაზილიის, ურუგვაისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებები მიიღებენ მონაწილეობას. ამ ტურნირში არგენტინაში მომზადებული ჭაბუკები იასპარეზებენ და მათი მომზადების დონეში ყველა დარწმუნდება. დიდი სურვილი გვაქვს, ამ ტურნირს დიეგო მარადონაც დაესწროს და ვფიქრობ, ამაზე შევთანხმდებით კიდეც. ქართულ-არგენტინული საფეხბურთო მომზადების ცენტრის გახსნის თაობაზე მარადონამ სრული მხარდაჭერა აღმითქვა. თავდაპირველად, ეს ცენტრი თბილისში გაიხსნება, მერე კი რეგიონებშიც. გპირდებით, რომ ამ ცენტრის გახსნიდან ორ წელიწადში საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებისთვის ათობით ახალგაზრდა ფეხბურთელი მომზადდება. შაბათის მატჩზე დასწრება მხოლოდ მარადონასა და მისი გუნდის თამაშის ნახვა კი არა, ამ პროექტისადმი მხარდაჭერაცაა. ეს მატჩი მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში გადაიცემა. მოდით სტადიონზე და ყველას დავანახვოთ, რომ საქართველოში დიდ პატივს სცემენ დიეგო მარადონასა და არგენტინის ნაკრებს".*

პატარქალიშვილმა სიტყვა მარადონას გადასცა. „გაუმარჯოს საქართველოს"! - ქართულად წარმოთქვა დიეგომ და პატარა შესავალი გააკეთა:

*„ნიკო უკვე მესაუბრა ამ პროექტის დეტალებზე. ეს ჩინებული ჩანაფიქრია და ქართული ფეხბურთის განვითარებას წაადგება. მზად ვარ, ამ პროექტს მხარი დავუჭირო"* - აღნიშნა მარადონამ.

ამის მერე მან მხოლოდ ერთ კითხვაზე გვიპასუხა:

**- თქვენს გვერდით ქართული ფეხბურთის ლეგენდები, ალექსანდრე ჩივაძე და თენგიზ სულაქველიძე სხედან. თავის დროზე მათ წინააღმდეგ გითამაშიათ. თუ გაიხსენეთ ისინი და რა შეგიძლიათ, გვითხრათ მათზე?**

- დიახ, გავიხსენე. ჩვენ პრესკონფერენციამდე შევხვდით ერთმანეთს. ადრე ისინი რუსებად მიმაჩნდნენ, ახლა კი ვიცი, რომ ქართველები არიან. არგენტინისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებთა მატჩები გავიხსენეთ... მას მერე წლები გავიდა. მათ ასაკი ეტყობათ, თუმცა ძველებური იერი დღემდე შემორჩენილი აქვთ.

პრესკონფერენცია ამით დასრულდა. არგენტინელებმა ეროვნულ სტადიონზე კიდევ ერთი წვრთნა გამართეს. დიეგომ ძველი დრო გაიხსენა და ტრიბუნაზე შეკრებილ ასობით გულშემატკივარს აპლოდისმენტებიც მოსწყვიტა. ამბობდნენ, თითქოს კლაუდიო კანიჯას ფეხი სტკივა და ვერ ითამაშებსო, მაგრამ მერე გაირკვა, რომ ისიც მოედანზე იქნება.

როგორც გავიგეთ, საქართველო-არგენტინის ვეტერან ფეხბურთელთა მატჩზე დასასწრები 50-ლარიანი ბილეთები უკვე გაყიდულია. ეს მარადონასაც აცნობეს, რის შემდეგაც სტუმარმა ქართველი გულშემატკივრების დასაჩუქრება გადაწყვიტა.

*„საქართველოში დიდი სითბო და სიყვარული ვიგრძენი. კარგად ვიცი, რომ ომმა ქართველი ხალხი დაამწუხრა, მორალურად და მატერიალურად აზარალა. ვიცი, ჩემდამი ინტერესი დიდია, ხალხს კი ფინანსურად უჭირს და მინდა, მათ საჩუქარი გავუკეთო. სტადიონი ისეთია, ნებისმიერი ადგილიდან კარგად შეიძლება თამაშის ყურება. უკვე შევთანხმდი ორგანიზატორებთან და დარჩენილი ყველა ბილეთი (მათ შორის 150-ლარიანი -ავტ) თამაშის დღეს 50 ლარად გაიყიდება"* - განაცხადა მარადონამ.

და ბოლოს, არგენტინელთა სამატჩო განაცხადიც: **სერხიო გოიკოეჩეა, ფერნანდო კასერესი, ლუის მედერო, დიეგო სონორა, ალეხანდრო მანკუსო, ექტორ ალმანდოსი, კლაუდიო კანიჯა, მატიას ალმეიდა, ალბერტო აკოსტა, დიეგო მარადონა, ხუან ხოსე ბორელი, ლეონარდო რუისი, მარსელო გომესი, გაბრიელ ამატო, ალბერტო კარანსა, ხოსე ფლორესი.**

**დავით ცაბაძე**

# მარადონას ისევ სულაქველიძე მიხედავს

## შოთა არველაძე და გოგა გახოკიძე დღეს ჩამოფრინდებიან

გუშინ პირველად ჩვენმა ვეტერანებმა ივარჯიშეს. ნაკრების მწვრთნელებმა - **ალექსანდრე ჩივაძემ, რევაზ ძოძუაშვილმა** და **მურთაზ ხურცილავამ** 16 საათზე გუნდი ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" შეკრიბეს. ჩივაძე მოთამაშე-მწვრთნელის ამპლუაშია, მეკარე **ოთარ გაბელია** „ორკარას" დროს სასტარტოში კი იყო, მაგრამ არა მეკარედ, არამედ მცველად ითამაშა და, სხვათა შორის, კარგადაც გამოიყურებოდა. ჩივაძემ **თენგიზ სულაქველიძეს** განუცხადა - სანამ შეგეძლება, მარადონას პერსონალურად უნდა ეთამაშოო.

„ორკარაში" **არჩილ არველაძე** გრიპის გამო არ მონაწილეობდა. ვარჯიში დასასრულს უახლოვდებოდა, როცა არგენტინელები გამოჩნდნენ. „მარადონას მსტოვრებმა" მოსვლისთანავე იკითხეს - რომელია სულაქველიძე, არველაძეები, ნემსაძე, შელია, ჯამარაული... ვარჯიშის დამთავრების შემდეგ ჩვენებს გავესაუბრეთ...

*„სანახაობრივად ძალიან კარგი თამაში იქნება. მარადონას ჩამოსვლამ გულშემატკივრებს ყველა ტკივილი და პრობლემა დაავიწყა. სწორედ ესაა ფეხბურთის ხიბლი. მჯერა, ხვალ ქომაგები გაიხარებენ... ლეგენდარული დიეგო მარადონას წინააღმდეგ თამაში ჩემთვისაც დიდი პატივია, დღეს ჩემი ვაჟი თანატოლებს ეუბნებოდა - აზრზე ხართ, მამაჩემმა მარადონა უნდა გაიცნოსო..."* - გვითხრა **გოჩა ჯამარაულმა.**

*„მარადონა მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდაა. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე მის წინააღმდეგ მომიწევდა თამაში. ეს დღე არასდროს დამავიწყდება"* - თქვა მეკარე **ირაკლი ზოიძემ.**



ეროვნული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი **კახი გოგიჩაიშვილი** მარადონას წინააღმდეგ სათამაშოდ საგულდაგულოდ ემზადება: *„მარადონა ჩემი კერპია. მისი ჩამოსვლა კი საერთოდ სასწაულია. მის წინააღმდეგ თამაში ჩემთვის წარმოუდგენელი იყო. მადლობა ამ პროექტის ორგანიზატორებს".*

**რევაზ არველაძე** კი ემოციურ მუხტს უსვამს ხაზს: *„ეს თამაში თითოეული ქართველისთვის, ტრიბუნაზე იქნება, ტელეეკრანებთან თუ მოედანზე, ემოციებითაა სავსე. დარწმუნებული ვარ, ჩინებული სანახაობა იქნება და 25 ოქტომბრის საღამო ყველასათვის საფეხბურთო ზეიმი და დაუვიწყარი დღე იქნება".*

ახლა ვნახოთ, რას ფიქრობენ მწვრთნელები. ჩივაძემ, ბევრი თავსატეხი გვაქვსო.

- ჩვენი ფეხბურთელები მონდომებულები არიან. იმდენი კარგი მოთამაშე გვყავს, როგორ გინდა სასტარტო შემადგენლობის დაყენება?

**- მარადონას წინააღმდეგ კვლავ სულაქველიძე ითამაშებს?**

- რა თქმა უნდა. დიეგოს არ ეგონოს, რომ ხვალ იოლი გასეირნება ელის (იცინის)... ხუმრობა იქით იყოს და, 25 ოქტომბერი მთელი საქართველოსთვის დიდი საფეხბურთო დღესასწაულია, ამას ყველა შეიგრძნობს. ძალიან მინდა, ტრიბუნაზე ბევრი ბავშვი იყოს. მათ უნდა ნახონ და შეიგრძნონ ფეხბურთის ხიბლი. ნახონ, თუ როგორ თამაშობდნენ მარადონა, კანიჯა, გოიკოეჩეა... ბავშვებისთვის, მომავალი ფეხბურთელებისთვის ამაზე დიდი სკოლა არ არსებობს.

ძოძუაშვილს კონტრტაქტიკა მოფიქრებული აქვს:

- მეტოქე უკვე გაშიფრული გვყავს. წელან მარადონას მსტოვრებმა კი შემოიჭყიტეს ჩვენს ვარჯიშზე, დაგვზვერეს, მაგრამ ჩვენ ყველა კარტი არ გაგვიხსნია. არგენტინელების წინააღმდეგ კონტრტაქტიკა უკვე შემუშავებული გვაქვს და ეს თამაშში გამოჩნდება. ერთმანეთს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში არ ვხვდებით, მაგრამ გპირდებით, გულშემატკივარს დიდი სანახაობა ელის. ასე რომ, მოდით სტადიონზე, დატკბით არგენტინელი და ქართველი ვარსკვლავების თამაშით, ნახეთ ნამდვილი ფეხბურთი და ისიამოვნეთ.

გაბელია მარადონას სულაც არ უფრთხის და გვპირდება, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა მარადონას ბურთი არ გაატანინოს...

- მარადონა ფეხბურთში მოვლენაა. ასეთ სასწაულს ღმერთი საუკუნეში ერთხელ თუ გვიბოძებს. რამდენიმე ქართველს უთამაშია მარადონას წინააღმდეგ, მე კი ხვალ პირველად მერგება ეს პატივი (იცინის)... ყველაფერს გავაკეთებ, რომ დიეგოს გოლი არ გავატანინო.

**- გვპირდებით?**

- თავს ვერ დავდებ, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ. თუ მაინც გაიტანა, არც ეს მეწყინება... საამაყოდ მექნება, მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ გოლი გამიტანა-მეთქი, ვიტყვი (იცინის)...

როგორც გავიგეთ, **შოთა არველაძე** და **გოგა გახოკიძე** დღეს ჩამოფრინდებიან და აეროპორტიდან პირდაპირ სტადიონს მიაშურებენ. ჩვენი გუნდის განაცხადი კი ასეთი იქნება: **ოთარ გაბელია, ნიკა ჩხეიძე, ირაკლი ზოიძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ შელია, გიორგი ჩიხრაძე, ალექსანდრე რეხვიაშვილი, გიორგი ლუდუშაური, თენგიზ სულაქველიძე, რევაზ არველაძე, გოგა გახოკიძე, გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული, გელა ინალიშვილი, კახი გოგიჩაიშვილი, გიორგი ანჩაბაძე, შოთა არველაძე, არჩილ არველაძე.**

საქართველო-არგენტინის ვეტერან ფეხბურთელთა მატჩი ეროვნულ სტადიონზე 20 საათზე დაიწყება. ყველა ბილეთის ფასი 50 ლარია.

**დავით ცაბაძე**



### გახსოვს შეხვედრა ამსტერდამში?

### დიეგო არველაძეებს გადაეხვია

**დიეგო მარადონა** ეროვნული სტადიონის გასახდელში ძველ ქართველ ნაცნობს წააწყდა - ხალხი გაოცებული უყურებდა, როგორ გადაეხვია **არჩილ** და **რეზო არველაძეებს.** ეს ამ ფაქტის შემსწრე სტადიონის თანამშრომელმა გვითხრა (ჟურნალისტებს გასახდელში შესვლის უფლება არ გვქონდა).

რეზო შოთასა და აჩიკოს მარადონასთან გაცნობის ისტორიას გვიყვება:

- შევედით მე და აჩიკო არგენტინელების გასახდელში და კანიჯამ დიეგოს გაახსენა, ეს ის აჩიკოა, „რეინჯერსში" ჩემი ყოფილი თანაგუნდელის, შოთა არველაძის ძმა, ამსტერდამში რომ გაგაცანიო და მერე ჩემზეც მიანიშნა. ორივეს მაგრად ჩაგვეხუტა, სურათები გადავიღეთ... სასწაული ადამიანია, მაგრამ განწყობილების კაცი ჩანს. კანიჯა გაცილებით უბრალოა. თუმცა დიეგო გაოცებული იყო ქართველების ასეთი თბილი დახვედრით. ხომ ნახეთ, პრესკონფერენციაზე რა სახე ჰქონდა. თუ ხასიათზე არ არის, არ გაიცინებს. ამიტომაც მიხარია, რომ საქართველოში ჩამოსვლის პირველივე დღიდან კმაყოფილია.

**- შოთამ ამსტერდამში როგორ გაიცნო?**

- კანიჯა და შოთა ამსტერდამში იყვნენ ოთხი წლის წინ. მარადონამ გაიხსენა ის შეხვედრა. ამხელა კაცი ვარ და პატარა ბავშვივით გამიხარდა, დიდი სითბო რომ გამოხატა...

**- სხვათა შორის, რუსები გალიზიანებულები არიან მარადონას თბილისში ჩამოსვლით, რაკი აგრესიაგამოვლილ ქვეყანას თანადგომას უცხადებს...**

- რადგან დიეგო უგო ჩავესისა და ფიდელ კასტროს მეგობარია, არ ეგონათ, თუ საქართველოს დაუჭერდა მხარს. არადა, მართლა ასე მოხდა, პრესკონფერენციაზე პირდაპირ თქვა, რომ ჩვენი ქვეყნის მხარდასაჭერად ჩამოვიდა. ასე ჩავთვალე საჭიროდ, ხომ გაიგეთ? აქვე მინდა, ნიკო პატარქალიშვილს დიდი მადლობა გადავუხადო მარადონასა და მისი მეგობრების ჩამოყვანისთვის. ყველა ქართველისთვის ეს უდიდესი ზეიმია.

**- რა დასამალია და, ამ იდეის ამგვარ დაგვირგვინებას ბევრი ვერ წარმოიდგენდა...**

- უბრალოდ, ასეთ ვიზიტს ბევრი წვალება სჭირდება. ამ კაცმა კი ყველაფერი საკუთარ თავზე აიღო და საქმეც „ხუთიანზე" შეასრულა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo34@mail.ru

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
VII ტური

**24.10. გორი. ქართლი. 50 მაყურებელი**

**სპარტაკი-სიონი 0:3**

0:1 კოშკაძე (18), 0:2 ზ. ჭელიძე (51. სანიკიძის პასით), 0:2 ლ. ბაჯელიძე (74)
სპარტაკი: ქვილითაია - კუპრეიშვილი, ხაჭიპერიძე, ნადირაშვილი (80. ქორიძე) - მამუკაშვილი, ხიდეშელი (54. მაისურაძე), ჯანგიძე, შალამბერიძე, შონია - მ. ღონღაძე (60. თარხნიშვილი), სირბილაძე.
*სათადარიგოები: გ. იაშვილი, გოცირიძე, თექთურმანიძე, დათუნაშვილი*
სიონი: ბობლიაშვილი - ქურასბედიანი, სვანიძე, შავგულიძე, ხუბუა - სანიკიძე, ზ. ჭელიძე, კოშკაძე, ა. ალავიძე (73. ლ. ბაჯელიძე) - ი. შენგელია (64. რ. გოცირიძე), დავითაშვილი (51. შ. ჯიქია).
*სათადარიგოები: ქვაჩახია, დიდავა, ნაყოფია, ს. იაშვილი*
გაფრთხილება: ჯანგიძე (8), ჭელიძე (16), შალამბერიძე (62)
არბიტრი: მ. ურუშაძე

## მწვრთნელის შეცვლა გამოსავალი არაა

„სპარტაკის" პრობლემა რომ **კობა ჟორჟიკაშვილი** არ იყო, „სიონთან" შეხვედრამაც დაადასტურა. ცხინვალელებს გასულ სეზონშიც გაუჭირდათ უმაღლეს ლიგაში დარჩენა და თუ გავითვალისწინებთ, რომ წელს ეს გუნდი კიდევ უფრო სუსტია, გაზაფხულზე გაცილებით რთულად ექნება საქმე. ლიგაში დასარჩენად „სპარტაკს" შემადგენლობის სერიოზული გადახალისება დასჭირდება. გუნდის არცერთი რგოლი გამართულად ვერ თამაშობს.

სატურნირო ცხრილში არსებული მდგომარეობის თვალსაზრისით, მაინცდამაინც სახარბიელოდ საქმე არც „სიონს" აქვს. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ბოლნისელებს გორში ასე იოლად არ უნდა მოეგოთ. თუმცა მათ უპირატესობაზე ანგარიშიც ნათლად მეტყველებს.

მატჩის დებიუტიდანვე სტუმრები დომინირებდნენ. მართალია, ქვემოქართლელებს გამოკვეთილი უპირატესობა არ ჰქონიათ, მაგრამ მეტწილად ბურთს სწორედ ისინი აკონტროლებდნენ. მე-5 წუთზე **სანიკიძემ** შორიდან ძლიერად დასცხო. ორიოდ წუთში, იმავე სანიკიძემ, **ირაკლი შენგელიას** ფლანგური ჩაწოდება ცუდად გაგზავნა კარისკენ, დამატებულზე კი **კოშკაძეს ქვილითაიამ** აუღო. ცოტა ხანში კოშკაძეს კვლავ მიეცა გოლის გატანის შანსი, მაგრამ მიზანმა ამჯერადაც უმტყუნა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბოლნისელთა ორი მოიერიშის (**სულიკო დავითაშვილი, ირაკლი შენგელია**) ნაცვლად, მეტოქის მცველებსა და გოლკიპერს გაცილებით დიდ პრობლემებს სტუმართა შუახაზელები უქმნიდნენ. მასპინძლეთა დაუდევრობის გამო, დაახლოებით კოშკაძეს და სანიკიძეს შორი მანძილიდან არა ერთხელ მიეცათ კარში დარტყმის შანსი. მე-18 წუთზე, სწორედ ეულად დარჩენილმა კოშკაძემ დაურტყა ძლიერად ქვილითაიას და ანგარიშიც გახსნა - 0:1.

ტაიმის ბოლომდე „სპარტაკს" მოწინააღმდეგისთვის პასუხი მწვავე შეტევითაც კი არ გაუცია. ცხინვალელები საჯარიმოში შესვლასაც კი ვერ ახერხებდნენ, შორიდან კი **ლაშა ჯანგიძემ** და **აკაკი კუპრეიშვილმა** მოსინჯეს **მინდია ბობლიაშვილის** მზადყოფნა, თუმცა ამაოდ.

35-ე წუთზე სტუმრებს ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ - **დავით სვანიძემ** კარგად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, მაგრამ ქვილითაიამ კუთხურზე გაჭირვებით მოიგერია ბურთი. ტაიმის ბოლოს თანაგუნდელებმა უკვე **სირბილაძეს** შეუქმნეს ორი მომენტი, მაგრამ მან ვერც ახლო მანძილიდან ივარგა და **შონიას** ჩაწოდებისას ვერც დასწრებაზე ითამაშა. აქვე დავძინოთ, რომ მისი და **ღონღაძის** დუეტი ერთობ არაპროდუქტიულად ირჯებოდა.

მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, რომ შესვენების შემდეგ „სპარტაკი" შეუტევდა და თამაშის გადარჩენას შეეცდებოდა. ასეც მოხდა - მასპინძელმა მარწუხებს მოუჭირა, ოღონდ... მხოლოდ 5 წუთით. ეს იყო და, სანიკიძის მიერ მოწოდებული კუთხური **ზაზა ჭელიძემ** ეფექტური თავურით გაიტანა - 0:2.

მოგვიანებით, ცხინვალელებმა კვლავ შორეული დარტყმებით სცადეს ანგარიშის შეცვლა. ამ მხრივ, განსაკუთრებით, ახალშესული **თორნიკე თარხნიშვილი** აქტიურობდა. უფრო შედეგიანი ბოლნისელთა შორის განხორციელებული ცვლილება აღმოჩნდა. შეცვლაზე შესულ **ლევან ბაჯელიძეს** გოლი გასატანად სულა რაღაც 2 წუთი დასჭირდა. მან მოედნის ცენტრში მოპოვებული ბურთი რამდენიმე მეტრი ატარა და შორეული დარტყმით ქვილითაიას მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა - 0:3.

ამის მერე „სპარტაკი" მხოლოდ პრესტიჟის გოლზე თუ იფიქრებდა. ბოლო ათ წუთში თარხნიშვილმა და ჯანგიძემ კვლავ შორეული დარტყმებით სცადეს კარის აღება. ერთ ეპიზოდში **ვაჟა ქორიძეს** ჯანგიძის დარტყმულზე დროულად რომ დაემატებინა, გოლი ალბათ გარდაუვალი იქნებოდა, მაგრამ ბობლიაშვილის დამწუხრება ვერც მან და ვერც შონიამ (თავური, რომელიც „სიონის" გოლკიპერმა „ცხრიანიდან" მოხსნა) ვერ მოახერხეს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

**24.10. ზესტაფონი. ცენტრალური. 1000 მაყურებელი**

**ზესტაფონი-მგლები 1:0**

1:0 გელაშვილი (28. ხიდეშელის პასით)
ზესტაფონი: ჭანტურია - ბოიომო, ს. თოდუა, სანტოსი, ონიანი - ძარია, დაუშვილი (77. ნ. კვასხვაძე), ხიდეშელი, ბენაშვილი (66. იონანიძე) - გოცირიძე (46. ჩასემი) გელაშვილი.
*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, შ. ღონღაძე, სტეფანიშვილი, გორგიაშვილი*
მგლები: მამალაძე - აქუბარდია, ჭითანავა, ხუხია, რეხვიაშვილი (83. ა. ბაჯელიძე) - გულორდავა, გუჩუა, ჯოჯუა, ლომია (59. ქუცურუა) - მიქაბერიძე, გ. თოდუა (74. დარსანია).
*სათადარიგოები: ქალდანი, ჯიშკარიანი, ჭოხონელიძე, ხარაძე*
გაფრთხილება: ხიდეშელი (61), ჩასემი (90)
არბიტრი: მ. ზეუქლიშვილი

## მგლებმა ზესტაფონში დაამუხრუჭა

როცა სეზონის პირველივე მატჩში (თასზე) ზუგდიდის „მგლები" თანაქალაქელ „ბაიასთან" 1:5 განადგურდა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს გუნდი ლიდერთა შორის დაიმკვიდრებდა ადგილს. ზუგდიდელები ზესტაფონს ზედიზედ 3 მოგებით ესტუმრნენ და **თემურ მახარაძის** გუნდს დიდი წინააღმდეგობაც გაუწიეს, მაგრამ უფრო გამოცდილმა და მობილურმა „ზესტაფონმა" გაიმარჯვა.

მახარაძისგან ტაქტიკური გადაადგილებები და სიახლეები აღარ გვიკვირს. ზესტაფონელთა დამრიგებელი ექსპერიმენტებს გუშინდელ მატჩშიც არ მოერიდა - გუნდიდან წასული **ჟილვენ ვიეირას** ნაცვლად მარცხენა ფლანგი **ბექა გოცირიძეს** ჩააბარა, დაცვის ცენტრში კი **სევასტი თოდუას სანტოსი** შეუწყვილა. მათ დავალებას ძალიან კარგად გაართვეს თავი და „მგლების" მთავარი მეგოლე **გია თოდუა**, ფაქტობრივად, თამაშიდან გამოთიშეს.

პირველი 20 წუთი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. ზესტაფონელები მცირე უპირატესობას ფლობდნენ. პირველად, კარში სწორედ მათ დაარტყეს. **ბენაშვილმა** საჯარიმოსთან ახლოს **გუჩუას** აართვა ბურთი და **ძარია** დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, ამ უკანასკნელის დარტყმა კი **მამალაძემ** მოიგერია.

საპასუხო შეტევა ზუგდიდელებმაც განახორციელეს - **ჯოჯუას** დარტყმულს თოდუამ მიმართულება შეუცვალა და მასპინძლები **ჭანტურიამ** გადაარჩინა. ზესტაფონელებმა ახალგაზრდა ნახევარმცველთა ბრწყინვალე თამაშის წყალობით მალე უპირატესობა მოიპოვეს. **ბენაშვილი, დაუშვილი, ძარია** და **ხიდეშელი** ლომებივით იბრძოდნენ და მეტოქეს ბურთის მიღების საშუალებას არ აძლევდნენ. მასპინძლების ცენტრფორვარდი **ნიკა გელაშვილი** კი გუშინ ნამდვილად გამორჩეული იყო. გატანილი გოლის გარდა, მან გააზრებული ფეხბურთითაც დაგვამახსოვრა თავი. მეორე ტაიმში ნიკას „მაკრატელაზე" მამალაძეს რომ არ ემარჯვა, ულამაზესი გოლის მომსწრენი გავხდებოდით.

პირველ ტაიმში ფეროელთა ფორვარდმა სამი მომენტიდან ერთი გამოიყენა. მე-20 წუთზე ბენაშვილის აქტიურობის შემდეგ გელაშვილი წინ გამოსულ მამალაძეს თავზე უგდებდა ბურთს, მაგრამ ოდნავ მაღლა მოუვიდა. ცოტა ხანში, ძარიას პასის შემდეგ, ნიკამ ორ მცველს დაასწრო და ძალიან სახიფათოდ დაარტყა - ბურთი სულ მცირედით ასცდა ზუგდიდელთა კარის მარჯვენა ძელს.

მასპინძელთა თამაშიდან გამომდინარე, გოლი მომწიფებული იყო და გელაშვილმა მესამე ცდაზე შანსი ხელიდან აღარ გაუშვა. **ხიდეშელის** გამოზომილი პასის შედეგად ის მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა - პირველი დარტყმა მამალაძემ მოიგერია, თუმცა ბურთი ისევ დამრტყმელს მოუვიდა და ნახევარბრუნით ანგარიში გახსნა. ტაიმის ბოლოს ზესტაფონელებს გოლის გატანის კიდევ რამდენიმე შანსი ჰქონდათ. განსაკუთრებით, დაუშვილის მომენტი უნდა გამოვარჩიოთ. საჯარიმოს გარედან მან ძლიერად დააქუხა და ბურთის მოსაგერიებლად მამალაძეს თავგანწირული ნახტომი დასჭირდა.

1:0 სახიფათო ანგარიშია და ამიტომ, მეორე ტაიმში ზესტაფონელები უპირატესობის გაზრდას შეეცადნენ. რამდენიმე შანსი გაუშვა ხელიდან **ჩასემმა**, რომელმაც პირველად თავური ააცილა, შემდეგ გელაშვილის კარგი პასი ვერ შეირგო, ბოლოს კი, **იონანიძის** გადაცემის შემდეგ, ფეხებში აებლანდა ბურთი...

იონანიძე ვახსენეთ და, ვეტერანი აქტიურად ჩაერთო თამაშში, ასევე **ნიკა კვასხვაძეც**. მე-80 წუთზე მათ ულამაზესი კომბინაცია გაითამაშეს - იონანიძემ მარცხენა ფლანგზე ქუსლით ხიდეშელს დაუგორა ბურთი, ამან კი საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც კვასხვაძემ თავური ოდნავ ააცილა.

ზუგდიდელები ქულის გადარჩენას შეეცადნენ, ერთი-ორჯერ მწვავედაც შეუტიეს, მაგრამ **გულორდავას** უზუსტო დარტყმის მეტს ვერაფერს გამორჩნენ. „ზესტაფონმა" მატჩი მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე და აქტივში მეტად საჭირო 3 ქულა ჩაიწერა.

**მატჩის შემდეგ**

**ბესიკ შეროზია (მგლები):** „მატჩისათვის განსაკუთრებულად მოვემზადეთ. ძლიერი მეტოქისთვის არაფრის დათმობას არ ვაპირებდით, მაგრამ „ზესტაფონმა" ტაქტიკურად გამართული ფეხბურთი ითამაშა, სივრცე შეგვიზღუდა და ჩვენი კოზირების გამოყენების საშუალება არ მოგვცა, რამაც განაპირობა კიდეც მათი გამარჯვება. მარცხის მიუხედავად, ჩემი ფეხბურთელების თამაშით უკმაყოფილო არა ვარ, მათ ამ მატჩში ყველაფერი ჩადეს, მაგრამ დღეს მეტოქე უფრო ძლიერი იყო..."

**თემურ მახარაძე (ზესტაფონი):** „ვიცოდი, რომ „მგლების" სახით ღირსეული მოწინააღმდეგე გვყავდა. ფეხბურთელებს ვაფრთხილებდი, რომ მაქსიმალური ყურადღებით და უშეცდომოდ ეთამაშათ. ბიჭებმა მოახერხეს და მეტოქეს საკუთარი პლუსების გამოყენების საშუალება არ მისცეს. გამარჯვების მიუხედავად, ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ, უკეთეს თამაშს ვისურვებდი. „ზესტაფონის" ძირითად ბირთვს ახალგაზრდა ფეხბურთელები შეადგენენ და თუ რაიმე უზუსტობები მოსდით, ეს მხოლოდ მათი გამოუცდელობის ბრალია. ისინი გაიზრდებიან და „ზესტაფონიც" უკეთესი გუნდი იქნება".

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

## ნანატრი გამარჯვების მოლოდინში...

**24.10. რუსთავი. ფოლადი. 1500 მაყურებელი**

**ოლიმპი-მგლები 1:1**

0:1 კიკნაძე (21), 1:1 გაბიდაური (75)
ოლიმპი: მერლანი - თ. ღონღაძე (69. გაბიდაური), მაჭავარიანი, გ. ონიანი, აკუასაგა - გ. სეთურიძე, დობროვოლსკი, ფიფია (46. ბაბუნაშვილი), ფეიქრიშვილი - მეგრელაძე, გ. ჩხეტიანი (69. მიკუჩაძე).
*სათადარიგოები: სტურუა, ჩიკვილაძე, კ. ალადაშვილი*
ბორჯომი: შეყრილაძე - ნ. ნოზაძე (71. ვაჩიბერიძე), ქარქუზაშვილი, ლაცაბიძე, ლომიძე - ალავერდაშვილი, ვაშაკიძე, ქავთარაძე (30. კ. ავალიანი), გოგიჩაიშვილი - ბეჟანიძე (85. ბაქრაძე), კიკნაძე.
*სათადარიგოები: ჯინჭარაძე, გაჩეჩილაძე, ხითარიშვილი, დევიძე*
გაფრთხილება: გოგიჩაიშვილი (40), ბაქრაძე (90)
არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

...ᲓᲐᲜᲐᲕᲡᲣᲚᲘ სერია გრძელდება - ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხულმა „ოლიმპმა" კვლავაც ვერ შეძლო გამარჯვება! უკვე ჩვენც დავიღალეთ იმის აღნიშვნით, რომ საიუბილეო ჩემპიონატის უმთავრესი მოულოდნელობა რუსთაველი კლუბის წარუმატებლობაა; ფაქტობრივად, ლამის ყოველი ტურის წინ ვვარაუდობთ, რომ აი, პირველი გამარჯვების დროც მოვიდა; თუმცა, რეალურად ასე არ ხდება და „ოლიმპი" კვლავაც ერთადერთ გუნდად რჩება, ჩემპიონატში მოგება რომ არ აქვს. იმედია, სარკაზმად არავინ ჩაგვითვლის, მაგრამ, ფაქტია, რომ „ბორჯომთან" მოპოვებული ქულით „ოლიმპმა" მისთვის, მართლაც, სამარცხვინო ბოლო ადგილს თავი დააღწია...

...თამაშის წინ ფავორიტის გამოცნობა ძნელი არ იყო: რუსთავის სხვადასხვა სკოლებიდან ორგანიზებულად წამოიყვანილი ბავშვების სოლიდური რაოდენობა მხურვალე ქომაგობით ამხნევებდა დანავსულ გუნდს. მასპინძლებმა პირველი ტაიმიც ისე ითამაშეს, ამ გუნდისგან რომ ველოდებით - ფაქტობრივად, მთელი 45 წუთი „ოლიმპის" აშკარა ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა. უკვე მატჩის დასაწყისშივე **გაგა ჩხეტიანს** ხელსაყრელი მომენტი შეექმნა, მაგრამ მეტოქის საჯარიმოში შეჭრილმა, ბურთი წინ გაიგდო და სტუმრებიც გადარჩნენ. ამის მერე კი **გიორგი სათურიძის** ზეაქტიურობის მონაკვეთიც ვიხილეთ: მასპინძელთა მარჯვენა ნახევარმცველმა ზედიზედ სამი თუ ოთხი შთამბეჭდავი ფლანგური რეიდი განახორციელა, რომელიც მერე მწვავე და გამჭოლი გადაცემებით მთავრდებოდა; არანაკლებ აქტიური იყო საპირისპირო ფრთაზე მოასპარეზე **გიორგი ფეიქრიშვილიც**, და საერთოდაც, მასპინძლებს მონდომება, მართლაც, არ დაეწუნებოდათ. მეტოქის კართან სახიფათო მომენტების ჩამოთვლა კი ძალიან შორს წაგვიყვანს და ვეცდებით, მხოლოდ რამდენიმეზე შევჩერდეთ: ერთ ეპიზოდში ფეიქრიშვილმა ააცილა, მეორედ **ნოდარ მაჭავარიანს** შეეძლო გატანა, **გოგა ფიფიას** თავური დარტყმა ხარიხას მოხვდა; აი, დანარჩენ შემთხვევებში კი შეუდარებელი იყო „ბორჯომის" მეკარე **ბექა შეყრილაძე!** სტუმართა კარის დარაჯმა, სულ მცირე, ოთხი ისეთი ბურთი მოიგერია, ნებისმიერი მაღალი კლასის მეკარე რომ „ხელს მოაწერდა". ცნობისთვის - შეყრილაძე წინა სეზონში „ოლიმპში" თამაშობდა...

ისევ პირველ ტაიმს დავუბრუნდეთ, რომელიც სტუმართა მეკარის ჭეშმარიტ ბენეფისად იქცა: შეყრილაძემ ახლო თუ შორი მანძილიდან დარტყმული ყველა ბურთი მოიგერია! ამას გარდა, უნდა აღვნიშნოთ, „ბორჯომის" ცენტრალური მცველების - **ზაზა ლაცაბიძისა და გივი ქარქუზაშვილის** თავგანწირული და, რაც მთავარია, უშეცდომო თამაში. და აი, ასეთი აშკარა უპირატესობის ფონზე... ტაიმი სტუმრებმა მოიგეს! ერთადერთხელ შეუტია „ბორჯომმა", კუთხური მოიპოვა და **ლაშა ვაშაკიძემაც**, როგორც იტყვიან, ბურთი თავზე დაასვა **ირაკლი კიკნაძეს**. სტუმართა ახალგაზრდა და ერთობ საინტერესო ფორვარდმაც ყველაფერი ზუსტად შეასრულა და **მირზა მერლანს** აუღებელი დაურტყა. წინდაწინ ვიტყვით: ეს იყო სტუმართა პირველი და... უკანასკნელი დარტყმა „ოლიმპის" კარში თუ კარის მიმართულებით! აქვე, საგოლე პასის ავტორზეც უნდა ვთქვათ: ლაშა ვაშაკიძე, შეყრილაძის არ იყოს, უდავოდ გამორჩეული გახლდათ სტუმართა გუნდში - 90 წუთი მუშა ფუტკარივით იშრომა, ერთი-ორჯერ ეფექტური ფინტიც ჩაატარა და ბურთთანაც აშკარად „მწყრალად" არ იყო.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე „ოლიმპის" ახალმა თავკაცმა **ვარლამ კილასონიამ** შეცვლებით სცადა სიტუაციის გამოსწორება: მასპინძლები სამ მცველზეც გადავიდნენ, მაგრამ სტუმრები კვლავაც თავგანწირვით იცავდნენ საკუთარ კარს. რა თქმა უნდა, მოსალოდნელიც იყო, „ბორჯომი" მთელი გუნდით დაცვაში რომ „ჩაჯდებოდა", მაგრამ „ოლიმპის" შეტევები მასიურთან ერთად ერთფეროვანიც იყო. ისე, პირველთან შედარებით ბევრი მომენტი აღარც შექმნილა - ერთხელ კვლავ შეყრილაძემ ითამაშა უშეცდომოდ, მეორედ კი ქარქუზაშვილმა გადაარჩინა თავისი გუნდი **დენის დობროვოლსკის** დარტყმის მერე. ერთადერთი, რასაც მასპინძლები გამორჩნენ, **გიორგი გაბიდაურის** საჯარიმოდან გატანილი უბადლო გოლი იყო - „ოლიმპის" საყრდენმა ნახევარმცველმა ეფექტური დარტყმით შეყრილაძე უშანსოდ დატოვა. სხვათა შორის, ეს იყო „ოლიმპის" პირველი საშინაო გოლი ამ ჩემპიონატში; აი, პირველი გამარჯვებით გამოწვეული სიხარული კი კვლავ გადაიდო. თუმცა, „ბორჯომსაც" ნუ დავუკარგავთ: ახალგაზრდა მწვრთნელის, **გიორგი სუხიაშვილის** შეგირდებმა თავდაუზოგავად იბრძოლეს და, ბევრი რომ არ ელოდა, ისეთი ქულა წაიღეს რუსთავიდან...

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

**25.10. ახალციხე. ცენტრალური. 14:00 Live**

**მესხეთი - ვიტ ჯორჯია**

მთავარი მსაჯი: ლ. კვარაცხელია
ასისტენტები: დ. კვეტენაძე, ზ. ხუციშვილი;
მეოთხე მსაჯი: ვ. გუმბერიძე

**25.10. თბილისი. მ. მესხი. 15:00**

**ლოკომოტივი - გაგრა**

მთავარი მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი
ასისტენტები: კ. გუდურაშვილი, გ. ყრუაშვილი;
მეოთხე მსაჯი: ი. ურუშაძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 7-3 | 13 |
| 2. მგლები | 7 | 4 | 0 | 3 | 10-6 | 12 |
| 3. ლოკომოტივი | 5 | 4 | 0 | 1 | 7-2 | 12 |
| 4. ზესტაფონი | 6 | 3 | 1 | 2 | 4-3 | 10 |
| 5. დინამო | 6 | 3 | 0 | 3 | 10-7 | 9 |
| 6. სიონი | 6 | 2 | 3 | 1 | 5-2 | 9 |
| 7. ბორჯომი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-11 | 8 |
| 8. გაგრა | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 7 |
| 9. მესხეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 3-6 | 5 |
| 10. ოლიმპი | 6 | 0 | 4 | 2 | 4-7 | 4 |
| 11. სპარტაკი | 6 | 1 | 0 | 5 | 4-12 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ალექსიძე (ლოკომოტივი) | 5 |
| გ. თოდუა (მგლები) | 5 |
| ვაწაძე (დინამო) | 4 |
| ლომია (მგლები) | 3 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 3 |

**VIII ტური**

**28 ოქტომბერი, სამშაბათი**

სიონი-დინამო
ბორჯომი-ზესტაფონი

**29 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

სპარტაკი-ლოკომოტივი
მგლები-მესხეთი
გაგრა-ოლიმპი

*ვიტ ჯორჯია ისვენებს*

ოქტომბერში თამაშები 15 საათზე დაიწყება

მატჩები, რომლებიც პირდაპირ ეთერში გადაიცემა, დაიწყება 14 საათზე

ზესტაფონი

# ვიეირა წავიდა...
## ვითომ დროებით?



ვიეირას, რომელიც „ზესტაფონში“ 2006 წელს ბრაზილიური „ატლეტიკო მინეიროდან“ გადავიდა (ადრე თბილისის „დინამოშიც“ თამაშობდა), 20 ოქტომბერს ზემოიმერულ კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და სამშობლოს მიაშურა. ამ ფეხბურთელისადმი სიმპათიები იმითიც იყო გამოწვეული, რომ ვიეირამ ორ წელიწადში ქართული ენა ისე კარგად აითვისა, რომ საუბარი თავისუფლად შეეძლო. ადგილობრივ გულშემატკივრებს მან ამითიც შეაყვარა თავი. ქომაგებსა და კლუბის ხელმძღვანელობას იმედი აქვთ, რომ ბრაზილიელი „ზესტაფონს“ დაუბრუნდება.

**სერგო ფუტკარაძე** (კლუბის პრესატაშე): *„ვიეირას რამდენიმე დღის წინ კონტრაქტი დაუსრულდა და რაკი წლეულს თამაშის უფლება აღარ ჰქონდა, ბრაზილიაში გაემგზავრა. მას ძმა ჰყავს ავად, თან დაოჯახებასაც აპირებს... ამიტომაც გადაწყვიტა სამშობლოში წასვლა. ვიეირასთან ახალი კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ და შესაძლოა, გუნდში ისევ დაბრუნდეს. თავადაც გვითხრა, წავალ და ცოტა ხანში დავბრუნდებიო...“*

ბრაზილიელის წასვლამ სერიოზულად დააფიქრა ზესტაფონელთა თავკაცი **თემურ მახარაძეც**, რომელიც აცხადებს, რომ ვიეირას სახით გუნდმა სერიოზული ძალა დაკარგა.

მართალია, ზესტაფონელები ბრაზილიელის დაბრუნებას იმედოვნებენ, მაგრამ დიდი შანსია, მან სამშობლოში გააგრძელოს კარიერა. ცოტა ხნის წინ ის თავადვე ამბობდა, რომ ბრაზილიის მეორე დივიზიონში მოასპარეზე „ჟუვენტუდეში“ აპირებდა გადასვლას. ვნახოთ...

საქართველო კლასიანი ლეგიონერების სიმრავლით ვერ დაიკვეხნის. იმ უცხოტომელთაგან, რომელთაც ჩვენთან უგორებიათ ბურთი, თითოოროლას თუ გამოვარჩევთ. „ზესტაფონის“ ბრაზილიელი ნახევარმცველი **ჟილვენ ვიეირა** სწორედ რომ სასარგებლო ლეგიონერთა რიცხვს მიეკუთვნებოდა და სამწუხაროა, რომ რამდენიმე დღის წინ ის „ზესტაფონსა“ და საქართველოს ჩემპიონატს დაემშვიდობა.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

ლეგიონერი

# მჭედლიძე უკვე ვარჯიშობს
## პალერმომ ქართველის არენდაში 1.5 მილიონი ევრო გადაიხადა. ემპოლისთან მეგობრობა გრძელდება

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი **ლევან მჭედლიძე** მოედანს მალე დაუბრუნდება. შეგახსენებთ, რომ ბულგარეთთან მატჩის პირველ ტაიმში, მეტოქე ფეხბურთელთან საჰაერო შეტაკებისას, „პალერმოს“ 18 წლის ფორვარდმა ტვინის შერყევა მიიღო და სტადიონიდან პირდაპირ საავადმყოფოში მოხვდა. მერელა გაირკვა, რომ სერიოზული დაზიანებით მთელი 15 წუთის განმავლობაში უთამაშია. თუ გახსოვთ, ვწერდით, რომ „პალერმოს“ მწვრთნელი **დავიდე ბალარდინი** და პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინი** ძლიერ შეწუხდნენ - ოჯახს ლევანისთვის საგანგებო ჩარტერული რეისის ორგანიზება და მისი იტალიაში გადაყვანაც შესთავაზეს...

...თუმცა ტვინის შერყევის პირობებში თვითმფრინავით მგზავრობა არ შეიძლება. საბედნიეროდ, ლევანი იოლად გამოვიდა მძიმე მდგომარეობიდან. მას საოცრად ძლიერი ორგანიზმი აქვს. აქამდე არ ვიცოდით - როცა 15 წლისამ „ემპოლიში“ სამედიცინო შემოწმება გაიარა, ექიმები გაოგნებულები დარჩნენ, აქაოდა, ეს ბიჭი თავისი მონაცემებით სერია A-ს საუკეთესო ფეხბურთელთა ხუთეულს არაფრით ჩამოუვარდება, ჯანმრთელი ორგანიზმი აქვსო. ამ მონაცემებში შედის დასკვნა გულის მუშაობის, ორგანიზმის გამძლეობის შესახებ და ასე შემდეგ.

ასე რომ, გასაკვირი არაა, ბულგარეთთან მიღებული მძიმე ტრავმის მიუხედავად, მჭედლიძემ უკვე ვარჯიში რომ განაახლა. „პალერმოს“ ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, იტალიაში დაბრუნებიდან მეორე დღესვე ქართველმა თავდამსხმელმა მსუბუქად იძუნძულა...

ლევანის მამამ, წარსულში თბილისის „დინამოს“ მეკარემ, ახლა კი საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკის“ პრეზიდენტმა **კარლო მჭედლიძემ**, „ემპოლიდან“ „პალერმოში“ ლევანის გადასვლის უცნობი დეტალები გაგვიმხილა.

*„ლევანის „ემპოლი“ ვერ ელეოდა. ამ კლუბსა და „პალერმოს“ შორის მოლაპარაკებები ამიტომაც გაიწელა. „ემპოლი“ მხოლოდ 2-წლიან არენდას დათანხმდა, „პალერმო“ კი ლევანის აყვანით იმდენად იყო დაინტერესებული, მარტო არენდაში 1.5 მილიონი ევრო გადაიხადა. ამაზე არსად დაწერილა და ვიცი, გულშემატკივრებისთვის დიდი სიურპრიზი იქნება. თუ საარენდო ვადის დასრულების შემდეგ ლევანის ტრანსფერის შესყიდვით სხვა კლუბებიც დაინტერესდებიან, უპირატესობას მაინც „პალერმო“ მიიღებს. „ემპოლისთან“ ლევანის კონტრაქტში კი დასახელებულია ზუსტი თანხა, თუ რამდენი უნდა გადაიხადოს მისმა მსურველმა კლუბმა“*, - გვითხრა ბატონმა კარლომ.

მისივე თქმით, ორი წლის წინ თბილისში, „ოლიმპიკსა“ და „ემპოლის“ შორის თანამშრომლობის



თაობაზე იტალიური კლუბის ვიცე-პრეზიდენტისა და გენერალური დირექტორის მიერ გაკეთებული განცხადებები ძალაში რჩება. ასე რომ, „ოლიმპიკი“ იტალიელებთან ურთიერთობას აგრძელებს.

*„ჩვენი პარტნიორობის შედეგად, „ემპოლიში“ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი ირაკლი შეყილაძე წავიდა. კიდევ გვსურს ზოგიერთების გაშვება, მაგრამ მათი და ჩვენი კრიტერიუმები ერთმანეთისგან ბევრად განსხვავდება. ჩვენთან ისეთ ფეხბურთელს აფასებენ, ნახევარ გუნდს დრიბლინგით რომ აუვლის გვერდს, იტალიაში კი გაცილებით პრაგმატული და დალვინებული აზროვნების მქონე ბავშვები სჭირდებათ. ორი წლის წინ ვთქვით, რომ ჩვენი სკოლის ბაზაზე რეგიონალლიგის კლუბი „ოლიმპი-ემპოლი“ ჩამოყალიბდებოდა. რომ გითხრათ, ეს ხვალ ან ზეგ მოხდება-მეთქი, არასწორი იქნება. არადა, იტალიელების პარტნიორი ქართული კლუბის დაარსება ჩემი ოცნებაა და ეს, ვფიქრობ, რეალურია, რადგან ინტერესი მათგანაც აშკარაა. არ არის გამორიცხული, „ემპოლის“ დახმარებით გვერდში სერიოზული იტალიური კომპანია დაგვიდგეს. მოლაპარაკებები დაწყებულია და იმედია, მალე წარმატებითაც დასრულდება“*, - ამბობს „ოლიმპიკის“ დირექტორი.

**მერაბ მამულაშვილი**



ინტერვიუ გიორგი სომხიშვილთან

# მითხრეს, კუპერი გაკვირდებაო

**ახალციხის** „მესხეთის“ კაპიტანი გიორგი სომხიშვილი ექტორ კუპერის სიაშია. ყოველ შემთხვევაში, ასე უთხრეს ფეხბურთელს და ასე ვიცოდით ჩვენც. მართალია, გიორგი ჯერ შეკრებაზე არ გამოუძახებიათ, მაგრამ სჯერა, რომ ადრე თუ გვიან ნაკრებში მოხვედრის ბედნიერება მასაც ესტუმრება. ჩვენი საუბარი კი „მესხეთის“-“დინამოს“ მატჩის დროს მომხდარი ინციდენტით დავიწყეთ. ბარემ აქვე აღვნიშნოთ - რომ არა სომხიშვილისა და ორიოდე მისი თანაგუნდელის ღირსეული საქციელი, ძნელი სათქმელია, რა მოხდებოდა...

**- გიორგი, რას იტყოდი თამაშზე, რომელსაც ამხელა ვნებები ახლდა თან?**

- სიმართლე გითხრათ, იმ შეხვედრის გახსენების სურვილი არც მაქვს. უბრალოდ, ძალიან სამწუხარო ფაქტი მოხდა.

**- საქართველოს ჩემპიონატი ჯერ ახალი დაწყებულია და ახლა თუ ასეთი ამბები ხდება, ბოლო ტურებში რაღა იქნება?**

- საქართველო იტალიას ვერ შეედრება, მაგრამ გულშემატკივრები აქაც განიცდიან და სტკივათ ის, რაც ხდება. ფანები მარტო საქართველოში არ ბობოქრობენ. ახალციხეში ფეხბურთი ძალიან უყვართ და ამაში ბევრჯერ დავრწმუნდი. გულშემატკივრებთან კარგი ურთიერთობა გვაქვს, ისეთი, როგორიც მხოლოდ პატარა ქალაქებშია ხოლმე. „მესხეთი“ ახალციხელებისთვის მხოლოდ გუნდი არ არის, ის უფრო მეტს ნიშნავს, ალბათ, სიამაყეს. არაერთი ქალაქის გუნდში მითამაშია და გულშემატკივრებისგან მსგავსი ერთგულება აქამდე მხოლოდ ქუთაისსა და ზესტაფონში მიგრძვნია. გაოცებული ვარ - ყველა თამაშზე საკმაოდ ბევრი ქომაგი დაგვყვება და მათი უფეხბურთოდ დატოვება საცოდაობა იქნებოდა. ისინი ჩვენ ყოველთვის გულიანად გვქომაგობენ და, ფაქტობრივად, მეთორმეტე ფეხბურთელის როლს ასრულებენ. „დინამოსთან“ მომხდარ ინციდენტს არ ვგულისხმობ, ეს დღე გამონაკლისი იყო.

**- ახალციხელთა მთავარი პრეტენზია ისაა, რომ „მესხეთს“ ჩაგრავენ...**

- არ ჩაგრავენ, მაგრამ „დინამოსთან“ მატჩშიც იყო საკამათო ეპიზოდები და ადრეც, რამდენიმე შეხვედრაში. ამიტომაც აღელდა ჩვენი პრეზიდენტი. ზესტაფონში კარგად რომ გვიმსაჯეს, პრეტენზიები ხომ არ გამოგვითქვამს? და მაინც, მე ყოველთვის საკუთარ თავს ვადანაშაულებ. ეტყობა, „დინამოსთვის“ სათანადოდ ვერ მოვემზადეთ. ასეთი კლასის გუნდთან გაცილებით მობილიზებულები უნდა ვყოფილიყავით. თუმცა ფაქტია, რომ მსაჯის შეცდომებმა შედეგზე გარკვეული გავლენა მაინც იქონია. მომხდარით დათრგუნული ვიყავი... მაგრამ საერთო ჯამში „დინამომ“ რომ გვაჯობა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ყველამ ვაღიარეთ მათი უპირატესობა.

**- სანაკრებო თემაზე გადავიდეთ. შევიტყვეთ, რომ კუპერი გაკვირდებოდა...**

- ეს მეც მითხრეს და, სხვათა შორის, არა ჭორის დონეზე. ვინ მითხრა, ამას ვერ გეტყვით. სწორედ „დინამოსთან“ მატჩის შემდეგ გამიმხილეს. ეს ამბავი მანამდეც გავიგე და ბოლო სანაკრებო მატჩებისთვის მიწვევასაც ველოდი, თუმცა... ცოტა იმედგაცრუებული კი დავრჩი, მაგრამ უკვე გადამიარა, იმედი დამიბრუნდა... ისეთ ჯარისკაცს რა ვუთხარი, გენერალობაზე რომ არ ფიქრობსო, ხომ გაგიგიათ? ჰოდა, მეც იმედიანად ვარ. მწვრთნელმა უკეთ იცის, ვინაა მისაწვევი და ვინ - არა. მგონი, სეზონი ცუდად არ დამიწყია და იქნებ, კუპერმა ჩემკენაც გამოიხედოს.

**- როგორ ახერხებთ ლიდერებთან წარმატებით თამაშს?**

- ეს კლუბში არსებული ვითარებიდან გამომდინარეობს. ჩვენსავით ერთსულოვანი გუნდი ძნელად მოიძებნება - მწვრთნელით დაწყებული და ფეხბურთელებით დამთავრებული, თანამოაზრეები ვართ და ამ ურთიერთობებს ყველა ვუფრთხილდებით. ჩვენ ერთად ვართ არა მარტო ვარჯიშებსა და თამაშებზე, არამედ ამის შემდეგაც. ეს ბევრს ნიშნავს და სწორედ ეს ერთსულოვნება აისახება კიდეც მოედანზე. ვცდილობთ, მოედანზე ბოლომდე დავიხარჯოთ. ძალა ხომ მართლაც ერთობაშია. ისე, მესმის თქვენი გაკვირვება - ჩვენ ლიდერების მსგავსი პირობები არ გვაქვს. ომის გამო, ლამის მთელი თვე არ გვივარჯიშია და ბუნებრივია, ბევრიც დავკარგეთ.

**- არის კი „მესხეთში“ შესაბამისი პირობები ნაკრების კანდიდატის ნორმალური მომზადებისთვის?**

- ვფიქრობ, არის. იცით, ეს ინდივიდუალურია - შენზეა დამოკიდებული, რამდენად მონდომებული და მოტივირებული ხარ. მე კი მონდომება და მოტივაცია არასოდეს მაკლდა, მოვალეობის მოხდის მიზნით არ ვვარჯიშობ... ამასვე ვიტყოდი „მესხეთის“ სხვა ფეხბურთელებზეც. ცხადია, ჩემთვის უდიდესი მოტივაციაა ნაკრების კანდიდატობაც, გაცილებით მეტი სტიმული გამიჩნდა.

**- „დინამოსთან“ მატჩის დროს მომხდარი ინციდენტი ფეხბურთელების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს?**

- გამორიცხული არ არის, მაგრამ პროფესიონალები ვართ და ეს ამბავი უნდა დავივიწყოთ. „ვიტ ჯორჯია“ სერიოზული გუნდია და ახლა სწორედ მომდევნო მატჩზე ვფიქრობთ. ეს თამაში მნიშვნელოვანი იმითია, რომ დავამტკიცოთ - ჩვენი წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა. მეტოქე დაბალანსებული, მართლაც ძლიერი გუნდია, მაგრამ საქართველოში წელს ყველა ლიდერი თითქმის ერთი დონისაა, განსხვავება მხოლოდ პირობებშია. ჩვენ კი ეს არ გვაშინებს, პირიქით, დიდი სტიმულია. მოკლედ, უნდა ვიბრძოლოთ.

**- ბორჯომის ხელოვნურსაფარიან მოედანზე თამაშის შემდეგ ბალახზე გადასვლა არ გიჭირთ?**

- რთულია, მაგრამ სხვა რა გზაა? ბევრი გუნდი ბალახზე თამაშსაა მიჩვეული და ხელოვნურზე უჭირს. ოღონდ ნორმალური საფარი იყოს საქართველოში და ვინ ჩივის, ნამდვილი ბალახია თუ ხელოვნური.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ დიმიტრი რამიშვილთან

# თუ კოლხიდა მოგებაზე ვერ გავა, ფიქსირებული თანხა მაინც უნდა გადაიხადოს

## რამიშვილის აზრით, პროფლიგის პროდუქცია ხარისხიანია



**პროფესიული** ფეხბურთის ლიგა, კომერციალიზაცია, მედიაკომპანია „კოლხიდა" და დისციპლინარული სასჯელები - გუშინდელ „ლელოში" ამ თემაზე წერილი გამოქვეყნდა, დღეს კი ჩვენს კითხვებს პროფლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი პასუხობს. პროფლიგისა და, საერთოდ, საფეხბურთო მეურნეობის ერთ-ერთი პარტნიორი ბეჭდვითი მედიაცაა და სწორედ ამ პარტნიორობის გასამყარებლად, საჭიროდ ჩავთვალეთ ასეთი ინტერვიუც. პროფლიგასაც ის სურს, მისი საქმიანობა გამჭვირვალე იყოს, მით უმეტეს მაშინ, როცა ლაპარაკია კონტრაქტებსა და შემოსავლებზე...

**- როგორ შეაფასებდით კომერციალიზაციის ასპექტებს ქართულ კლუბებთან მიმართებაში? მიდის საქმე წინ?**

- მთავარია, რომ ფეხბურთის კომერციალიზაციის მოდელი უკვე შევქმენით. არსი ის არის, როგორ უნდა გახდეს საფეხბურთო ტურნირი კომერციული. მოდელის სრულყოფას ბოლო არ ექნება.

**- დავიწყოთ საქართველოს თასის გათამაშებით. საპრიზო ფონდი მხოლოდ ოთხ გუნდზე, ნახევარფინალისტებზე ნაწილდება, დანარჩენები კი, ფაქტობრივად, კომერციალიზაციისგან განზე რჩებიან...**

- კომერციალიზაცია არ ნიშნავს მხოლოდ საპრიზო ფონდს. ეს იმიტომ გავაკეთეთ, რომ ტურნირისთვის მეტი ინტერესი და ინტრიგა მიგვეცა. ვფიქრობ, 50-ათასლარიანი საპრიზო ფონდი უკვე სტიმულს და ინტერესს მატებს ამ ტურნირს.

**- ასეთ საკითხებზე გადაწყვეტილებას პროფლიგის ხელმძღვანელობა იღებს და არა პროფლიგის წევრი კლუბები?**

- ყველა საკითხს პროფლიგის გამგეობა ამზადებს და გადაწყვეტილებასაც იღებს, ხოლო გამგეობას კლუბები ირჩევენ პროფლიგის კონფერენციაზე. უმაღლესი ლიგის ყველა კლუბი პროფლიგის წევრია, პირველი ლიგიდან კი ყველა არ არის ჩვენი წევრი, ზოგს ასოცირებული წევრის სტატუსი აქვს. ყველა ლიცენზირებული კლუბი არის პროფლიგის წევრი.

**- ყველასთვის საინტერესოა, რა პრინციპით ნაწილდება საპრიზო ფონდი ეროვნულ ჩემპიონატში?**

- ჩვენ მიერ მოზიდული თანხებიდან ეროვნულ ჩემპიონატს საპრიზო ფონდად 200 000 ლარი გამოვუყავით. ეს ფული დაკავებული ადგილების მიხედვით ნაწილდება უმაღლესი ლიგის გუნდებზე, მხოლოდ პირველ ლიგაში დაქვეითებულებს არ შეხვდათ არაფერი. გარდა ამისა, სუპერთასის საპრიზო ფონდისთვის გამოყოფილია 25 ათასი ლარი. რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანია, საპრიზო ფონდი სისტემატურად იზრდებოდეს.

**- ანუ, გუნდებმა საპრიზო ფონდიდან თანხები უკვე მიიღეს?**

- ამ თანხას კლუბები ზამთარში მიიღებენ, მაგრამ ზოგმა უკვე აითვისა.

**- რას გულისხმობთ?**

- იმას, რომ ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა 30 ათასი ლარია, რაც ყველა კლუბმა სეზონის წინ სრულად უნდა გადაიხადოს. რამდენიმე კლუბმა მოგვმართა თხოვნით, რომ საპრიზო ფონდიდან ასაღები ფულით შევსებულიყო მათ მიერ გადასახადი სამონაწილეო თანხა.

**- საპრიზო ფონდიდან ასაღები თანხა 30 ათას ლარს აღემატება?**

- ზოგი გუნდისთვის კი, ზოგისთვის - არა. საპრიზო ფონდი ხომ ჩემპიონატში დაკავებული ადგილის მიხედვით ნაწილდება. თუ რა თანხა შეხვდა თითოეულ კლუბს, ამის შესახებ ინფორმაციის მიღება პროფლიგის ვებგვერდზეა შესაძლებელი. პროფლიგამ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა იმ მიმართულებით, რასაც საკუთარი პროდუქციის შეფასება და შესყიდვა ჰქვია. ლაპარაკია სატელევიზიო და სარეკლამო უფლებებზე. ტელეტრანსლაციათა უფლების გარდა, „კოლხიდამ" სარეკლამო უფლებებიც შეიძინა, თუმც მატჩის დროს მასპინძელი კლუბისთვის სარეკლამო უფლებების ნახევარია დათმობილი. კლუბები „კოლხიდასთან" გაფორმებული კონტრაქტით კმაყოფილნი რომ არ ყოფილიყვნენ, ამ კომპანიასთან ხელშეკრულებას არც გავაფორმებდით.

**- ანუ, „კოლხიდა" წარმატებით ყიდის თქვენგან ნაყიდ პროდუქციას?**

- „კოლხიდა" უკვე ყიდის ამ პროდუქტს „საზოგადოებრივ მაუწყებელზე". ამ პროექტის მოგებიდან პროფლიგას ეკუთვნის 60 პროცენტი, რომელსაც კლუბები მიიღებენ. „კოლხიდა", რა თქმა უნდა, მუშაობს, რომ თავის პროდუქტზე ფასი მაქსიმალურად გაზარდოს და, შესაბამისად, მაქსიმალური შემოსავალი მიიღოს. 60 პროცენტი კლუბებისაა.

**- და „კოლხიდას" უკვე აქვს მოგება?**

- თუ „კოლხიდა" მოგებაზე ვერ გავა, მაინც უნდა გადაგვიხადოს ფიქსირებული თანხა - წელიწადში 300 000 ლარი, ყოველწლიურად კი ეს თანხა 100 ათასი ლარით უნდა გაიზარდოს.

**- გასაგებია, მაგრამ თუ „კოლხიდა" მომგებიანი ვერ გახდება, როგორ გადაიხდის ამხელა თანხას?**

- თუ ამას ვერ მოახერხებს, მასთან კონტრაქტი ავტომატურად შეწყდება. წინასწარი გათვლებით, „კოლხიდა" სამ წელიწადში გახდება მომგებიანი, მაგრამ თუ ასე არ მოხდა, ფიქსირებული თანხა მაინც უნდა მივიღოთ.

**- გაქვთ ინფორმაცია, რამდენად რეიტინგულია „კოლხიდის" მიერ მომზადებული გადაცემები? წარმოებს ამის კვლევა?**

- „კოლხიდის" გადაცემები საკმაოდ რეიტინგულია. ტურის მიმოხილვა შეგნებულად გადის პრესტიჟულ საეთერო დროს. გვჯერა ჩვენი პროდუქციის მაღალი ხარისხის.

**- ამასწინათ, „კოლხიდამ" „ვისოლთან" გააფორმა სპონსორული ხელშეკრულება. პროფლიგის წევრი კლუბებისთვის აზრი არ უნდა ეკითხა?**

- ჩვენ უფლებები „კოლხიდას" გადავეცით, ასე რომ, არანაირი შეთანხმება აღარ არის საჭირო, თუ ვისთან ჩათვლის ის საჭიროდ კონტრაქტის გაფორმებას.

**- ახლახან, „მესხეთის" პრეზიდენტი გია მესხელი „დინამოსთან" მატჩში მოედანზე შეიჭრა და მხოლოდ 2 000 ლარით დაჯარიმდა. არ მიგაჩნიათ, რომ ეს ძალიან ლმობიერი სასჯელია და რომ დებულება გადასახედია?**

- დისციპლინარების საქმეში ვერ ჩავერევით. რაც შეეხება დებულებას, მას პროფლიგა კი ადგენს, მაგრამ ჩვენ რეალობიდან გამომდინარე ვმოქმედებთ - თუ საჯარიმო თანხას ისე გავზრდით, რომ კლუბი ვერ გადაიხდის, მაშინ რა აზრი აქვს ამ ყველაფერს?

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები



მიხეილ აშვეთია (№23)

# აშვეთიას ჰეთ-თრიკი

**მიხეილ აშვეთიამ** რუსეთის პირველი დივიზიონის 41-ე ტურის მატჩში ჰეთ-თრიკი შეასრულა და ამით ჩემპიონატში გატანილი გოლების რიცხვი 17-მდე აიყვანა. **ომარ თეთრაძის** „ანჟი" უკვე პრემიერლიგის საგზურის მქონე „როსტოვს" მასპინძლობდა. ომარმა სასტარტოში **ვალერი აბრამიძე, ზურაბ არზიანი,** მიხეილ აშვეთია და **რევაზ ჯიქია** ათამაშა. **გოჩა ხოჯავა** დისკვალიფიცირებულია, ხოლო **გიორგი ნავალოვსკისა** და **რევაზ ბარაბაძეს** ტრავმები აწუხებთ.

პირველი ტაიმის შემდეგ „როსტოვი" 2:0-ს იგებდა. 41-ე წუთზე აშვეთიამ ერთი გოლი გაქვითა. შესვენების შემდეგ 30 წლის ქართველმა ჯერ პენალტით (67-ე წუთი) გაათანაბრა ანგარიში, 70-ე წუთზე კი გამარჯვების გოლიც გაიტანა - 3:2. „ანჟი" 68 ქულით მეხუთე ადგილზეა და გაისადაც პირველ დივიზიონში მოუწევს თამაში. **გია გრიგალავას** როსტოვის ასკ შინ „ბალტიკას" დაუზავდა (1:1). გრიგალავამ 90 წუთი ითამაშა. ასკ 54 ქულით მე-13 ადგილზეა.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში განაცხადში არ ყოფილან **დავით თარგამაძე** და **ოთარ ხიზანეიშვილი.** თარგამაძის „ფრაიბურგმა" სტუმრად „ალენი" დაამარცხა - 3:0, ხოლო ხიზანეიშვილის „აუგსბურგმა", ასევე სტუმრად, „ინგოლშტადტს" მოუგო - 2:1. ავსტრიის მეორე ბუნდესლიგაში კვლავ არ უთამაშია **მირზა ბუალავას,** რომლის „აუსტრიამ" ( ლუსტენაუ) „გრატკორნი" შინ 2:1 დაამარცხა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კოჭს კოჭს არ გავუგორებ

## ყენიას მიაჩნია, რომ შალკე ბაიერნზე უკეთესია

დღეს „შალკე" ბუნდესლიგის მე-9 ტურში „არმინიას" უმასპინძლებს. 18 წლის **ლევან ყენიას** გერმანულ ელიტაში დებიუტი ჯერ არ ჰქონია და ძალიან მცირეა იმის შანსი, რომ დღეს მოედანზე გავიდეს. ყენია ჯერ კიდევ 11 ოქტომბერს, კვიპროსის ნაკრებთან მატჩისთვის ვერ იყო ჯანზე, კოჭი აწუხებდა, მაგრამ მაინც ითამაშა, ბულგარეთთან შეხვედრის წინ კი ტრავმა ისე გაუმიზეზდა, სამატჩო განაცხადშიც ვერ მოხვდა.

*„თითქოს, არამიშავს. მყესი და ხრტილი დაზიანებული არ მაქვს, მაგრამ კოჭი ისევ მტკივა. მიუხედავად ამისა, გუნდთან ერთად ვვარჯიშობ. თუმც არ ვიცი, „არმინიასთან" მატჩისთვის ვიქნები თუ არა განაცხადში"* - გვითხრა ყენიამ, როცა გელზენკირხენში დავუკავშირდით.

*„ტკივილს რომ მოვერიო, დასვენებაა საჭირო, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის, „შალკეს" ძირითადში რაც შეიძლება მალე მინდა დამკვიდრება და ვარჯიში არ უნდა შევწყვიტო. გუნდის მთავარი მწვრთნელი ფრედ რუტენი სასტარტოში დაყენებაზე ცალკე არავის ელაპარაკება, თუმც მათ, ვისაც ჯერ არ გვიწევს ხშირად თამაში, გვითხრა, ნელ-ნელა ყველაფერი იქნებაო"* - განგვიმარტა ყენიამ.

ლევანმა „შალკეს" ოფიციალურ შეხვედრაში პირველად უეფას თასზე, კვიპროსულ აპოელ-თან ითამაშა და ახლა ბუნდესლიგა აქვს დასაგემოვნებელი, რაც შორი პერსპექტივა არ უნდა იყოს. ყენია „ბაიერნის" ქომაგია, თუმც ახლა არ სჯერა ამ გუნდის და მასზე წინ „ხუმარებს" აყენებს.

*„ვფიქრობ, ამ სეზონში „ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონი ვერ გახდება. ჩვენ მეტი შანსი გვაქვს. რაც სეზონი დაიწყო, „შალკე" „ბაიერნზე" უკეთეს ფეხბურთს თამაშობს".*

**დავით თავართქილაძე**




# საქველმოქმედო მატჩი საქართველოსთვის

## აიაქსი VS ალკმაარი ოლიმპიურ სტადიონზე

„ფონდი არველაძე" აგვისტოს მოვლენებში დაზარალებულთათვის „აიაქსისა" და „ალკმაარის" ვეტერანებს შორის საქველმოქმედო მატჩის გამართვას ამსტერდამში აპირებდა. მიზეზთა გამო ეს ჯერ ვერ მოხერხდა, თუმც ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იდეას წყალი შეუდგა. „ალკმაარის" ერთ-ერთმა მწვრთნელმა **შოთა არველაძემ** გვაცნობა, რომ ამსტერდამის ოლიმპიური სტადიონის ხელმძღვანელობას შემოუთვლია - ამ მატჩისთვის ჩვენს მოედანსა და ტრიბუნებს 22 ან 29 ნოემბრისთვის ეცლებაო.

შოთა დღეს თბილისში ჩამოვა „მარადონას მატჩში" სათამაშოდ, ხოლო საქველმოქმედო თამაშის ორგანიზაციულ საკითხებს ამსტერდამში დაბრუნების შემდეგ მიხედავს.

**დავით თავართქილაძე**



არსენ ვენგერი

მეთოფეები

# არსენალში ინგლისელების დრო დგება

## ვენგერი ცვლილებებს ითხოვს

**არსენ ვენგერი** სიახლეებს თავადაც ამკვიდრებს და საფეხბურთო ჩინოვნიკებისგანაც იმავეს ითხოვს. ამ საკითხზე, დიდი ხანია, მსჯელობენ, მაგრამ **ზეპ ბლატერისა** და მისი თანამოაზრეებისაგან ყოველთვის გაუგებარი პასუხი ისმის. საუბარია ფეხბურთში ვიდეომსაჯის დამკვიდრებაზე. ფრანგი სპეციალისტი პრესასთან გამოტყდა, რომ მას ამასთან დაკავშირებით კონკრეტული წინადადებები აქვს მომზადებული. ვენგერის აზრით, საუკეთესო გამოსავალი ჩოგბურთში აპრობირებული ეგრეთ წოდებული "ქორის თვალის" დამკვიდრებაა.

სპორტის ამ სახეობის თაყვანისმცემლებს მოეხსენებათ, რომ მატჩის განმავლობაში წარმოშობილი საკამათო ეპიზოდებისას ხსენებული სისტემის გამოყენება სპორტსმენებს შეუზღუდავად შეუძლიათ, მაგრამ საკმარისია, ისინი მთავარ არბიტრს სამჯერ დაუსაბუთებლად შეედავონ, რომ უფლება ერთმევათ. შესაბამისად, ჩოგბურთელები "ქორის თვალს" მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მიმართავენ. სისტემა თვალს ადევნებს ბურთის მოძრაობას და გრაფიკულად შეუცდომლად გამოსახავს მას. ამ მხრივ მსაჯის ფიზიკურ მომზადებასა და მახვილ თვალზე გუნდების დამოკიდებულება ნულამდე დავა.

გარდა ჩოგბურთისა, მსგავსი სისტემა მოქმედებს კრიკეტსა და ამერიკულ ფეხბურთში. თანაც სპორტის ორივე სახეობაში ნებადართულია ვიდეოგამეორება ვითარების უკეთ განსჯის მიზნით. "მინდა, ფეხბურთში მსაჯების არაადეკვატური გადაწყვეტილებების რიცხვი მკვეთრად შემცირდეს. მიმაჩნია, რომ ვიდეოგამეორება საუკეთესო გამოსავალია. სწორედ ამიტომ ვემხრობი ამ იდეას. აუცილებელია, რომ გუნდს არბიტრის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ჰქონდეს. კარგი იქნება, თუკი ორივე გუნდის მწვრთნელს ტაიმში ორჯერ მიეცემა ამის საშუალება. ეს თავად გუნდების თავკაცებისთვისაც გარკვეული გამოწვევა იქნება, რადგან მათ ტაქტიკაში გარკვეულ კორექტივებს შეიტანს. ყველა ეცდება, რომ ეს უფლება მხოლოდ განსაკუთრებულ სიტუაციაში გამოიყენოს."

გარდა ზოგადი საფეხბურთო პრობლემებისა, ფრანგმა სპეციალისტმა საკუთარი კლუბის დღევანდელობაზეც ილაპარაკა. ვენგერის კომენტარი, როგორც ყოველთვის, საინტერესო იყო, ამიტომ მას აქვე გთავაზობთ: "უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ კლუბის განვითარების მიმართულებით უფრო და უფრო კმაყოფილი ვრჩები. ჩვენ ვახერხებთ მხოლოდ საკუთარი შემოსავლებით ცხოვრებას. ამიტომ სხვა კლუბების მსგავსად დოტაცია მესაკუთრეთა მხრიდან არ გვჭირდება. მიმაჩნია, რომ ეს ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია "არსენალისთვის". ამიტომ მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. ბოლო წლებში მუდამ მაღალ დონეზე ვთამაშობდით და ტიტულებამდე ორიოდე ნაბიჯი გვაკლდებოდა. გარწმუნებთ, ფინანსურ კეთილდღეობაზე უფრო ძნელი გუნდში მისაღწევი სტაბილურობის შენარჩუნებაა. შეხედეთ, ევროპაში მხოლოდ ათი გუნდია, რომლებიც ბოლო ათი წელიწადია, ჩემპიონთა ლიგის უცვლელი მონაწილეები არიან. ჩვენ ამ ათ გუნდში შევდივართ. ჩემს ოპტიმიზმს სხვა საფუძველიც აქვს – გუნდის ახალგაზრდული და იმედის მომცემი შემადგენლობა. ეს ნიშნავს, რომ ხვალ უფრო მაღალ დონეზე თამაშს შევძლებთ, ვიდრე დღეს. ძალიან დიდი ხნის განმავლობაში აქცენტი უცხოელებზე კეთდებოდა, ახლა კი გეტყვით, რომ 1 ან 2 წელიწადში გუნდში უაღრესად პერსპექტიული ინგლისელი ფეხბურთელები გამოჩნდებიან.

სწორედ დღეს, გუნდისთვის გარდამავალ ეტაპზე, საჭიროა, რომ კლუბის აქციონერებმა გენერალურ კრებაზე (გაიმართება მომავალ ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს. რედ) განვითარების გეგმას მხარი ერთხმად დაუჭირონ. ოთხი წელიწადია არაფერი მოგვიგია და არ შეიძლება ასეთი ვითარება კიდევ წლები გაგრძელდეს. კლუბის მესაკუთრეთა, გულშემატკივართა და მასმედიის საშუალებების მხარდაჭერა დღეს ყველაზე მეტად გვჭირდება. გარწმუნებთ, წარმატებების გზაზე არსენ ვენგერი კარგი მეგზური იქნება..."

აქვე "მეთოფეთა" გულშემატკივრებისთვის ერთი სასიამოვნო ინფორმაცია: მოგეხსენებათ, 23 თებერვალს გუნდის ხორვატმა თავდამსხმელმა **ედუარდო და სილვამ** უმძიმესი ტრავმა მიილო. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ფეხბურთელს კარიერის დასრულება მოუწევდა. შემდეგ ექიმებმა ივარაუდეს, რომ ის წელიწადზე მეტხანს საავადმყოფოში გაატარებდა. პესიმისტური პროგნოზი არ გამართლდა. აღდგენითი პროცესი იმაზე სწრაფად განვითარდა, ვიდრე ელოდნენ. ტრავმიდან ცხრა თვის შემდეგ ედუარდო თამაშს განაახლებს. ეს, სავარაუდოდ, 15 ნოემბერს "ასტონ ვილასთან" საშინაო მატჩისას მოხდება. ხოლო თუ ვერ მოესწრო, მაშინ 22-ში, "მანჩესტერ სიტისთან" სტუმრად ითამაშებს. სამაგიეროდ, **ტომაშ როსიცკის** გამოჯანმრთელების პროცესი დაგეგმილზე მეტად გაიწელა. წესით, ჩეხი მწყობრში ოქტომბრის ბოლოსთვის უნდა ჩამდგარიყო, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ეს იანვრამდე ვერ მოხერხდება.

**შალვა ბიბილაშვილი**



ხავიერ აგირეს მადრიდული კარიერა საფრთხეშია

ატლეტიკო

# ვილიარეალი, აგირეს ბოლო შანსი

## ენრიკე სერესომ მწვრთნელის დათხოვნა ერთი მატჩით გადადო

„ატლეტიკოსთან" დაკავშირებული აჟიოტაჟი არ ცხრება. უდიდეს ინტერესს **ხავიერ აგირესადმი** წაყენებული ულტიმატუმი განაპირობებდა. კიდევ ერთხელ მოგახსენებთ, რომ მექსიკელ მწვრთნელს დაემუქრნენ, „ლივერპულს" თუ ვერ დაამარცხებ, გუნდიდან გაგიშვებთო. „ატლეტიკომ" ინგლისურ გრანდს ვერ მოუგო, მაგრამ აგირე სახლში არ გაუშვეს. უფრო მეტიც, წუხელ „როხიბლანკოს" პრეზიდენტმა **ენრიკე სერესომ** საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და სრულიად მოულოდნელი განცხადება გააკეთა: „ვიცი, დღეს ჩემი გუნდის ცხოვრება მთელი საფეხბურთო სამყაროს ინტერესს იწვევს. შესაძლოა, ამაში პრესის დამსახურებაც იყოს, რადგან ჟურნალისტებმა გარკვეული ფაქტები გააბუქეს. სპეკულაციების თავიდან არიდების მიზნით, საჭიროდ ჩავთვალე განვაცხადო, რომ „ვილიარეალთან" შეხვედრა როგორი შედეგითაც არ უნდა დამთავრდეს, ხავიერ აგირეს არ გავათავისუფლებ."

აქ ერთი ფაქტია საინტერესო: სერესომ მხოლოდ „ვილიარეალთან" მატჩში ახსენა, რაც, ძალაუნებურად, ეჭვს იწვევს. დავუშვათ, მომდევნო ტურის შემდეგ მექსიკელი სპეციალისტი მართლა არ გაათავისუფლეს, მაგრამ „როხიბლანკოს" პრეზიდენტს არ დაუკონკრეტებია, მომდევნო წარუმატებლობის შემთხვევაში, მწვრთნელს რა ბედი ელის. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ესპანური პრესა სრული სერიოზულობით ამტკიცებს, რომ აგირეს დრო ჩართული აქვს. შესაძლოა, ერთი ტური მართლაც აცალონ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობა თამაშის ხარისხის გაუმჯობესებას ვერ შეამჩნევს და შედეგებითაც არ დაკმაყოფილდება, კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტი ვაკანტური გახდება.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ბარსელონა

# ახალი დრიმ თიმი გამორიცხულია

## გვარდიოლა დიადი ისტორიის სპეკულაციებით შებღალვას არ მიესალმება

„ბაზელთან" საჩემპიონთალიგო დაპირისპირების გამანადგურებელი ანგარიშით 5:0 მოგების შემდეგ კატალონიაში გულშემატკივრებს მადა აღეძრათ. ისინი იმედოვნებენ, რომ ასეთ შთამბეჭდავ თამაშებს კიდევ არაერთხელ იხილავენ. სიხარული იმდენად დიდია, რომ მიმომხილველებმა ლეგენდარულ „დრიმ თიმთან" დაიწყეს პარალელის გავლება. ისინი არაფრად აგდებენ იმ საინტერესო გარემოებას, რომ „ბაზელი" ერთი საშუალოზე დაბალი დონის ევროპული კლუბია. მოკლედ, ექსპერტები სრული სერიოზულობით აცხადებენ, „ბარსას" ამ შემადგენლობას ახალი „დრიმ თიმის" შექმნის პოტენციალი გააჩნიაო. თითქოს, ჟურნალისტებმა პირი შეკრეს, ამ შინაარსის სტატიები პრაქტიკულად ყველა კატალონიურ გაზეთში დაიბეჭდა. ასეთ დროს, მთავარი მწვრთნელის მოსაზრება ძალიან საინტერესოა. ამიტომ, მასმედიის მოთხოვნით, **ხოსეპ გვარდიოლამ** პრესკონფერენცია გამართა. „ბარსას" დამრიგებელმა ჟურნალისტების ენთუზიაზმს ცივი წყალი გადაასხა: „მე მესმის თქვენი აღფრთოვანების. მეც ძალიან ბედნიერი ვარ, მაგრამ გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ იმ „დრიმ თიმს", რომელმაც 1992 წელს ჩემპიონთა თასი მოიპოვა, ვერ შევედრებით, ახლოსაც ვერ მივალთ. „ბარსელონა" მაშინ სულ სხვანაირი იყო. დიადი და განუმეორებელი. ღმერთმა ქნას, ჩვენ უფრო დიდ წარმატებებს მივაღწიოთ, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ 90-იანი წლების გუნდის ფეხბურთი მიუწვდომელი იქნება. ჯობია ახალ ეპოქაზე ვიფიქროთ. არ მიყვარს, როცა წარსულთან პარალელებს ავლებენ. ხომ არ შეიძლება ვთქვათ, რომ რომელიმე თანამედროვე მხატვარი პიკასოს მასშტაბებს მიაღწევს. მოდით, „დრიმ თიმი" ხელუხლებლად დავტოვოთ. ის ხომ ჩვენი ისტორიის მარგალიტია. ჟურნალისტებს უმორჩილესად ვთხოვ, კარგად გამიგონ და საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, აჟიოტაჟი ჩააცხრონ. ეს არავის არგებს. ფეხბურთელები დაიძაბებიან და იფიქრებენ, დღეს სასწაულს თუ არ მოვახდენ, კრიტიკის ქარცეცხლში მოვხვდებიო. არადა, ადამიანს ყოველთვის არ შეუძლია სასწაულის მოხდენა."



ხოსეპ გვარდიოლა და ტიერი ანრი

კატალონიურ საფეხბურთო წრეებში გავრცელებული ჭორების თანახმად, **ბოიან კრკიჩსა** და პეპ გვარდიოლას უკიდურესად დაეძაბათ ურთიერთობა. თითქოს, ახალგაზრდა ფორვარდი უთამაშებლობის გამო გამოხატავს უკმაყოფილებას. მართალია, ჩემპიონთა ლიგის წინა ტურში მან დუბლი შეასრულა, მაგრამ სტატისტიკურ მონაცემებს თვალს თუ გადავავლებთ, აღმოვაჩენთ, რომ ბოიანი **ფრენკ რაიკაარდის** დროს მოედანზე გაცილებით დიდ დროს ატარებდა. კრკიჩი პრესას ყოველდღიურად ეცნობა და როგორც კი დაინახა, რომ გვარდიოლასთან არსებულ კონფლიქტზე საუბარმა არნახულ მასშტაბს მიაღწია, პრესკონფერენცია გამართა: „ეს ტყუილია და სხვა არაფერი. მე ახალგაზრდა მოთამაშე ვარ და არანაირი უფლება არ მაქვს, მწვრთნელის მისამართით უკმაყოფილება გამოვხატო. ჯერ ყველაფერი წინ მაქვს. თანაც ვითვალისწინებ, რომ „ბარსაში" უდიდესი კონკურენციაა. აბა, დაფიქრდით, გვარდიოლამ ეტოოს ნაცვლად რატომ უნდა დამაყენოს, ის ხომ ჩემზე ბევრად გამოცდილი ფორვარდია. ჩემი მთავარი ამოცანა ვარჯიში, მუშაობა და დუმილია. ამ პრესკონფერენციასაც არ გავმართავდი, მაგრამ მითქმა-მოთქმამ ძალიან დიდი მასშტაბი შეიძინა."

ამასობაში, ბარსელონელთა ხელმძღვანელობამ შემაშფოთებელი ინფორმაცია მიიღო. „არსენალი" **სერხიო ბუსკეტსის** შეძენითაა დაინტერესებული. ეს ინტერესი იმდენად დიდია, რომ მეთოფეები ახალგაზრდა ფეხბურთელის სანაცვლოდ 27 მილიონი ევროს გადახდის მზადყოფნას გამოთქვამენ. ეს ძალიან დიდი თანხაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, **ჟოან ლაპორტა** ბუსკეტსის გაყიდვის იდეას არ მიესალმება. ესპანური გიგანტის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, სერხიოს ახალი კონტრაქტი შესთავაზოს და ამ ხერხით პერსპექტიული მოთამაშე დიდი ხნით შეინარჩუნოს. ხელშეკრულებაზე იურისტები მუშაობენ და უახლოეს მომავალში ბუსკეტს პრეზიდენტის კაბინეტში დაიბარებენ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. VIII ტურის წინ

# ბარსამ მეტოქე ნაგებას წინასწარ შეაგუა

## ვან ნისტელროის საკითხი დღეს გადაწყდება

| დღეს | |
|---|---|
| ოსასუნა-ბეტისი | 22:00 |
| ბარსელონა-ალმერია | 00:00 |
| **ხვალ** | |
| რეკრეატივო-ვალენსია | 21:00 |
| ხეტაფე-ვალიადოლიდი | 21:00 |
| სევილია-მალაგა | 21:00 |
| მალიორკა-ესპანიოლი | 21:00 |
| დეპორტივო-სპორტინგი | 21:00 |
| ნუმანსია-რასინგი | 21:00 |
| ვილიარეალი-ატლეტიკო | 23:00 |

მერვე ტურში ყველაზე დიდ ინტერესს, ალბათ, „რეალისა“ და „ბილბაოს“ დაპირისპირება იწვევს. წყვილებს თვალს თუ გადავავლებთ, მივხვდებით, რომ ყველაზე სანახაობრივი მატჩი სწორედ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უნდა გაიმართოს. როგორც ყოველთვის, გუნდები მორიგი ტურისთვის მთელი შემართებით ემზადებოდნენ. ტრადიციულად, მთავარ მწვრთნელებს გარკვეული პრობლემები ჰქონდათ. ეს პრობლემები, რა თქმა უნდა, ტრავმებთან და დისკვალიფიკაციებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, **ბერნდ შუსტერს** ბოლო წამამდე არ ეცოდინება, შეძლებს თუ არა **გონსალო იგუაინის** გამოყენებას. არგენტინელმა ფორვარდმა „იუვენტუსთან“ საჩემპიონთალიგო შეხვედრაში ტრავმა მიიღო. ექიმები ფიქრობდნენ, რომ ეს უმნიშვნელო შემთხვევა იყო, მაგრამ სამხრეთამერიკელს ტკივილმა დიდხანს არ გაუარა. მიუხედავად იმისა, რომ გონსალოს ვარჯიშები გაუცდა, შუსტერი მას განაცხადში მაინც შეიყვანს. იმ შემთხვევაში, თუ ფორვარდი დროულად გამოჯანმრთელდება, შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაშიც დააყენოს. ამასობაში, **მაჰამადუ დიარამ** ტრავმა სრულიად მოირჩინა. შეგახსენებთ, აფრიკელმა ნახევარმცველმა 2010 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო შეხვედრაში მიიღო ტრავმა. სამეფო კლუბის ექიმების მეცადინეობით, მას ტკივილებმა გაუარა. მაჰამადუმ პარასკევის ვარჯიში სრული დატვირთვით ჩაატარა და მწვრთნელზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

ფაქტობრივად, გამოჯანმრთელდა **გუტიც**, თუმცა, ხოსე მარიას თამაში საეჭვოა, რადგან ის არ არის ასი პროცენტით მზად. გერმანელ სპეციალისტს არ უნდა, რომ შეგირდის ჯანმრთელობით გარისკოს. შეგახსენებთ, გუტიმ ტრავმა სექტემბრის დასაწყისში მიიღო. „რასინგთან“ მატჩში მას ძლიერად ჩაარტყეს და ხანგრძლივად გამოიყვანეს მწყობრიდან. ხუთშაბათს ფეხის ტკივილმა **რუუდ ვან ნისტელროიც** შეაწუხა, მაგრამ ტრავმა მეორე დღესვე მოიშუშა და ნაყოფიერად იმუშავა. მიუხედავად ამისა, ჰოლანდიელი მოედანზე ალბათ, მაინც ვერ გავა, რადგან ერთი კვირის წინ „ატლეტიკოსთან“ მატჩში წითელი ბარათი მიიღო. სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტში აპელაციის შეტანას აპირებს. ეს ორგანო გადაწყვეტილებას, დღეს საღამოს მიიღებს.

„ბილბაოს“ მთავარი მწვრთნელი **ხოაკინ კაპაროსი** გულწრფელად ამბობს, რომ „სანტიაგო ბერნაბეუდან“ ქულის წამოღებაც გმირობა იქნება. ბასკების თავკაცი იმასაც გვიმხელს, რომ „ბარსელონასთან“ სამი ქულის დაკარგვა ჯერაც არ მოუნელებია. ძნელი სათქმელია, რატომ განიცადის ასე მტკივნეულად ამ მარცხს. თუ თამაშს უყურეთ, დაგვეთანხმებით, რომ „ბილბაო“ არანაირ უპირატესობას არ ფლობდა, პირიქით, „ბარსელონას“ გაცილებით მეტი საგოლე მომენტი ჰქონდა. ესპანური მედიის ცნობით, კაპაროსმა, შესაძლოა, **ხოსება ეჩებერია** ძირითად შემადგენლობაში დააყენოს.

პრიმერა დივიზიონის ერთპიროვნული ლიდერი „ვალენსია“ „რეკრეატივოსთან“ გასვლით შეხვედრაში მხოლოდ და მხოლოდ სამი ქულის მოპოვებაზე იფიქრებს. ეს პირველი შემთხვევაა, როცა **უნაი ემერის** ფაქტობრივად, სრულ შემადგენლობასთან მუშაობა მოუხდა. რატომ ფაქტობრივად? იმიტომ, რომ **დავიდ სილვას** უმძიმესი ტრავმა ჯერაც არ მოუშუშებია. შესაბამისად ფეხბურთელების სრული შემადგენლობით ვარჯიშზე საუბარი ნაადრევია. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სიტუაცია მნიშვნელოვნად გამოსწორდა. ადრე, ტრავმების გამო, ახალგაზრდა სპეციალისტს არასრულფასოვანი ვარჯიშების ჩატარება უწევდა... **ფერნანდო მორიენტესმა** და **ტიმო ჰილდებრანდმა** ტრავმები მოიშუშეს. ისინი პარასკევის ვარჯიშზე ყველაზე მოტივირებული იყვნენ და მწვრთნელის მითითებებს უსიტყვოდ ასრულებდნენ. ემერი „რეკრეატივოს“ ბრძოლისუნარიან კლუბს უწოდებს და აცხადებს, რომ უელვადან სამი ქულის წამოღება იოლი არ იქნება. თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „ღამურების“ ერთადერთი ამოცანა გამარჯვებაა.

„ვალენსიისგან“ განსხვავებით, „სევილიას“ უმწვავესი საკადრო პრობლემები აქვს. ამ გუნდს ფატალურად არ უმართლებს, რადგან სეზონი ისე არ ჩაივლის, ტრავმების ეპიდემიამ არ დარიოს ხელი. ამჯერადაც ასე მოხდა. „მალაგასთან“ მატჩის წინ **მანოლო ხიმენესს** ერთადერთი ფორვარდი შემორჩა. **ლუიშ ფაბიანოს** გარდა ყველა დანარჩენი ლაზარეთში მკურნალობს. სენიორ ხიმენესს სათადარიგო გუნდის თავდამსხმელის **აკოსტას** იმედი ჰქონდა, მაგრამ არგენტინელმა „შტუტგარტთან“ შეხვედრაში ტრავმა მიიღო. პრობლემებს მხოლოდ თავდასხმის ხაზში არ ვაწყდებით. სრული შთაბეჭდილების შესაქმნელად, მოგახსენეთ, რომ ანდალუსიელებს დაცვის ერთ-ერთი ბურჯი **დრაგუტინოვიჩი** და უნიჭიერესი ნახევარმცველი **დიეგო კაპელი** ვერ დაეხმარებიან.

„ვილიარეალი“ პრიემრა დივიზიონში წაუგებელ სვლას აგრძელებს. **მანუელ პელეგრინი** წინა ტურში „ესპანიოლს“ დაუზავდა და ეს ძალიან განიცადა. ჩილელი სპეციალისტი სულ იმას ამბობს, კატალონიელებისთვის უნდა მოგვეგო, მაგრამ უსამართლოდ დავისაჯეთო. არადა, იმ შეხვედრაში **რაულ ტამუდომ** პენალტი ვერ გაიტანა. „ვილიარეალი“ მისმა მეკარემ **ლოპესმა** იხსნა. „ყვითლებს“ ამჯერად ძალიან რთული შეხვედრის გამართვა მოუწევთ. „ელ მადრიგალს“ „ატლეტიკო“ სტუმრობს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ მასპინძელთა ერთ-ერთ საკვანძო ფეხბურთელს **სანტი კასორლას** კოჭის ტკივილი აწუხებს. ექიმების დიდი მცდელობის მიუხედავად, მას გასიებული ფეხი არ ჩაუცხრა. თუმცა პელეგრინი იმედს არ კარგავს და დარწმუნებით აცხადებს, რომ კასორლა „ატლეტიკოსთან“ ნებისმიერ შემთხვევაში ითამაშებს. ძნელი სათქმელია, სამხრეთამერიკელი სპეციალისტის ასეთ ოპტიმიზმს რა განაპირობებს. მას გულწრფელად სჯერა, რომ სანტი ტრავმას დროულად მოიშუშებს.



რუუდ ვან ნისტელროი იუვენტუსთან [illegible]

რაც შეეხება „ატლეტიკოს“, ეს გუნდი გასვლითი შეხვედრის ჩასატარებლად სერიოზული პრობლემებით გაემგზავრა. „როხიბლანკოს“ მთავარი უბედურება, ალბათ, ფეხბურთელების გადაღლილობაა. უნდა გავითვალისწინოთ, სეზონი არცთუ დიდი ხანია დაიწყო. ყოველ შემთხვევაში, რვა ტურის შემდეგ მოთამაშეები არაქათის გამოცლას არ უნდა უჩიოდნენ. შესაძლოა, ეს მადრიდელთა ფიზმომზადების სპეციალისტის ცუდი მუშაობის შედეგი იყოს. მიმომხილველების ვარაუდით, **ხავიერ აგირე სერხიო აგუეროს** კვლავ სათადარიგოთა სკამზე დასვამს. როგორც იცით, „ლივერპულთან“ მატჩში არგენტინელი ძირითადში ვერ მოხვდა. თუმცა მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

მოკლედ „ბარსელონის“ შესახებაც მოგახსენებთ. კატალონიელებმა ბაზელში მოპოვებული ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ ხუთშაბათს მსუბუქად ივარჯიშებს, პარასკევს კი ნაყოფიერი ვარჯიში ჩაატარეს. სავარაუდოდ, **ხოსეპ გვარდიოლა** ძირითად შემადგენლობაში „კანტერის“ რამდენიმე აღზრდილს დააყენებს. პეპი როტაციების დიდი მოყვარულია და მიიჩნევს, რომ ფეხბურთელებმა ერთმანეთს უნდა დაუთმონ ადგილი. ამით ისინი ენერგიას დაზოგავენ და „ბარსელონას“ უფრო გამოადგებიან. კატალონიელებს საკადრო პრობლემები არ ემუქრებათ. ჯერჯერობით ყველა ჯანმრთელადაა.

„ალმერიის“ მთავარი მწვრთნელი **გონსალო არკონადა** უთავმოყვარეოდ აცხადებს, რომ „კამპ ნოუდან“ ერთი ქულის წამოღება პრაქტიკულად შეუძლებელია. გუშინდელ პრესკონფერენციაზე მან ღიად თქვა, წაგებას წინასწარ ვარ შეგუებულიო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალენსია | 7 | 6 | 1 | 0 | 17-4 | 19 |
| 2. სევილია | 7 | 5 | 2 | 0 | 13-4 | 17 |
| 3. ვილიარეალი | 7 | 5 | 2 | 0 | 9-3 | 17 |
| 3. ბარსელონა | 7 | 5 | 1 | 1 | 19-7 | 16 |
| 4. რეალი | 7 | 5 | 1 | 1 | 20-10 | 16 |
| 6. ალმერია | 7 | 3 | 2 | 2 | 9-8 | 11 |
| 7. მალაგა | 7 | 3 | 1 | 3 | 8-9 | 10 |
| 8. ატლეტიკო | 7 | 3 | 0 | 4 | 13-12 | 9 |
| 9. ხეტაფე | 7 | 2 | 3 | 2 | 8-8 | 9 |
| 10. ესპანიოლი | 7 | 2 | 3 | 2 | 6-7 | 9 |
| 11. დეპორტივო | 7 | 2 | 3 | 2 | 5-6 | 9 |
| 12. მალიორკა | 7 | 2 | 2 | 3 | 5-10 | 8 |
| 13. ვალიადოლიდი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-8 | 7 |
| 14. რასინგი | 7 | 1 | 3 | 3 | 4-8 | 6 |
| 15. სპორტინგი | 7 | 2 | 0 | 5 | 10-21 | 6 |
| 16. ბეტისი | 7 | 1 | 2 | 4 | 7-8 | 5 |
| 17. ბილბაო | 7 | 1 | 2 | 4 | 4-10 | 5 |
| 18. რეკრეატივო | 7 | 1 | 2 | 4 | 3-12 | 5 |
| 19. ოსასუნა | 7 | 0 | 4 | 3 | 3-6 | 4 |
| 20. ნუმანსია | 7 | 1 | 1 | 5 | 5-13 | 4 |



ალან ძაგოევი ბასტიან შვაინშტაიგერის წინააღმდეგ

რეალი

# მიატოვიჩს ბოდვები დაეწყო

## რონალდო და ბენზემა გასაგებია, მაგრამ ძაგოევი რამ აფიქრებინა?

„რეალის“ ხელმძღვანელობამ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ფეხბურთელი სერიოზულ ტრავმას არ მიიღებს და ლაზარეთში ხანგრძლივი ვადით არ აღმოჩნდება, მადრიდული გრანდი იანვარში ახალ მოთამაშეებს არ შეიძენს. ამ გადაწყვეტილებამდე **რამონ კალდერონი** და **პრედრაგ მიატოვიჩი ბერნდ შუსტერთან** კონსულტაციის შემდეგ მივიდნენ. ამავე შეხვედრაზე მსოფლიო გრანდის ხელმძღვანელებმა სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს. მომავალი სეზონი კალდერონის ბოლო საპრეზიდენტო წელია, ამიტომ ის სისხლხორცეულადაა დაინტერესებული, რომ სამეფო კლუბმა საუკეთესო შედეგებს მიაღწიოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მანდატის შენარჩუნება გაუჭირდება. არჩევნებში აუცილებლად კონკურენტები მოუგებენ. წარმატებულ სეზონს კი ძლიერი ფეხბურთელები ჩაატარებენ. ამიტომ, სამეულის შეხვედრაზე კიდევ ერთი რამ გადაწყდა. „რეალი“ ამ სეზონის დასრულებისთანავე **კრისტიანო რონალდოსთვის** ბრძოლას გააგრძელებს. გარდა ამისა, მიატოვიჩი **კარიმ ბენზემას** შეძენასაც შეეცდება. მიუხედავად იმისა, რომ მაისამდე ძალიან დიდი დროა, კლუბის გენერალური დირექტორი მოსალოდნელ ტრანსფერებზე მთელი სერიოზულობითა და ენთუზიაზმით საუბრობს. მიატოვიჩი დარწმუნებულია, რომ გასული ზაფხულისგან განსხვავებით, მომავალ წელს რონალდოს შეძენას მოახერხებენ. ის ბენზემაზეც ამავეს ფიქრობს. პრედრაგის აზრით, პორტუგალიელი და ფრანგი ვარსკვლავების გადაბირება „რეალს“ ერთიორად გააძლიერებს.

„სანტიაგო ბერნაბეუდან“ **დევიდ ბექჰემის** წასვლის შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ინგლისელ ვარსკვლავს დღემდე მრავალი გულშემატკივარი მისტირის. მადრიდელებს ერთი აზრი აეკვიატათ, იქნებ, ახალი ბექჰემი ვიპოვოთო. ინიციატივა მიატოვიჩმა დირექტორთა საბჭოზე შოკის მომგვრელი წინადადება გაახმაურა. ჩერნოგორიელი საფეხბურთო ფუნქციონერის მტკიცებით, ახალი ბექჰემი ახლა მოსკოვში ცხოვრობს და ცსკა-ს ღირსებას იცავს. მისი სახელი და გვარი, არც მეტი, არც ნაკლები, **ალან ძაგოევია**. ძნელი სათქმელია, მიატოვიჩს რა აძლევს ასეთი მკვეთრი დასკვნის გაკეთების საბაბს. ძაგოევი მართლაც ნიჭიერ ნახევარმცველად მიიჩნევა, მაგრამ ამოსაწყვეტი რუსული არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ახალგაზრდა ფეხბურთელის ახალ ბექჰემად მონათვლა სარისკო საქმესთან ერთად, უპასუხისმგებლობაც არის. სიმართლე გითხრათ, ეჭვი გაგვიჩნდა, სპეკულაციასთან ხომ არ გვაქვს საქმე-თქო, მაგრამ ამ ინფორმაციას ესპანეთის ყველაზე პრესტიჟული და ავტორიტეტული სპორტული გამოცემა „დიარიო მარკა“ ავრცელებს. მადრიდული გაზეთი შავით თეთრზე წერს, ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ მიატოვიჩი სეზონის დასრულების შემდეგ ძაგოევის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჩაყვანას შეეცდებაო. გაზეთის თანამშრომლებს ეს ინფორმაცია მისი გარემოცვიდან მოუპოვებიათ.

დასასრულს, იმას მოგახსენებთ, რომ 18 წლის ძაგოევს ამ სეზონში 8 გოლი აქვს გატანილი. შთამბეჭდავი მონაგარია, მაგრამ სად ბექჰემი და სად ალანი.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



რეალის შემდეგ, ახლა ტორინოს ჯერია

იტალია. სერია A. VIII ტურის წინ

# ფოკუსში ტურინია

| დღეს | |
|---|---|
| სიენა-კატანია | 20:00 |
| იუვენტუსი-ტორინო | 22:30 |
| **ხვალ** | |
| ატალანტა-მილანი | 18:00 |
| კალიარი-კიევო | 18:00 |
| ინტერი-ჯენოა | 18:00 |
| ლაციო-ნაპოლი | 18:00 |
| რეჯინა-ლეჩე | 18:00 |
| სამპდორია-ბოლონია | 18:00 |
| უდინეზე-რომა | 18:00 |
| პალერმო-ფიორენტინა | 23:30 |

იტალიის ჩემპიონატის მერვე ტურში გრანდთა დაპირისპირებას ვერ ვიხილავთ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უინტერესო ტური გველოდება. ევროასპარეზზე ნაომარი აპენინური გუნდები ეროვნულ ჩემპიონატში შეეცდებიან საკუთარი ძალების ზამტკიცებას და წესით, რამდენიმე საინტერესო შეხვედრის მომსწრე უნდა გავხდეთ.

ეს, უპირველესად, ტურინულ დერბიზე ითქმის. „იუვენტუსმა" შუა კვირაში მადრიდის „რეალი" დაამარცხა და წახდენილი ხასიათი გამოიკეთა. „ბებერი ქალბატონის" კრიზისზე დღეს გაცილებით ნაკლებს საუბრობენ, რაც გუნდის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე დადებითად უნდა აისახოს.

„ტორინო" უკანასკნელ შეხვედრებში ძალიან ცუდად გამოიყურება. „გრანატა" წინა ტურში საკუთარ კედლებში „კალიარისთან" დამარცხდა და სატურნირო ცხრილში მე-17 პოზიციაზე დაეშვა. მიუხედავად ამისა, „ტორინოს" ბანაკში ოპტიმისტურ განწყობას ინარჩუნებენ და შაბათის შეხვედრაში სამი ქულის აღებასაც კი გეგმავენ. ყოველ შემთხვევაში, გუნდის მთავარი მწვრთნელის, **ჯანი დე ბიაზის** სიტყვებიდან სწორედ ამ დასკვნის გამოტანა შეგვიძლია: *„ბოლო შეხვედრები ძალიან ცუდად ჩავატარეთ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მომავალშიც ასე გაგრძელდება. დეტალურად გავაანალიზეთ „კალიარისთან" დაშვებული შეცდომები და დასკვნებიც გამოვიტანეთ. „იუვე" ძალიან ძლიერია, თუმცა ეს არ გვაშინებს. რისთვის ვიბრძოლებთ? - მხოლოდ გამარჯვებისთვის, სხვაგვარად მოედანზე გასვლას არავითარი აზრი არ აქვს".*

„ტორინოს" თავკაცი შეტევაში **ნიკოლა ამორუზოს** და **როლანდო ბიანკის** იმედზეა. მათ უკან, რა თქმა უნდა, გუნდის ლიდერი **როსინა** იმოქმედებს. კვლავ დიდი დანაკლისი აქვს **კლაუდიო რანიერის** - ტრავმები მიმდინარე სეზონში „იუვეს" უმთავრესი პრობლემაა და ჯერჯერობით გამოსავალიც არ ჩანს. „ტორინოს" წინააღმდეგ რანიერი ერთბაშად შვიდ ფეხბურთელს მოისაკლისებს. აი, მათი ჩამონათვალიც: **კრისტანო ძანეტი, ჟორჟე ანდრადე, ჯანლუიჯი ბუფონი, მაურო კამორანეზი, დავიდ ტრეზეგე, ჯონათან ძებინა, კრისტიან პოულსენი.**

ტურინული დერბი ყოველთვის უშეღავათო ბრძოლაში მიმდინარეობს და წესით, ასე უნდა იყოს შაბათ საღამოსაც. ფავორიტი რა თქმა უნდა „იუვეა", მაგრამ დერბის თავისი სპეციფიკა აქვს და პროგნოზების კეთებაც უმადური საქმეა. **ალესანდრო დელ პიეროც** ამ აზრზეა: *„ურთულესი მატჩი გველის და აუცილებლად სამი ქულა უნდა ავიღოთ. „რეალთან" პაექრობამ დიდი ძალები წაგვართვა, თუმცა დერბი მოტივაციას გვმატებს და წესით, დაღლილობა არ უნდა შეგვეტყოს. ბევრი ფიქრობს, რომ ესპანელებთან გამარჯვება შემთხვევითი იყო, „ტორინოს" ძლევით უნდა დავატკიცოთ, რომ კრიზისი დაძლეულია და აღმავლობის გზას ვადგავართ".*

„იუვენტუსს" მართლაც ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი, ისევე როგორც გასავარდნ ზონასთან ახლოს მყოფ „ტორინოს", ასე რომ, დერბი, წესით, ძალიან საინტერესო უნდა გამოვიდეს.

„ინტერი" „ჯენოას" მიიღებს და შეეცდება, წარმატებული მატჩების სერია კიდევ უფრო გაზარდოს. **ჟოზე მოურინიო** კვლავ სამი ფორვარდით აპირებს თამაშს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამჯერად შეტევაში, **იბრაჰიმოვიჩთან** ერთად, **რიკარდო კვარეშმა** და **ხულიო კრუსი** გაირჯებიან. პორტუგალიელი როტაციის პრინციპს კარგად იყენებს და ფეხბურთელებს მორიგეობით აძლევს თავის გამოჩენის საშუალებას. ერთადერთი ვინც ხელშეუხებელია, ზლატან იბრაჰიმოვიჩი გახლავთ. სასტარტოში იქნება **დეიან სტანკოვიჩიც,** სერბი ნახევარმცველი „რომასთან" თამაშში გამოირჩა და მოურინიოს ნდობაც დაიმსახურა. მის მხარდამხარ შუა ხაზში **კამბიასო** და **ძანეტი** ისპარეზებენ.

„ჯენოა" კონტრიერიშებზე ითამაშებს და შეტევაში **დიეგო მილიტოს** იმედზე იქნება. არგენტინელი შესანიშნავ სეზონს ატარებს და თითქმის ყველა პრინციპულ შეხვედრაში გააქვს გოლი. გენუელები მილანში მინიმუმ ქულის ასაღებად ჩავიდნენ, რასაც მილიტოს სიტყვებიც მოწმობს: *„ახალ გუნდს შესანიშნავად მოვერგე და მსურს, აქ, რაც შეიძლება, დიდხანს დავრჩე. „ინტერთან" მოსაგებად ვითამაშებთ, თუმცა რა დასამალია, რომ არც ფრე დაგვწყვეტს გულს. მოურინიომ ბრწყინვალე გუნდი ჩამოაყალიბა, ვფიქრობ, „ინტერი" ჩემპიონატის ფავორიტია".* „ნერაძური" ჯერჯერობით სათავეში უდგას სატურნირო ცხრილს და საყოველთაო ვარაუდით, პოზიცია არც მერვე ტურის შემდეგ უნდა დაკარგოს.

მეორე მილანური გუნდი ბერგამოს ესტუმრება და იქაურ „ატალანტას" გაეჯიბრება. **კარლო ანჩელოტის** შეგირდებმა ხუთშაბათს უეფას თასზე ითამაშეს და პირველი გამარჯვება მოიპოვეს. „როსონერიმ" ჰოლანდიური „ჰერენვეენი" მისსავე მოედანზე დაამარცხა და ჯგუფური ეტაპი წარმატებით დაიწყო. ექსპერტებმა და ჟურნალისტებმა „მილანის" თამაში დადებითად შეაფასეს და აღნიშნეს, რომ გუნდი აშკარად აღმავლობის გზაზეა. „ატალანტას" წინააღმდეგ „შავ-წითლებს" **რონალდინიო** დაუბრუნდება. **კაკასა** და **ბორიელოსთან** ერთად, ის შემტევ სამკუთხედს შექმნის. სასტარტოში იქნება **კლარენს ზეედორფი**, რომელიც ნახევარდაცვაში **ამბროზინისა** და **ფლამინისთან** ერთად გაირჯება. „მილანის" ტიფოზებისთვის სასიხარულო ამბავიც გვაქვს. მოედანს უბრუნდება **ალესანდრო ნესტა.** კარლეტო მას ძირითადში დააყენებს და ცენტრში **პაოლო მალდინის** შეუწყვილებს.

ლომბარდიული დერბი, წესით, ძალიან საინტერესო უნდა გამოდგეს, რადგან „ატლანტა" მიმდინარე სეზონს ჩინებულად ატარებს და ნებისმიერი გუნდისთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს. მერვე ტურის მთავარი ინტრიგა კი ისაა, დაკარგავენ თუ არა ფავორიტები საჭირო ქულებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 7 | 5 | 1 | 1 | 13-5 | 16 |
| 2. უდინეზე | 7 | 4 | 2 | 1 | 12-5 | 14 |
| 3. კატანია | 7 | 4 | 2 | 1 | 8-4 | 14 |
| 4. ნაპოლი | 7 | 4 | 2 | 1 | 10-7 | 14 |
| 5. ლაციო | 7 | 4 | 1 | 2 | 15-10 | 13 |
| 6. მილანი | 7 | 4 | 1 | 2 | 11-6 | 13 |
| 7. ფიორენტინა | 7 | 4 | 1 | 2 | 9-6 | 13 |
| 8. ატალანტა | 7 | 4 | 1 | 2 | 8-6 | 13 |
| 9. ჯენოა | 7 | 4 | 0 | 3 | 10-7 | 12 |
| 10. პალერმო | 7 | 4 | 0 | 3 | 10-10 | 12 |
| 11. ლეჩე | 7 | 2 | 3 | 2 | 8-8 | 9 |
| 12. იუვენტუსი | 7 | 2 | 3 | 2 | 6-6 | 9 |
| 13. სიენა | 7 | 2 | 2 | 3 | 5-5 | 8 |
| 14. რომა | 7 | 2 | 1 | 4 | 8-12 | 7 |
| 15. ბოლონია | 7 | 2 | 0 | 5 | 6-10 | 6 |
| 16. კიევო | 7 | 1 | 3 | 3 | 5-9 | 6 |
| 17. ტორინო | 7 | 1 | 2 | 4 | 7-11 | 5 |
| 18. სამპდორია | 7 | 0 | 4 | 3 | 4-11 | 4 |
| 19. კალიარი | 7 | 1 | 1 | 5 | 2-10 | 4 |
| 20. რეჯინა | 7 | 0 | 2 | 5 | 4-13 | 2 |

ლაშა წიკლაური

გერმანია. ბუნდესლიგა. IX ტურის წინ

# თოთო ჰოფე, თუ ბებერი ჰამბურგი?

| გუშინ | |
|---|---|
| ლევერკუზენი-კიოლნი | 2:0 |
| **დღეს** | |
| ბაიერნი-ვოლფსბურგი | 17:30 |
| შალკე-არმინია | 17:30 |
| ჰანოვერი-ვერდერი | 17:30 |
| კოტბუსი-აინტრახტი | 17:30 |
| ბორუსია (მ)-კარლსრუე | 17:30 |
| **ხვალ** | |
| ბორუსია (დ)-ჰერტა | 20:00 |
| ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი | 20:00 |
| შტუტგარტი-ბოხუმი | 20:00 |



რალფ რანგნიკი მარტინ იოლის წინააღმდეგ

„ბაიერნი" ხასიათზე მოვიდა. „კარლსრუესთან" (1:0) და განსაკუთრებით, „ფიორენტინასთან" (3:0, ჩემპიონთა ლიგაში) მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ, რეკორდმაისტერში მნიშვნელოვნად გამოიდარა. დღეს ბავარიელები „ვოლფსბურგს" მასპინძლობენ, გუნდს, რომელსაც მიუნხენელთა ყოფილი დამრიგებელი **ფელიქს მაგათი** წვრთნის და გუნდს, რომლის დამარცხება ძალიან ძნელია. მაგათის გუნდს მხოლოდ ერთი წაგება აქვს და 13 ქულით მეხუთე ადგილზეა. **იურგენ კლინსმანის** სამწყსოს 1-ით ნაკლები ქულა აქვს, მაგრამ ცხრილში გაცილებით ქვემოთ, მე-11 ადგილზე იმყოფება. „ბაიერნს" დღეს არც **ფილიპ ლამი** ეყოლება და არც **ლუკა ტონი** – ორივე ტრავმირებულია. ლამს **კრისტიან ლელი** შეცვლის, იტალიელს კი **ლუკას პოდოლსკი.** „ვოლფსბურგის" შესანიშნავ ფორმაში მყოფი გამთამაშებელი **ზვიეზდან მიშიმოვიჩი** ამბობს, ჩვენ უკეთეს ფორმაში ვართ და ნურავინ იტყვის, რომ „ბაიერნი" ფავორიტიაო. არადა, მიუნხენში ამ ორ გუნდს შორის გამართული მატჩების ბალანსი აშკარად „ვოლფსბურგის" წინააღმდეგ მეტყველებს: „მგლებმა" მიუნხენში ბოლო 11 თამაშიდან 10 წააგეს, მხოლოდ ერთხელ გაახერხეს ფრე და არც ერთხელ არ მოუგიათ.

ძალიან ცუდი ბალანსი აქვს „არმინიასაც", ოღონდ, გელზენკირხენში: 1/4/9. ბილეფელდელთა ერთადერთი გამარჯვება (სტუმრად, "შალკესთან") 1971 წლით თარიღდება. „შალკემ" უეფას თასზე ისპარეზა და ოდნავ გადაღლილია. **ფრედ რუტენი** „არმინიასთან" **ჰაიკო ვესტერმანს** ვერ დაიხმარს.

„ჰანოვერი" ბრემენის „ვერდერთან" მატჩის წინ არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია. „წითლებს" დაცვაში ისედაც სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდათ და ახლა **ვინიციუსიც** დაუშავდათ. ისე გამოდის, რომ დაცვაში **ჰანო ბალიტშმა** უნდა დაიხიოს – **დიტერ ჰეკინგს** სხვა გამოსავალი არ აქვს. წინა ტურში „ჰანოვერი" „ჰოფენჰაიმთან" განადგურდა (2:5) და მწვრთნელიც საგონებელშია ჩავარდნილი. არც **თომას შააფის** გუნდს მისდის საქმე კარგად. ბრემენელები მე-10 ადგილზე არიან და ვერც ჩემპიონთა ლიგაში ბრწყინავენ (2:2 „პანათინაიკოსთან", მესამე ადგილი ჯგუფში).

„კოტბუსის" ფლეიმეიქერი **ერვინ სკელა** „აინტრახტთან" შეხვედრას ურთულეს და უმნიშვნელოვანეს მატჩს უწოდებს. „აინტრახტმა" შუა კვირაში გადადებული მატჩი ჩაატარა (კარლსრუესთან) და პირველი გამარჯვება იზეიმა (2:1), რის შედეგადაც, ფრანკფურტელებმა ბოლო ადგილს თავი დააღწიეს. ასე რომ, „აინტრახტის" მთავარი მწვრთნელი **ფრიდჰელმ ფუნკელი** გათავისუფლებას გადაურჩა – ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც.

ერთი კვირა გავიდა, რაც მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ახალი მწვრთნელი ავარჯიშებს – **ჰანს მაიერი.** „რკინის ჰანსმა" მიონხენგლადბახელებს ოფლი აღვრევინა და დღეს დებიუტი აქვს **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუესთან".

უეფას თასის გამო, სამი მატჩი ხვალ გაიმართება. "შტუტგარტი" "ბოხუმს" უმასპინძლებს. დორტმუნდში „ბორუსია" მეოთხე ადგილზე მყოფ „ჰერტას" მიიღებს. ვესტფალიელთა მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** გახარებულია, რადგან მას **ტამაშ ჰაინალი** გამოუჯანმრთელდა. როგორც იცით, წინა ტურში ბერლინელთა მთავარმა მწვრთნელმა **ლუსიენ ფავრმა მარკო პანტელიჩი** გუნდიდან მოკვეთა და მატჩი ტრიბუნიდან აყურებინა. სერბი თავდამსხმელი ამჯერად განაცხადში იქნება, მაგრამ ფავრის თქმით, მოედანზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გავა, თუ უკრაინელი **ანდრეი ვორონინი** ვერ შეძლებს თამაშს. ამ უკანასკნელს მუხლის ტრავმა აწუხებს და მისი ასპარეზობა კითხვის ნიშნის ქვეშაა.

დაბოლოს, ტურის და ზოგადად გერმანიის ჩემპიონატის პირველი წრის ერთ-ერთი უმთავრესი შეხვედრა, რომელიც მანჰაიმში, "კარლ-ბენც-შტადიონზე" გაიმართება: მეორე ადგილზე მყოფი "ჰოფენჰაიმი" ლიდერ "ჰამბურგს" უპირისპირდება. მათ შორის სხვაობა მხოლოდ ერთი ქულაა. ასე რომ, **რალფ რანგნიკის** ამბიციურ გუნდს, მოგების შემთხვევაში, ერთპიროვნული ლიდერობის მოპოვება შეუძლია. "პროფესორ რალფს" საკადრო პრობლემები აქვს. სავარაუდოდ, ვერ ითამაშებენ **ვაისი** (ტრავმა) და **დემბა ბა** (გრიპი აქვს). "ჰამბურგს" კი **ტიმოთი ატუბა** არ ეყოლება. რანგნიკის თავზეხელაღებული, შემტევი ფეხბურთი თუ **მარტინ იოლის** დისციპლინირებული, პრაგმატული ტაქტიკა? თანაც, ბუნდესლიგის აბსოლუტური დებიუტანტი (ჰოფენჰაიმი), აბსოლუტურ "დინოს" (ჰამბურგი ერთადერთი გუნდია, რომელიც ყოველთვის პირველ ბუნდესლიგაში თამაშობდა) ხვდება...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 9 | 6 | 0 | 3 | 22-11 | 18 |
| 2. ჰამბურგი | 8 | 5 | 2 | 1 | 15-12 | 17 |
| 3. ჰოფენჰაიმი | 8 | 5 | 1 | 2 | 21-14 | 16 |
| 4. ჰერტა | 8 | 4 | 2 | 2 | 10-9 | 14 |
| 5. ვოლფსბურგი | 8 | 3 | 4 | 1 | 18-12 | 13 |
| 6. შალკე | 8 | 3 | 4 | 1 | 12-8 | 13 |
| 7. შტუტგარტი | 8 | 4 | 1 | 3 | 13-10 | 13 |
| 8. ბორუსია (დ) | 8 | 3 | 4 | 1 | 16-14 | 13 |
| 9. კიოლნი | 9 | 4 | 1 | 4 | 8-11 | 13 |
| 10. ვერდერი | 8 | 3 | 3 | 2 | 22-19 | 12 |
| 11. ბაიერნი | 8 | 3 | 3 | 2 | 16-13 | 12 |
| 12. კარლსრუე | 7 | 3 | 0 | 4 | 7-10 | 9 |
| 13. ჰანოვერი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-16 | 8 |
| 14. ბოხუმი | 8 | 1 | 4 | 3 | 12-13 | 7 |
| 15. არმინია | 8 | 1 | 3 | 4 | 10-16 | 6 |
| 16. კოტბუსი | 8 | 1 | 2 | 5 | 3-11 | 5 |
| 17. ბორუსია (მ) | 8 | 1 | 1 | 6 | 8-17 | 4 |
| 18. აინტრახტი | 7 | 0 | 3 | 4 | 5-11 | 3 |

გოტფრიდ ლენცი

ინგლისური ფეხბურთის უკანასკნელი ტაბუ

# არის თუ არა სოლ კემპბელი ჰომოსექსუალი?

## ჰომოსექსუალთა უფლებების დამცველები სკოლარის წინააღმდეგ. ჩელსის ყოფილმა ვარსკვლავმა პრემიერლიგაში 12 მამათმავალი ვარსკვლავი დათვალა...



სოლ კემპბელს (შუაში) მამათმავლობას სწამებენ

"ჩელსის" და "სელტიკის" ყოფილმა მცველმა **პოლ ელიოტმა** სკანდალური განცხადება გააკეთა. ის ამბობს, რომ პირადად იცნობს პრემიერლიგის მინიმუმ 12 ვარსკვლავს, რომელიც ჰომოსექსუალისტია. ეს ფეხბურთელები საკუთარ ორიენტაციას საგულდაგულოდ მალავენ, რადგან საზოგადოების უარყოფითი რეაქცია აშინებთ.

44 წლის ელიოტი ბრიტანეთის მთავრობის ინიციატივით შექმნილი თანასწორობისა და ადამიანის უფლებათა კომისიის მრჩეველია. კომისიის ინიციატივით გაიმართა სემინარი სახელწოდებით - *"ჰომოფობია, ფეხბურთის უკანასკნელი ტაბუ"*. ეს სემინარიც ადამიანთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ დაწყებული საყოველთაო კამპანიის ნაწილია. კამპანიის აქტივისტები აპროტესტებენ ყველა სახის დისკრიმინაციას დაწყებული რასობრივითა და სქესობრივით და სექსუალური ორიენტაციით დასრულებული. მათი აზრით, ყველა ადამიანი თანასწორია. ჰომოსექსუალისტებსაც ამ საზოგადოებაში ისეთივე უფლებები უნდა გააჩნდეთ, როგორიც დანარჩენებს.

სემინარს ბი-ბი-სის სპორტული კომენტატორი **ბობ ბალარდი** უძღვებოდა. მან მკაცრად გააკრიტიკა ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია და "ჩელსი" იმის გამო, რომ მათ დაუშვეს ლონდონური კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ლუიშ ფელიპე სკოლარის** დანიშვნა. მისტერ ბალარდმა ბრაზილიელ სპეციალისტს დაუფარავი ჰომოფობი უწოდა და მის მიერ რამდენიმე წლის წინ გაკეთებული კომენტარი გაიხსენა. სკოლარიმ გულწრფელად აღიარა: ჩემს გუნდში ჰომოსექსუალისტ ფეხბურთელს არას დიდებით არ მივიწვევდიო.

ბი-ბი-სის ჟურნალისტმა საფეხბურთო ასოციაციასა და ლონდონური კლუბის ხელმძღვანელებს ორმაგი სტანდარტით მოქმედებაში დასდო ბრალი. ბალარდი: *"დარწმუნებული ვარ, სკოლარის ოდესმე ჩურჩულით რომ ეთქვა, ჩემს გუნდში შავკანიან ფეხბურთელებსა და ებრაელებს არ გავაჭაჭანებო, მის დანიშვნას აზრადაც არ გაივლებდნენ. მაგრამ რაკი მან მხოლოდ ჰომოსექსუალისტების წინააღმდეგ გაილაშქრა, ამ ფაქტზე რეაქცია არავის ჰქონია. სინამდვილეში, ესეც ადამიანის დისკრიმინაციაა. დროა, ჰომოფობიას ისეთივე ბრძოლა გამოვუცხადოთ, როგორიც რასიზმს."* ჰომოსექსუალისტთა უფლებების დამცველი **პიტერ ტეტჩელი** ამბობს: *"საფეხბურთო ასოციაცია ადამიანთა თანასწორობას მხოლოდ ქაღალდზე იცავს. ამ უფლებების პრაქტიკული დაცვა კი ხშირად ავიწყდება. ჰომოფობიურ ცრურწმენებს წერტილი უნდა დაესვას. ერთად დავამარცხოთ ჰომოფობია."*

"ტოტენჰემის" გულშემატკივრებს რომ ჰკითხოთ, პრემიერლიგის რომელი ვარსკვლავია ჰომოსექსუალისტი, დაუფიქრებლად გიპასუხებენ - **სოლ კემპბელი**. სექტემბერში "ტოტენჰემი" პორტსმუთს ესტუმრა. მას, რა თქმა უნდა, ურთგული ფანების ჯარიც გაჰყვა. ამ ფანებმა კემპბელი მთელი თამაშის განმავლობაში სტვენით აიკლეს, თუმცა სტვენას ვინ ჩივის? მას სულ პედერასტი უძახეს და კიდევ არაერთი ბინძური ეპითეტით შეამკეს. ნუთუ სოლ კემპბელი მართლა პედერასტიაო, კითხულობდა მეორე დღეს ბრიტანული მედია.

ამ კითხვის დასმა ძალიან ძვირად დაუჯდა მავან ლონდონელ ახალგაზრდას, რომელმაც სოლის ძმა **ჯონთან** ერთად ითამაშა ფეხბურთი. ის სოლ კემპბელის სექსუალური ორიენტაციით დაინტერესდა და "პორტსმუთის" ვარსკვლავი მასხრად აიგდო. ჯონმა ვერ მოითმინა და იმ უცნობს სასტიკად გაუსწორდა - ერთი დარტყმით გონება დააკარგვინა და მიწაზე დაანარცხა. როგორც შემდგომში გაირკვა, ლონდონელმა ახალგაზრდამ ტვინის შერყევა მიიღო, ყბის ძვალი გაიტეხა და ოთხი კბილიც ჩაემსხვრა. ჯონ კემპბელი მაშინვე დააპატიმრეს და 12 თვით საპყრობილეში მიაბრძანეს.

სხვათა შორის, პირველი, ვინც "პორტსმუთი"-"ტოტენჰემის" მატჩის შემდეგ სოლ კემპბელს გამოექომაგა, ფეხბურთის ჰომოსექსუალისტ გულშემატკივართა კლუბი იყო. მათ "ტოტენჰემის" ფანების საქციელი მკაცრად დაგმეს და სოლს სრული სოლიდარობა გამოუცხადეს. ძნელი სათქმელია, ესიამოვნა თუ არა ინგლისის ნაკრების ყოფილ მცველს ამ ადამიანების მხარდაჭერა.

ნიუკასლი

# ბარტონის ბოლო შანსი

## შედგება თუ არა ჭირვეულის მორჯულება

**ჯოი ბარტონი** მინდორს უბრუნდება. შეგახსენებთ, რომ "მანჩესტერ სიტის" სკოლის აღზრდილმა ნიჭიერმა ფეხბურთელმა 2007 წელს ნაკრების რიგებშიც კი ითამაშა, მაგრამ აუტანელი ხასიათისა და დებოშიორობის გამო მასთან საქმის დაჭერას ბევრი ერიდებოდა. 2007 წლის დეკემბერში ნასვამმა ჯომ, მისმა ძმამ **ენდრიუმ** და მათმა საერთო მეგობარმა **ნადინ უილსონმა** დაუნდობლად სცემეს მოზარდი, რომელსაც მათთან სიტყვიერი შელაპარაკება მოუვიდა. საქმე შეამსუბუქა იმან, რომ სამივე მათგანი პოლიციაში საკუთარი ფეხით მივიდა და დანაშაული აღიარა. ამის წყალობით, მოსამართლემ ყველას შედარებით მსუბუქი სასჯელი გამოუტანა. ჯოს თავისუფლების 6 თვით აღკვეთა მიესაჯა, თუმცა ციხეში მხოლოდ 74 დღე გაატარა და პირობით ვადამდე გათავისუფლდა. ფეხბურთელი ციხეში სხვა კაცად იქცა. ეტყობა, ყველა პრობლემა გაისიგრძეგანა. რამდენიმე დღის წინ მან სპეციალური პრესკონფერენცია მოიწვია, სადაც საზოგადოებას გულისამაჩუყებელი სიტყვით მიმართა:

*"ჭკუა, დიდი ხანია, ვისწავლე. შეცდომის დაშვების შემდეგ ადამიანი დიდი ხანი ფიქრობს ხოლმე საკუთარ საქციელზე და მისი გამოსწორების შანსიც ეძლევა. მოხარული ვარ, რომ ასეთი შესაძლებლობა მე ჯერ კიდევ მაქვს. ახლა ყველაფერს ისე ვაკეთებ, რომ საფეხბურთო კარიერა და ცხოვრება საჭირო მიმართულებით წავიყვანო. ბოლო წელიწადი ნამდვილი კოშმარი გახლდათ. ჯერ ციხეში ვიჯექი, იქიდან "ნიუკასლში" დავბრუნდი და "სენტ ჯეიმს პარკი" გამაყრუებელი სტვენით შემხვდა. თანაც საკმაოდ ულიმღამოდ გამოვიყურებოდი. ამხელა ზეწოლასაც გავუძელი. შეუძლებელია, გამოხვიდე ციხიდან და უცბად შეეჩვიო სინათლეს, თავისუფლებას... მთავარია, ჯანსაღ გონებაზე ვიყო, არ დავლიო... დროის უკან დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, უკეთ მოვიქცეოდი, მაგრამ მე მხოლოდ იმის დაგეგმვა შემიძლია, რაც შეიძლება მომავალში მოხდეს. გამოვსწორდები და ვეცდები, ყველა დანაშაული გამოვისყიდო, ყველას ვალი გადავიხადო. იმედია, რომ სხვებისთვის მისაბაძ მაგალითად ვიქცევი. ასეთი კი ცხოვრებაში არასდროს ვყოფილვარ. პირიქით, თითით საჩვენებელი ცუდი ბიჭი ვიყავი. ყველაზე დიდი ამბიცია, რაც ცხოვრებაში მექნება, ეს ფეხბურთის კარგად თამაში იქნება. ვიცხოვრებ და ვისუნთქებ ფეხბურთით. ძალიან ბევრს ვიმუშავებ და ამ პირობას ყველას გასაგონად ვდებ. ეს არის ის მაქსიმუმი, რაც შემიძლია."*



ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნესტა ბიანკონერებში?

**იტალიური** სააგენტოების ცნობით "ლაციო" მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ **ალესანდრო ნესტას** დაბრუნებას გეგმავს. მოგეხსენებათ, ნაკრების ყოფილი მცველი რომაულ გრანდში 1993-2002 წლებში უკვე თამაშობდა, ხოლო ბოლო 6 წელიწადია ის უკვე "მილანის" ღირსებას იცავს. უცნობია, რა თანხად შეელევა "როსონერი" ფეხბურთელს და საკითხავია, საერთოდ თუ მოისურვებს კონტრაქტის ვადამდე გაწყვეტას. ალესანდროს შეთანხმებას "მილანთან" ვადა 2011 წელს გასდის. თუკი კლუბებს შორის შეთანხმება არ შედგა, სავარაუდოდ, ფეხბურთელი კარიერას სწორედ "სან სიროზე" დაასრულებს.

## ბერგკამპი ფეხბურთში დაბრუნდება

**ჰოლანდიის** ნაკრების ლეგენდარულმა მოთამაშე **დენის ბერგკამპმა** განაცხადა, რომ ის ოდესმე ინგლისში დაბრუნებას აპირებს, სავარაუდოს მწვრთნელის რანგში. აი, რა თქვა კონკრეტულად 39 წლის ჰოლანდიელმა: *"ხშირად მეკითხებიან, ვაპირებ თუ არა ოდესმე ლონდონში საცხოვრებლად დაბრუნებას. მე კი ვპასუხობ, რომ ვაპირებ, მაგრამ საფეხბურთო ფუნქციონერის რანგში. ყოველთვის მიყვარდა ეს საფეხბურთო ქვეყანა და მისი კულტურა. იქ აუცილებლად დავბრუნდები მწვრთნელის ან შეიძლება ცოტა განსხვავებული სტატუსით. როგორც კი მივიღებ მწვრთნელის სერტიფიკატს, მაშინვე მწვრთნელობას მოვკიდებ ხელს, მაგრამ პირველ ეტაპზე ჰოლანდიაში, ახალგაზრდულ გუნდში."*

## კურბისი ორი წლით ციხეში

**სკანდალურად** ცნობილი **როლან კურბისი** ციხეში ჩაჯდება. მან ეს "პატივი" გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩადენილი ავი საქმეების გამო დაიმსახურა. გუშინ სააპელაციო სასამართლომ უარი თქვა დაეკმაყოფილებინა მისი და კიდევ ერთი მაქინატორის, **რობერ ლუი დრეიფუსის** სარჩელი, რომლითაც ისინი ასაჩივრებდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას. განაჩენის მიხედვით, ხსენებულ ადამიანებს ბრალი დაუმტკიცდათ საფეხბურთო კორუფციასა და უკანონო საქმიანობაში. ძირითადად საქმე ეხება ფეხბურთელების გაბერილ ფასში შეძენასა და ამით ხელის მოთბობას. სააპელაციო კოლეგიამ ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკისრებული სანქციაც. ამრიგად: კურბისი ციხეში 2 წელიწადს გაატარებს, ხოლო დრეიფუსს მიესაჯა 10 თვე პირობითი მსჯავრი. ორივე თაღლითს შეუძლია გულის დამშვიდება იმით, რომ გამოძიება მათთვის ბევრად უფრო მკაცრ სასჯელს ითხოვდა. პროკურორი კურბისის 3,5 წლით (პლუს 5 წელიწადი ფეხბურთში მუშაობის უფლების ჩამორთმევა), ხოლო დრეიფუსის 3 წლით საზოგადოებისგან იზოლირებას ითხოვდა.

## სორენსენი კინაღამ დაბრმავდა

**"სტოკ სიტის"** მეკარემ, დანიელმა **ტომას სორენსენმა** კინაღამ თვალის ჩინი დაკარგა. ის აღშფოთებულია "ტოტენჰემის" შოტლანდიელი მცველის **ალან ჰატონის** საქციელით. 19 ოქტომბერს, კვირას, ხსენებული გუნდების შეხვედრაში სტუმარმა ფეხბურთელმა მეტოქეს ფეხი თავში ჩაარტყა, თანაც მას მერე, რაც ბურთი სორენსენს უკვე ხელებში ჰქონდა. დარტყმა იმდენად სერიოზული გახლდათ, რომ მეკარე იძულებული გახდა, მინდორი დაეტოვებინა. მის ნაცვლად მინდორზე **სტივ სიმონსენი** შევიდა. მართალია, ეს არ იყო განზრახი თამაში, მაგრამ... ექიმების დასკვნით, ჰატონის ფეხი ტომასს რამდენიმე მილიმეტრით მარჯვნივ რომ მოხვედროდა, იყო იმის ალბათობა, რომ ცალ თვალში ის მხედველობას სამუდამოდ დაკარგავდა. *"სასწაულის წყალობით გადავრჩი. არ მჯერა, რომ მან ეს გააკეთა. არადა, ნახეთ ეპიზოდის ჩანაწერი და დარწმუნდებით, რომ მას შეეძლო შეჯახება თავიდან აეცილებინა. ის უნდა შეჩერებულიყო, რადგან ბურთისთვის ბრძოლას აშკარად მე ვიგებდი. რომ არა ექიმების დროული ჩარევა, პრობლემა კიდევ უფრო სერიოზული იქნებოდა. მადლობა მათ."*

ყოველივე ამაზე "ტაიმსი" შოტლანდიელ ფეხბურთელს დაუკავშირდა და აი, რა მოისმინა მისგან: *"ძალიან შევწუხდი სათამაშო ეპიზოდისასაც და დანაშაულის გრძნობა მერეც მაწუხებდა. მე არ მეთაკილება ბოდიშის მოხდა, მაგრამ რას ვიზამთ? ეს კონტაქტური სპორტია და ხანდახან ასეც ხდება. იმედია, ტომასი უახლოეს ხანებში დაუბრუნდება მინდორს."*

## პეტროვი ექვს თვეს დაისვენებს

**ბულგარეთის** ნაკრებისა და "მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველმა **მარტინ პეტროვმა** ნაკრებში ყოფნისას მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო და მინდორს 6 თვით ჩამოშორდა. მძიმე დიაგნოზი თავდაპირველად ნაკრების საექიმო შტაბმა დასვა, რაც, მოგვიანებით, კვალიფიციური სამედიცინო შემოწმების შემდეგ "სიტის" მთავარმა სპეციალისტმაც დაადასტურა, იუწყება "მანჩესტერ ივნინგ ნიუსი". ფეხბურთელი მინდორზე დაბრუნებას მხოლოდ გაზაფხულზე, პრემიერლიგის დასკვნითი ტურებისთვის შეძლებს.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ინგლისი. პრემიერლიგა. IX ტურის წინ

# რომელი ჩელსი ჯობია?

## ლივერპული ხვალ დაამტკიცებს, შეუძლია თუ არა ჩემპიონობისათვის ბრძოლა





რაფაელ ბენიტესი ლუიშ ფელიპე სკოლარის პირველად შეხვდება

| დღეს | |
|---|---|
| ევერტონი-მანჩესტერ იუნ. | 14:00 |
| სანდერლენდი-ნიუკასლი | 14:45 |
| ვესტ ბრომვიჩი-ჰალ სიტი | 17:00 |
| ბლექბერნი-მიდლსბრო | 19:30 |
| **ხვალ** | |
| ჩელსი-ლივერპული | 17:30 |
| მანჩესტერ სიტი-სტოკ სიტი | 19:00 |
| ტოტენჰემი-ბოლტონი | 19:00 |
| ვიგანი-ასტონ ვილა | 19:00 |
| ვესტ ჰემი-არსენალი | 20:00 |
| პორტსმუთი-ფულჰემი | 21:00 |

**რაფა ბენიტესი** არ მალავს, რომ ინგლისის ჩემპიონობისათვის აპირებს ბრძოლას. რვა ტურის შემდეგ მის შეგირდებს 20 ქულა აქვთ. ისინი "ჩელსისთან" ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ (ლონდონელებს ბურთების უკეთესი სხვაობა აქვთ). ხვალ მერსისაიდელები "სტემფორდ ბრიჯზე" ჩავლენ და უშუალო კონკურენტთან შეეცდებიან საქმის გარკვევას. ტურის უმთავრესი მატჩიც, რა თქმა უნდა, "ჩელსი"-"ლივერპულია".

გასულ უქმეებზე "ლივერპულმა" კინაღამ ორი ქულა გაანიავა. ის "ვიგანთან" ორჯერ აგებდა და საბოლოოდ, 3:2 მოიგო. ერთი კვირით ადრე მერსისაიდელებმა უფრო დიდი გაჭირვებით დაამარცხეს "მანჩესტერ სიტი", რომელთანაც ორი ბურთის სხვაობით აგებდნენ.

**ლუიშ ფელიპე სკოლარის** ასეთი პრობლემები ჯერ არ ჰქონია. ბოლო ტურში "არისტოკრატები" მიდლსბროში სათადარიგო შემადგენლობით ჩავიდნენ და ხუთი უპასუხო გოლი გაიტანეს. განვლილ რვა ტურში "ჩელსიმ" 19 გოლი გაიტანა და მხოლოდ სამი მიიღო. მიმომხილველებისაგან სულ უფრო ხშირად გაიგონებთ კითხვას: რომელი "ჩელსია" უფრო ძლიერი - დღევანდელი, თუ **ჟოზე მოურინიოს** დროინდელი. თამაშის ხარისხით მოურინიოს ბოლო სეზონის "ჩელსი" სკოლარისას ათი თავით ჩამოუვარდება, მაგრამ თუ სეუ ლუიშს ჟოზესთან გატოლება სურს, მინიმუმ იმდენივე ტიტული უნდა მოიგოს.

ბოლო წლებში ბენიტესს გამუდმებით აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ფავორიტებთან - "ჩელსისთან", "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "არსენალთან" ბევრს ქულას ვერ აგროვებს. წელს ლივერპულელები უკვე გაუმასპინძლდნენ "მანჩესტერ იუნაიტედს" და 2:1 მოუგეს. ამჯერად "ჩელსისთან" ძალების მოსინჯვის დროა.

"ლივერპულისა" და "ჩელსის" დაპირისპირება ბოლო წლების კლასიკად იქცა. მოურინიოს დროს, ბენიტესის "ლივერპულმა" მეტოქე ორჯერ გამოთიშა ჩემპიონთა ლიგას, მაგრამ პრემიერლიგაში ერთხელაც ვერ მოუგო. გასულ სეზონში ეს გუნდები ხუთჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, მათ შორის, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში (შეგახსენებთ, "ჩელსიმ" მოიგო, მაგრამ ფინალში პენალტებით "მანჩესტერ იუნაიტედთან" დამარცხდა).

სკოლარის აზრით, მის გუნდს უმძიმეს თამაში ელოდება. უმძიმესი ჯერ ერთი იმიტომ, რომ მეტოქე "ლივერპულია". მეორეც, იმიტომ, რომ რამდენიმე დღის წინ ლონდონელებმა დიდი ძალა შეალიეს ლიგაში რომაელთა დამარცხებას (1:0). მწვრთნელი შიშობს, რომ მისმა შეგირდებმა ძალების აღდგენა ვერ მოასწრეს. ერთთვიანი პაუზის შემდეგ "ჩელსის" დაცვის ცენტრში **რიკარდო კარვალიო** ეყოლება. ამ უკანასკნელმა რომაელთა წინააღმდეგ ითამაშა.

"არისტოკრატების" წისქვილზე დაასხამს წყალს ის, რომ მათ **ფერნანდო ტორესი** არ ეყოლებათ. თავდასხმაში ისევ **რობი კინი** და **დირ კუიტი** ითამაშებენ. კინს საზარდულის უმნიშვნელო ტრავმა აწუხებდა, მაგრამ მწყობრშია. "ლივერპული" შეეცდება, "ჩელსის" ოთხწლინახევრიანი წაუგებელი საშინაო სერია დაასრულოს, რომელიც უკვე 87 მატჩს მოიცავს.

"მანჩესტერ იუნაიტედი" ტურიდან ტურამდე უმატებს ტემპს. ამჟამად ის მეხუთე ადგილზე იმყოფება. მას გათამაშების ლიდერებისაგან ექვსი ქულა აშორებს და ერთი მატჩი თადარიგში აქვს. "ეშმაკებს" ორი წამყვანი მცველი **რიო ფერდინანდი** და **პატრის ევრა** უბრუნდება. ერთმა საზარდულის ტრავმა მოიშუშა, მეორემ - მუხლის. **მაიკლ ქერიკის** დაბრუნება ოთხშაბათამდე გადაიდო.

"სელტიკთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩისას (3:0 ) **დიმიტარ ბერბატოვი** და **კრისტიანო რონალდო** დაშავდნენ. მუხლის ტრავმები აწუხებთ **პოლ სქოულზსა** და **ოუენ ჰარგრივსს**. ისინი ხანგრძლივ შვებულებებში იმყოფებიან.

მცირეოდენი სტატისტიკა: "ევერტონს" ყველა ტურნირზე ზედიზედ შვიდი მატჩია, არ მოუგია. ამას გარდა, უეფას თასსაც გამოეთიშა და ინგლისის ლიგის თასსაც. "იუნაიტედმა" ბოლო ექვსი შეხვედრა მოიგო. შთამბეჭდავად ასპარეზობს ჩემპიონთა ლიგაში და იმავე ლიგის თასზე.

"მანჩესტერმა" "ევერტონს" პრემიერლიგაში ბოლო ოთხი თამაში მოუგო. მის სასარგებლოდ დასრულდა "გუდისონ პარკზე" უკანასკნელი 13-დან 11 შეხვედრაც - მათ შორის, ბოლო სამი მატჩი. ამ თამაშს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს **უეინ რუნისათვის**. მოგეხსენებათ, ის "ევერტონის" აღზრდილია. რუნიმ ლივერპულურ კლუბში 77-ჯერ ითამაშა (67-ჯერ პრემიერლიგაში) და 17 გოლი (15 პრემიერლიგაში) შეაგდო. "ევერტონში" მისი დებიუტი 2003 წლის თებერვალში შედგა. 2004 წლის ზაფხულში კი 20 მილიონ გირვანქად "მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა. რუნის საუცხოო ფორმაშია. მან ყველა ტურნირზე ბოლო ხუთ შეხვედრაში ექვსი გოლი შეაგდო. თუ "ევერტონსაც" გაუტანს, ეს მის მანჩესტერულ კარიერაში ზუსტად მე-100 გოლი იქნება.

"ჰალ სიტი" "ვესტ ბრომვიჩ ალბიონს" სტუმრობს. ამ თამაშზე საერთოდ არ გავამახვილებდით ყურადღებას, მაგრამ "ჰალს" პრემიერლიგაში მესამე ადგილი უჭირავს და მიმდინარე სეზონის მთავარი აღმოჩენაა. ხუმრობა ხომ არ არის: ლიგის დებიუტანტებმა ბოლო სამ ტურში სამი ლონდონური კლუბი დაამარცხეს - "არსენალი", "ტოტენჰემი" და "ვესტ ჰემი" და დღევანდელ მატჩშიც ფავორიტად მიიჩნევიან.

მასპინძლებს ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი აკლიათ. ზედიზედ სამი გამარჯვების მიუხედავად, შემადგენლობის შეცვლას აპირებს სტუმართა თავკაცი **ფილ ბრაუნიც**. ტრავმა მოიშუშა გამოცდილმა მცველმა **ენტონი გარდნერმა**. ნახევარმცველები - **სტელიოს იანაკოპულოსი** და **ნიკ ბარმბი** კვლავ ლაზარეთში იმყოფებიან.

"სანდერლენდს" თავდამსხმელი **კენვინ ჯოუნსი** გამოუჯანმრთელდა. შუა კვირაში მან სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა. მწყობრშია ნახევარმცველი **ნიროგ ნოსვორთიც**, რომელმაც მუხლის მყესი ჰქონდა გაწყვეტილი. სანაკრებო შეკრებიდან დაბრუნებული **დუაიტ იორკი** და **ლაიამ მილერიც** ჯანმრთელად არიან და "ნიუკასლთან" მატჩისათვის გამალებით ემზადებიან. "სანდერლენდის" თავკაც **როი კინს** სხვა საკადრო პრობლემები არ გააჩნია.

ჯორდებს კაპიტანი **მაიკლ ოუენი** ვერ დაეხმარებათ. მას საზარდულის ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. ოუენი ერთ-ერთი ვარჯიშისას დაშავდა და შვებულება გამოიწერა. მინდორზე დაბრუნებას პირებს **ხონას გუტიერესი**. ის "სანდერლენდთან" მატჩისათვის განაცხადში იქნება. ბრუნდება **ჯოი ბარტონიც**, რომელიც ზაფხულის არდადეგებისას ციხეში იჯდა, მერე კი ხანგრძლივი დისკვალიფიკაციით იყო დასჯილი.

მეოთხეადგილოსანი "არსენალი" ჩინებულ ხასიათზეა. სამშაბათს „მეთოფეებმა" "ფენერბაჰჩეს" 5:2 სძლიეს. "ვესტ ჰემთან" ხვალინდელი დერბისათვის გუნდს ორი წამყვანი მცველი - **ვილიამ გალასი** და **კოლო ტურე** უბრუნდება. ტურე მხარის ტრავმა მოიშუშა. გალასს მუხლი აწუხებდა. **ბაკარი სანია** მუხლს ისევ იტკიებს, ამიტომ "ჩაქუჩებთან" მისი ასპარეზობა საეჭვოა.

**შალვა ბიბილაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 8 | 6 | 2 | 0 | 19-3 | 20 |
| 2. ლივერპული | 8 | 6 | 2 | 0 | 13-6 | 20 |
| 3. ჰალ სიტი | 8 | 5 | 2 | 1 | 11-11 | 17 |
| 4. არსენალი | 8 | 5 | 1 | 2 | 16-6 | 16 |
| 5. მანჩესტერ იუნ. | 7 | 4 | 2 | 1 | 12-4 | 14 |
| 6. ასტონ ვილა | 8 | 4 | 2 | 2 | 12-10 | 14 |
| 7. პორტსმუთი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-13 | 13 |
| 8. ვესტ ჰემი | 8 | 4 | 0 | 4 | 14-14 | 12 |
| 9. ბლექბერნი | 8 | 3 | 2 | 3 | 8-14 | 11 |
| 10. ვესტ ბრომვ. | 8 | 3 | 1 | 4 | 7-11 | 10 |
| 11. მანჩესტერ სიტი | 7 | 3 | 0 | 4 | 18-12 | 9 |
| 12. სანდერლენდი | 8 | 2 | 3 | 3 | 7-9 | 9 |
| 13. მიდლსბრო | 8 | 3 | 0 | 5 | 7-14 | 9 |
| 14. ვიგანი | 8 | 2 | 2 | 4 | 11-9 | 8 |
| 15. ბოლტონი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-10 | 8 |
| 16. ევერტონი | 8 | 2 | 2 | 4 | 12-18 | 8 |
| 17. სტოკ სიტი | 8 | 2 | 1 | 5 | 10-15 | 7 |
| 18. ფულჰემი | 7 | 2 | 1 | 4 | 5-7 | 7 |
| 19. ნიუკასლი | 7 | 1 | 2 | 4 | 7-13 | 5 |
| 20. ტოტენჰემი | 8 | 0 | 2 | 6 | 5-11 | 2 |




მოსალოდნელი ტრანსფერი

## 18 მილიონი სანტა კრუსში

### ინსს ჰერვუდი არ სჭირდება

"ასტონ ვილა" მზადაა, პარაგვაელ **როკე სანტა კრუსში** კლუბისათვის რეკორდული თანხა, 18 მილიონი გირვანქა გაიღოს. იმისთვის, რომ "ვარდების" თავკაცი **პოლ ინსი** ნეტ-ნაკლებად მოიხიბლოს, **მარტინ ონილი** მზადაა, გარიგებაში 29 წლის ფორვარდი **მარლონ ჰერვუდიც** ჩართოს. ეს უკანასკნელი ბირმინგემში არაფერში არგიათ, რადგან გუნდში ერთი წელიწადია, ირიცხება და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ 5 გოლი შეაგდო, გვამცნობს "დეილი ექსპრესი". სამხრეთამერიკელი "ბაიერნიდან" "ბლექბერნში" 2007 წელს გადაბარგდა და მას მერე პრემიერლიგაში 21 (19 შარშანდელ სეზონზე) გოლის გატანა მოახერხა - უფრო მეტის, ვიდრე ბუნდესლიგაში გატარებული რვა წლის განმავლობაში. მისით სხვა ინგლისური კლუბების დაინტერესება, ალბათ, ამით აიხსნება. "ასტონ ვილის" გარდა, როკეს სამსახურით დაინტერესებულია "მანჩესტერ სიტიც", რომლის თავკაცი **მარკ ჰიუზი** შარშან "ბლექბერნის" დამრიგებელი იყო. *"სანტა კრუსი მაღალი დონის ფორვარდია, რომლის თაობაზეც ჭორები მუდამ აგორდება. არ ვნერვიულობ, რადგან მას სხვა კლუბში გადასვლის დიდი სურვილი არც აქვს,"* – ამბობს "ვარდების" ავსტრალიელი ნახევარმცველი **ბრეტ ემერტონი**.

ჰერვუდის ხელში ჩაგდების მომხიბვლელი წინადადებით "აღფრთოვანებული" პოლ ინსიც იმავე აზრისაა. მას არ ხიბლავს ბირმინგემელთა წინადადება და მათი მხრიდან მეტი გულუხვობის პირობებშიც კი არ აპირებს ზამთარში ფეხბურთელთან გამოთხოვებას. *"ამ თემაზე მე და სანტას გვქონდა საუბარი. მას კლუბთან 4-წლიანი კონტრაქტი აკავშირებს და სხვაგან წასვლის სურვილი არ გამოუთქვამს. ჩვენი მხრიდან დიდი სურვილი გვაქვს, რომ მასთან თანამშრომლობა კიდევ დიდი ხნით გავაგრძელოთ,"* – განუცხადა ინგლისური ფეხბურთის ყოფილმა ვარსკვლავმა "სანს".

**შალვა ბიბილაშვილი**

ესპანეთის ნაკრები

## დელ ბოსკე: ლუისის ადგილზე უკან დავიხევდი და რაულს გამოვიძახებდი

გუშინ ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვისენტე დელ ბოსკემ** პრესკონფერენცია გამართა. „სელექსიონის" თავკაცმა ტრადიცია დანერგა, მინიმუმ თვეში ერთხელ ჟურნალისტებს ხვდება და აქტუალურ საკითხებზე ესაუბრება. ამჯერად თქვენს ყურადღებას ერთ ფრაგმენტზე შევაჩერებთ. დელ ბოსკემ მის წინამორბედ **ლუის არაგონესზე** ისაუბრა. უფრო კონკრეტულად კი სენიორ ლუისისა და **რაულის** ურთიერთობაზე: *„მახსოვს, დიდ აჟიოტაჟში მეც ვიყავი ჩართული. მაინტერესებდა, არაგონესი რას გადაწყვეტდა, გაუძლებდა თუ არა ხალხის ზეწოლას. გამოგიტყდებით, მისი პრინციპულობა ძალიან მაკვირვებდა და არ მჯეროდა, რომ წნეხს ბოლომდე გაუმკლავდებოდა, მაგრამ მან ყველა დაბრკოლება გადალახა. გულწრფელად გეტყვით, მის ადგილზე მე ამდენს ვერ გავუძლებდი და ხალხის ხმას შევისმენდი."*

დელ ბოსკეს ეს განცხადება ჟურნალისტებმა არაერთმნიშვნელოვნად გაიგეს. ან, შესაძლოა, სკანდალის აგორება სცადეს. ყოველ შემთხვევაში, „დიარიო ასის" თანამშრომელმა **მანოლო სანსმა** პროვოკაციული კითხვა დასვა, არაგონესს ხომ არ აკრიტიკებთ, რაული ნაკრების მიღმა რომ დატოვაო. დელ ბოსკემ ჩვენს კოლეგას მშვიდად უპასუხა: *„პირიქით, მე მისით აღფრთოვანებული ვარ, ეტყობა კარგად ვერ გაიგეთ. მხოლოდ უძლიერეს ადამიანს შეუძლია მილიონობით გულშემატკივრის ზეწოლას გაუძლოს. პრესაზე არაფერს ვამბობ, დღე ისე არ ჩაივლიდა, რომ არაგონესი ჟურნალისტებს არ გაელანძღათ. ხომ გითხარით, ლუისის ადგილზე მე უკან დავიხევდი და რაულს გამოვიძახებდი."* საინტერესოა, გონსალეს ბლანკოს „სელექსიონში" დაბრუნება ახლაც უწინდებური რადიკალიზმით რომ მოითხოვონ, დელ ბოსკე რას გააკეთებს...

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# ვარლამ ლიპარტელიანი მსოფლიოს ჩემპიონია

# (ლ–იპო)ნი

## ვარლამ, THE BEST



მოდით, მოვრჩეთ „თავმდაბლობას“ და სათქმელი პირდაპირ ვთქვათ, მით უფრო, ამ 19 წლის ბიჭს არაფერი ეტყობა, რომ „თავში აუვარდება“ – **ვარლამ ლიპარტელიანის** სახით მსოფლიო ძიუდომ უდიდესი ტალანტი, მარგალიტი შეიძინა. გუშინ მან თავის ჯერ კიდევ ხანმოკლე, მაგრამ ტიტულებით დახუნძლულ კარიერას მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონის ტიტული შემატა. ტაილანდში ქართველმა ხუთიდან ოთხს იპონით მოუგო, ერთს კი ვაზარი აკმარა.

პირველ წრეში ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ) კანადელ **ლუკაშ მოზდზენს** ხვდებოდა. 37 წამში კანადელი ტატამზე ბეჭებზე გაკრული იწვა. შემდეგ გერმანელი **მაქსიმ ჩიხურდას** ჯერი დადგა. ჩიხურდა უკეთესი ძიუდოისტი გამოდგა, ის წუთსა და 7 წამს გაუძალიანდა ჩვენებურს, მაგრამ ბოლოს მაინც იპონით დამარცხდა. მესამე მეტოქე აზერბაიჯანელი **ელმარ გასიმოვი** იყო, რომელმაც ლიპარტელიანის მსგავსად პირველი ორი მოწინააღმდეგე იპონით დაამარცხა. ლიპარტელიანმა ამჯერად ვაზარი იმყოფინა.

ნახევარფინალში ვარლამი კორეელ **კიუ ვონ ლის** შეხვდა. ვარლამმა იუკო აართვა მეტოქეს, თუმცა ესეც არ იკმარა და წუთისა და 47 წამის გასვლის შემდეგ მეტოქე წმინდა გდებით დაამარცხა. ფინალში გასულ ქართველს ბანგკოკურ ტატამზე ჰოლანდიელი **მარვინ დე ლა გროესი** ელოდა. ფინალშიც ვიხილეთ „ლიპოს“ იპონი, ტაილანდში მეოთხედ! 2 წუთის და 44 წამის გასვლის შემდეგ ლიპარტელიანმა წმინდა გდებით მოიგო მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

ლიპარტელიანი საერთაშორისო ასპარეზზე პირველად 2005 წელს გამოჩნდა, როცა 15 წლის ბიჭმა კადეტთა ევროპის პირველობაზე მე-5 ადგილი დაიკავა. შარშან მან უფრო ხმამაღალი განაცხადი გააკეთა, 18 წლისამ პრაღაში ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატი მოიგო. თუმცა ნამდვილი მედალთცვენა წლეულს დაიწყო თბილისის მსოფლიო თასიდან, სადაც ვარლამმა მე-3 ადგილი დაიკავა, შემდეგ ვენის მსოფლიო თასი და მოსკოვის სუპერთასი მოიგო, კიდევ ერთხელ (ამჯერად ვარშავაში) გაიმარჯვა ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატში და აი, მსოფლიო ტიტულის დროც დადგა.

გუშინ, 100 კგ. წონით კატეგორიაში **კონსტანტინე მუკვანმა** იჭიდავა. დაწყებით მანაც დიდებულად დაიწყო, პირველი ორი წრე ორი იპონით გაიარა, კანადელ **სტეფან ცვაიერს** წუთსა და 46 წამში მოუთავა საქმე, ხოლო ბრაზილიელ **მარკოს ჟუნიორს** – 2 წუთსა და 45 წამში. მეოთხედფინალში ქართველი იაპონელ **კაცუოკი ტერაშიმასთან** დამარცხდა ვაზარით. მან რეპეშაჟშიც წააგო, ამჯერად რუს **იბრახიმ ხამშოევთან**.

სასიხარულოა ჩვენი გოგონების წარმატებული ასპარეზობა ტაილანდში, **გია თენაძის** გუნდისგან ამდენს არავინ მოელოდა. გუშინ **თინათინ ქულუსაშვილმა** საქართველოს ქალთა ძიუდოს ისტორიაში ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა – მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში მეხუთე ადგილი დაიკავა. პირველ წრეში მან ტაილანდელი **კანიტატიპ ტონგბანგი** დაამარცხა იპონით. თინათინმა ვაზარით აჯობა სერბ **მალინა მილკოვიჩს**. მესამე წრეში ქულუსაშვილი ჰოლანდიელ **ანტუნეტ ჰენინკთან** დამარცხდა (ვაზარი). რეპეშაჟში ქართველმა გოგონამ რუს **ნარინ ზაიმციანს** მოუგო (ვაზარი). ჩვენებური მესამე ადგილისთვის მატჩში უნგრელ **ეშტერ გასპარს** შეხვდა, მეტოქემ იპონით გაიმარჯვა 2 წუთსა და 12 წამში.

დღეს, ტაილანდში 78 კგ წონაში **ნინო ოძელაშვილი** იჭიდავებს, პირველ წრეში ის ჰოლანდიელ **ჟანეტ ვიზერს** ებრძოლება. ბიჭებში ტატამზე **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (73 კგ) და **ზაზა დავაძე** (81 კგ) გავლენ.

### მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. 23-26 ოქტომბერი. ბანგკოკი (ტაილანდი)

**გოგონები**

**57 კგ.**

1. რაფაელა სილვა (ბრაზილია); ოტომნ პავია (საფრანგეთი); 3. გემა ჰოუელი (დიდი ბრიტანეთი); 3. ტინა ტრშტენიაკი (სლოვაკეთი).

**63 კგ.**

1. იუკი კიკუკავა (იაპონია); ანტუნეტ ჰენიკი (ჰოლანდია); 3. ეშტერ გასპარი (უნგრეთი); 3. კამილა მინაკავა (ბრაზილია); 5. თინათინ ქულუსაშვილი (საქართველო).

**ბიჭები**

**90 კგ.**

1. ვარლამ ლიპარტელიანი (საქართველო); 2. მარვინ დე ლა გროესი (ჰოლანდია); 3. ლუკ ტეილორი (დიდი ბრიტანეთი); 3. მარკუს ნიმანი (შვედეთი).

**100 კგ.**

1. ლუკაშ კრპალეკი (ჩეხეთი); 2. მარვინ ჰუისმანი (ჰოლანდია); 3. თემუულენ ბათულგა (მონღოლეთი); 3. ანტონ მარცულევიჩი (ბელარუსი).. 7. კონსტანტინე მუკვანი (საქართველო).

ინტერვიუ ვარლამ ლიპარტელიანთან

# არავითარი წაგება, მხოლოდ წინ

**გუშინ ბანგკოკში ევროპის წლევანდელ და ახლა უკვე მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში გამარჯვებულ ვარლამ ლიპარტელიანს დავუკავშირდით:**



- გახარებული ვარ. ამდენი ხნის შრომა დაგვიფასდა, მწვრთნელებსაც და მეც. ჩემი გამოსვლით კმაყოფილი ვარ.

***- ხუთიდან ოთხი იპონით მოიგეთ, ანუ არ გაგჭირვებიათ საერთოდ?***

- შეიძლება ითქვას, რომ არა. აზერბაიჯანელთანაც კი, რომელსაც დამატებით დროში მოვუგე, თავს არ ვგრძნობდი არაკომფორტულად. უბრალოდ, გასიმოვი უხერხული მეტოქეა, ძალისმიერი სტილისაა – არ ჭიდაობს, დგას და მეტოქის შეცდომას ელის, ასეთებთან ძნელია, თუმცა ბოლოს მაინც დავაგდე ვაზარიზე.

***- ნაკრების მწვრთნელი მსაჯობით უკმაყოფილო იყო...***

- დიახ, ასეა. თავიდან ცდილობდნენ, რომ აზიელები გაეყვანათ და ვინც აზიელს ხვდებოდა, ყველას პრობლემა ექმნებოდა მსაჯებთან. ჩემს შემთხვევაში კი ჰოლანდიელს აშკარად მიუდგნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. უსაფუძვლოდ რომ შიდო მომცეს იმდენად გავბრაზდი, რომ ეგრევე იპონზე დავახეთქე.

**- ყველა ერთხმად აღნიშნავს, ვარლამ ლიპარტელიანმა ფინალში სასწაული ილეთი ჩაატარაო, მაინც რა იყო ასეთი?**

- დეტალურად ვერ მოგიყვებით, სერიოზულად ვიყავი გაბრაზებული და ყველაფერი ამ ილეთში ჩავდე, გარე ფეხზე დავაგდე. ძალიან ეფექტური გამოვიდა და გახარებული ვარ.

**- მწვრთნელის შეძახილები თუ გესმოდათ?**

- კი, საერთოდ ყოველთვის ვუსმენ ხოლმე და ბატონი ბორიაც ბევრ სასარგებლოს მკარნახობს. აზერბაიჯანელთანაც მაფრთხილებდა, არ იჩქაროო. დავუჯერე და ფაქტია, ამ ტაქტიკამ გაამართლა.

**- წლეულს რაც ზვიადაურთან წააგეთ, მას მერე დაუმარცხებელი ხართ...**

- კარგად აეწყო, რაც მახსენდება, სულ სამი ორთაბრძოლა ვერ მოვიგე იპონით, მხოლოდ ორჯერ დამჭირდა დამატებითი დრო.

**- უახლოეს გეგმებში რა გაქვთ?**

- საქართველოს ჩემპიონატი ახლოვდება დიდებში, თუმცა იმედი მაქვს, რომ დამასვენებენ. საბოლოოდ ყველაფერი მწვრთნელთა გადასაწყვეტია, მაგრამ ძალიან გადავილალე, იმდენ ტურნირში ვიასპარეზე, არც დიდებისა და ახალგაზრდების შეკრებები გამომიტოვებია. ჩემი ორგანიზმი კი ჯერ კიდევ არ არის ასეთი დატვირთვებისთვის მზად. 19 წლის ვარ. იმედი მაქვს, ახალ სეზონს თბილისის მსოფლიო თასით დავიწყებ.

**- და ალბათ, ადრინდელისგან განსხვავებით, ამ ტურნირზე წაგებას აღარ აპირებ...**

- არავითარი წაგება, სულ წინ უნდა ვიარო, ახალი მიზნებისკენ. ჩემი სანუკვარი ოცნება ლონდონის ოლიმპიადაზე მოხვედრა და გამარჯვებაა.

ინტერვიუ ბორის ფირცხელიანთან

# ვარლამის ილეთს ვერ აღვწერ, ეს ფანტასტიკა იყო

**ვარლამ ლიპარტელიანმა იანვარში თბილისის მსოფლიო თასზე ზურაბ ზვიადაურთან წაგების შემდეგ ყველა ორთაბრძოლა მოიგო, უმეტესობა – წმინდა გდებით. გუშინ, მან ტაილანდშიც იყოჩაღა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცს, ბორის ფირცხელიანს ტაილანდში დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით:**

- ვარლამმა უზომოდ გაგვახარა, დიდებულად იჭიდავა და დამსახურებულად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. არადა, ბოლოსკენ ის მეტოქეებთან ერთად მსაჯებსაც ებრძოდა, იმდენად დიდი იყო არაობიექტურობა. მაგრამ საბოლოოდ მას ვერაფერი დაუშავეს. მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე ჰოლანდიელია. არ ვიცით, რა იყო მიზეზი, მაგრამ თუკი ამ ორთაბრძოლასაც წააგებდნენ, ეს ჰოლანდიელებისთვის ზედიზედ მეორე მარცხით დასრულებული ფინალი იქნებოდა. ვარლამი სრულიად უმიზეზოდ გააფრთხილეს, თუმცა ჩვენი ძიუდოისტი აქტიურობდა, ჰოლანდიელს კი იქით ეკუთვნოდა შიდო უხეშობისთვის. ბოლოს კი ლიპარტელიანმა ისე დაანარცხა მარვინ დე ლა გროესი, რომ მსაჯებს სხვა შანსი არ ჰქონდათ – იპონი აშკარა იყო.

**- შედეგებიდან ჩანს, რომ ვარლამს მაინც არ გასჭირვებია მოგება, ხუთიდან ოთხი იპონი ბევრზე მეტყველებს...**

- ვარლამ ლიპარტელიანთან საჭიდაოდ უკვე მომზადებულები გადიან, მეტოქეებმა კარგად შეისწავლეს მისი ჭიდაობის სტილი. ასე რომ, სულ უფრო დიდია წინააღმდეგობა. ტაილანდში მას მხოლოდ აზერბაიჯანელ **გასიმოვთან** გაუჭირდა მოგება, აზერბაიჯანელი უხერხული მეტოქეა, მას ვარლამმა მხოლოდ დამატებით დროში მოუგო. პირველად მაშინ გამოჩნდა მსაჯთა მიკერძოება, მანამდე ორ მეტოქეს ხომ ლიპარტელიანმა „გამარჯობის თქმა“ არ აცალა. ჩვენმა ჩემპიონმა დიდებულად იჭიდავა კორეელთან, ისე დაანარცხა მეტოქე, რომ ბიჭმა მერე მე-3 ადგილისთვის მატჩში ველარ იჭიდავა. მას ფინალშიც უძლიერესი მოწინააღმდეგე ერგო-ამ ტიტულის მფლობელი, 2006 წლის ჩემპიონატში გამარჯვებული ჰოლანდიელი. მსაჯობამ ისე აღაშფოთა ფინალში გულშემატკივრები, რომ უსტვინეს. გდება კი დიდებული გამოუვიდა ვარლამს, ვერც კი აღგიწერთ. ჰოლანდიელი ფეხში შეუვარდა მას, თითქოს გდებაც უნდა გაეკეთებინა, მაგრამ როგორ დაუტრიალდა მეტოქეს, თავად ვარლამიც ვერ გვიყვება, რა მოხდა.

**- თქვენ თქვით, რომ მეტოქეებმა კარგად შეისწავლეს ლიპარტელიანის სტილი, როგორც ჩანს, ამან მათ ვერ უშველა...**




მწვრთნელიც გახარებულია და შეგირდიც

- ვერც უშველიდა! იმდენად დიდი არსენალი აქვს ამ ბიჭს რეზერვში რომ... წარმოიდგინეთ, ხომ საოცრად ელასტიკური და სწრაფია, ასევე მრავალფეროვნად ჭიდაობს და ტატამზე „ფიქრობს“. ეს კიდევ ერთი პლუსია. თვალი არ ეცეს და, ნამდვილად მომავალი ოლიმპიური ჩემპიონია!

**- კონსტანტინე მუკვანის ასპარეზობაზე რას გვეტყვით?**

- მას მეტის მიღწევა შეეძლო, თუმცა, უნდა ითქვას, რომ გდებით ორთაბრძოლა არ წაუგია, მუკვანმაც ორი იპონით დაიწყო. იაპონელთან კი თანაბარ ბრძოლაში შიდო მისცეს, ამის გამო დამარცხდა. რეპეშაჟში რუს მეტოქესთან, მატჩის დასრულებამდე ორი წამით ადრე მოდუნდა, შეცდომა დაუშვა და შეხვედრა დამატებით დროში გადავიდა.

**- დღეს თქვენი ორი შეგირდი ჭიდაობს, როგორ გაუმართლათ მათ კენჭისყრაში?**

- ავთანდილ ჭრიკიშვილს (73 კგ.) ნაკლებად გაუმართლა – უკვე მესამე ორთაბრძოლა ევროპის ჩემპიონ პოლონელთან უწევს, თანაც ამ წონაში იმდენი მონაწილეა, რომ მესამე ორთაბრძოლაში მარცხი რეპეშაჟში გადასვლის უფლებას არ იძლევა. მე მაინც იმედიანად ვარ, უშიშარი ძიუდოისტია, მებრძოლი. ერთი ეგაა, ასაკით პატარაა და გამოცდილებაც არ აქვს. ზაზა დავაძეც (81 კგ) კარგი სპორტსმენია.

**- მსაჯობით უკმაყოფილო ჩანხართ...**

- საშინელი მსაჯობაა. კარგი, ჩემებს თავს დავანებებ და გოგონების ტურნირზე გეტყვით. დღეს თინათინ ქულუსაშვილს ბრინჯაოს მედალი ჯიბიდან ამოაცალეს, მოგებულ შეხვედრაში დამარცხებულად გამოაცხადეს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ქართული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

### თსუ-სასოფლო. წინასამატჩო პრესკონფერენცია

# ფინანსურად ტრავმირებულნი



გუშინ ტოტალიზატორ "აჭარაბეთში" გაიმართა წინასამატჩო პრესკონფერენცია. ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ "სასოფლოს" მთავარი მწვრთნელი **მიხეილ კობეშავიძე** და თსუ-ს თავკაცი **ნუგზარ ჭეიშვილი**. მიხეილმა პირველი სიტყვა თავის ყოფილ მწვრთნელს დაუთმო:

- მინდა "სასოფლოს" სუპერლიგაში ფეხის შედგმა მივულოცო. ამ უნივერსიტეტში მეც ვსწავლობდი და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იგი დიდი საკალათბურთო ტრადიციების სასწავლებელია. წარმატებებს გულითადად ვუსურვებ მწვრთნელსაც, გუნდსაც და უფროსობასაც. ახლა რაც შეეხება თსუ-ს. გვიან შევიკრიბეთ და ამიტომ ახლა გვიწევს ფიზმომზადებაზე მუშაობა – დიღმის ტყე-პარკში დავრბივართ. ჩემპიონატში რვაეულში მოხვედრასა და პლეი ოფში გასვლას ვისახავთ მიზნად. ამ საქმეში ბევრი კონკურენტი გვყავს, მათ შორის "მაკაბიც". სხვათა შორის, წინასასეზონო მზადებისას საკონტროლო მატჩში "მაკაბისთან" დავმარცხდით. ვიდრე ტრავმირებულებზე მკითხავთ, გეტყვით – ყველა ჯანმრთელადაა მხოლოდ ფინანსურად ვართ ტრავმირებულები. გვეუბნებიან, განკურნებადიაო... კვირას რთულ მატჩს ველი. "სასოფლოს" კარგად დაბალანსებული გუნდი ჰყავს. მის შემადგენლობაში ტანმაღალი ცენტრები არიან, ჩვენ კი ნომინალური ცენტრი არ გვყავს.

ნუგზარ ჭეიშვილის შემდეგ სიტყვა "სასოფლოს" თავკაცმა მიხეილ კობეშავიძემ აიღო:

- თსუ გამოცდილი კალათბურთელებით დაკომპლექტებული კოლექტივია. მწვრთნელიც გამოცდილი ჰყავს. ვპირდებით, რომ კვირის მატჩში არაფერს დავუთმობთ და ბრძოლაში შეიძლება ჩვენთვის სასარგებლო შედეგსაც გამოვკრათ ხელი. გუნდში კვლავაც ვარჯიშობს ბექა წივწივაძე, რომელიც უცხოეთში აპირებს წასვლას. იგი ორი კვირის განმავლობაში კიდევ დაგვეხმარება. პირველ ტურში რუსთავში დავმარცხდით. წაგების მთავარი მიზეზი მეტოქის მაღალი კლასი იყო – "ენერჯის" რიგებში ლაშა გამყრელიძე, კოტე ტულუში და დავით უგრეხელიძე თამაშობენ. დათო წლების განმავლობაში სლოვენიაში ირჯებოდა... რაც შეეხება ჩვენს ბიუჯეტს, უნდა აღვნიშნო, რომ დაბალი ბიუჯეტი გვაქვს, მაგრამ თუ წლეულს კარგად ვითამაშებთ, უკეთესობას უნდა ველოდეთ. უნივერსიტეტის რექტორი ყოველმხრივ გვერდში გვიდგას. მისი ინიციატივით ბიუჯეტში ჩაიდება დარბაზის გარემონტებისთვის საჭირო თანხები და თუ არენა შეკეთდა, მომავალ სეზონში საშინაო შეხვედრებს შინ გავმართავთ. დარბაზი ათას მაყურებელს იტევს და ახლაც თბება. შესაძენი იქნება ტაბლო და ფარები.

სუპერლიგის დებიუტანტმა სასოფლოელმა **ტატო ჩაჩიბაიამ** საკუთარ გუნდზე ისაუბრა:

- ახალგაზრდული გუნდი გვყავს, მაგრამ ჩვენთან სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების არაერთი წევრი ირიცხება, მიხეილ ბერიშვილი, ბექა წივწივაძე, გიორგი მარხვაშვილი... რუსთავურმა მატჩმა გვიჩვენა, რომ ამ შემადგენლობით ნებისმიერ მეტოქესთან შეგვიძლია თანაბრად ბრძოლა.

თსუ-ს გამთამაშებელმა **დავით ბერიშვილმა** დუდუ დადიანის მემორიალი გაიხსენა:

- თბილისის "დინამოსთან" საჩემპიონატო მატჩმა გვიჩვენა, რომ არც ისე ცუდად ვართ მომზადებულნი, როგორც მემორიალის შემდეგ გვეგონა. "სასოფლო" შეკრული გუნდია და იოლ გასეირნებას ნამდვილად არ ველით.

### ქართველი NBA-ში

# ფაჩულია აბობოქრდა:

## 18 ქულა, 9 მოხსნა

**ხომ იცით** რა შეუძლია აბობოქრებულ ტალღას? ჰოდა, იგივე გააკეთა **ზაზა ფაჩულიამ** NBA-ს არაერთგზის ჩემპიონ "დეტროიტ პისტონსთან", 18 ქულა ჩააგდო, 9 მოხსნა მიითვალა და, რაც მთავარია, "ატლანტას" "დეტროიტი" დაამარცხებინა (88:87).

იცით რა იყო ზაზას გაბრაზების მიზეზი? – სასტარტო შემადგენლობიდან სათადარიგოთა სკამზე გადასმა. მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** ახალგამოჯანმრთელებული **მო უილიამსი** "პისტონსთან" სასტარტო შემადგენლობაში დააბრუნა, ხოლო ზაზა ფაჩულია სათადარიგოთა შორის გაამწესა. ამან ქართველ ცენტრზე ძალიან იმოქმედა და მან მატჩში ჩართვისთანავე ხელი მიჰყო ქულა-მოხსნების მოგროვებას. მისი ეფექტური თამაში გუნდისთვისაც სასარგებლო აღმოჩნდა. შემთხვევით როდი ვთქვით, "ატლანტას" ზაზამ მოაგებინაო: დეტროიტელებმა საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე ერთქულიანი უპირატესობა მოიპოვეს (87:86), მაგრამ მატჩის დასრულებას 54 წამი უკლდა, როცა ფაჩულიამ ბურთი მეტოქის ფარზე მოხსნა და კალათში დააბრუნა – 88:87. დარჩენილ დროში ანგარიში არ შეცვლილა.



სხვათა შორის, გასულ კვირას საინტერესო ფაქტი გაიხსენა ზაზას პირველმა მწვრთნელმა **ზურაბ სამხარაძემ**:

- ფაჩულია იმ კატეგორიის ბავშვთა შორის იყო, რომლებსაც მტკიცე ფსიქოლოგია აქვთ და მათთვის მნიშვნელობა არ აქვს მატჩს სათადარიგოთა სკამიდან დაიწყებენ, თუ სასტარტო შემადგენლობაში. ამიტომ, ზაზას ხშირად ხუთეულში არ ვაყენებდი, თუმცა, მოედანზე მალევე შემყავდა და ისიც იმედებს არ მიცრუებდა. ზოგიერთს კი თუ სასტარტოში არ დააყენებ, ჩვეულად ველარ თამაშობს...

...როგორც "დეტროიტის" მატჩმა გვიჩვენა, ფაჩულია ბევრად არ შეცვლილა.

დასაწყისში კი გითხარით, ქართველმა ცენტრმა 18 ქულას 9 მოხსნა შემატა, მაგრამ არ გვითქვამს, რომ მან 9-დან 6 მოხსნა მეტოქის ფარზე მოაგროვა, 12 დან 7 ორქულიანი ჩააგდო, 4-დან 4 საჯარიმო გამოიყენა და ანგარიშზე თითო პასი-ჩაჭრაც გაიფორმა.

მატჩის სნაიპერი "ატლანტას" მეორე სათადარიგო **ფლიპ მიურეი** გახდა. მან 9 მოხსნას 19 ქულა წაამატა.

ზაზა თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.zazapachulia.com) საგამოფენო მატჩებში გუნდის გამოსვლაზე საუბრობს:

*- NBA-ს მორიგი სეზონი მოახლოვდა. ეს ძალიან მახარებს, რადგან სწორედ თამაშებში ჩნდება, ვინ როგორ მოემზადა. აქამდე ჩემი გარჯით უკმაყოფილო არ ვარ, წინასასეზონო მზადებამ კარგად ჩაიარა. თუმცა, საკუთარ თავს მაინც მეტს ვთხოვ.*

*"ატლანტას" გარჯითაც კმაყოფილი ვარ, რადგან გუნდურ თამაშს ვუჩვენებთ, გვაქვს შედეგები და ეს ყველაფერი მაიმედებს, რომ კარსმომდგარ სეზონში "ატლანტა" თავს კარგად წარმოაჩენს.*

*ყოველთვის დიდი პრობლემაა გუნდის ახალი კალათბურთელებთან შეწყობა. ამ მხრივ საქმე კარგად გვაქვს – მორის ევანსი და ფლიპ მიურეი "ჰოქსს" უკვე კარგად მოერგნენ.*

*იმედი მაქვს, რომ მომავალ სეზონში შარშანდელზე უკეთეს კალათბურთს ვუჩვენებთ.*

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

### საქართველოს ჩემპიონატის განაცხადები

# 9 გუნდი და 114 კალათბურთელი

მე-18 პირველობის მონაწილე გუნდების წარმომადგენლებმა კალათბურთის ფედერაციაში განაცხადები შეიტანეს. ვინ სად ითამაშებს და რა სიმაღლისანი არიან, ეს არა მხოლოდ სტატისტიკის მოყვარულთ დააინტერესებს...

შეიძლება გაგიჩნდათ კითხვა, პირველობა ერთი კვირის დაწყებულია და განაცხადებს დაგვიანებით რატომ გვთავაზობთ. საქმე იმაშია, რომ პირველობის დაწყების წინა დღეს ჩემპიონატს დაუბრუნდა "ბათუმი". ამ გარემოებამ ბევრი ცვლილება გამოიწვია. მონაწილე გუნდების ბოლო განაცხადი კალათბურთის ფედერაციაში, დაგვიანებით, გუშინ შევიდა...

გვარის შემდეგ თანმიმდევრულად მითითებულია დაბადების წელი და სიმაღლე.

| თბილავიამშენი | | |
|---|---|---|
| ნოდარ ბერაია | 1986 | 190 |
| ირაკლი ბერიშვილი | 1978 | 180 |
| ლევან მოსეშვილი | 1986 | 195 |
| ირაკლი ხოშტარია | 1976 | 195 |
| გიორგი ნიკოლაძე | 1978 | 185 |
| ბუბა კვიმსაძე | 1982 | 195 |
| ვახტანგ მინაშვილი | 1979 | 200 |
| რიჩარდ მათიაშვილი | 1989 | 207 |
| თორნიკე ნინიაშვილი | 1982 | 205 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | 1976 | 202 |
| გიორგი პირველაშვილი | 1988 | 200 |
| სოსო შერმადინი | 1985 | 207 |
| ანატოლი ბოისა | 1983 | 195 |
| გიორგი ვახანია | 1992 | 185 |

მთავარი მწვრთნელი: ლევან მოსეშვილი
მწვრთნელები: ვაჟა მხეიძე, ვახტანგ მოსეშვილი- მწვრთნელი
გუნდის უფროსი: ლევან ჭალისური

| ბათუმი | | |
|---|---|---|
| ივანე მაისურაძე | 1984 | 190 |
| დავით იმნაძე | 1982 | 208 |
| ლაშა კეშელავა | 1980 | 200 |
| მამუკა ბოლქვაძე | 1983 | 204 |
| გიორგი დოლიძე | 1986 | 194 |
| გიორგი გვაზავა | 1988 | 183 |
| რევაზ ბერიძე | 1986 | 200 |
| არჩილ ჩხატარაშვილი | 1989 | 195 |
| ავთანდილ ელიაშვილი | 1989 | 200 |
| ნიკოლოზ ნოზაძე | 1977 | 185 |
| ვასილ ჩხაიძე | 1991 | 192 |
| ტატო თავართქილაძე | 1991 | 190 |
| გიორგი კვერნაძე | 1989 | 190 |

პრეზიდენტი: ივანე მაისურაძე
ვიცე-პრეზიდენტი: ბადრი შამილაძე
მთავარი მწვრთნელი: გარი არინინი
ასისტენტი: ლაშა ოჩხიკაძე

| სსსსუ | | |
|---|---|---|
| მიხეილ ბერიშვილი | 1987 | 204 |
| გიორგი მარხვაშვილი | 1982 | 190 |
| დავით გვიმრაძე | 1986 | 202 |
| რევაზ ათანელიშვილი | 1986 | 208 |
| ლევან ტყეშელაშვილი | 1983 | 204 |
| მერაბ ბოძოლიშვილი | 1992 | 190 |
| ირაკ. გულისაბედაშვილი | 1988 | 193 |
| ირაკლი ძიძიგური | 1988 | 193 |
| გიორგი ცერცვაძე | 1987 | 202 |
| ტატო ჩაჩიბაია | 1990 | 201 |
| დავით გასიტაშვილი | 1989 | 192 |
| გიორგი თვაური | 1990 | 202 |
| ბექა წივწივაძე | 1989 | 190 |

მთავარი მწვრთნელი: მიხელი კობეშავიძე
ასისტენტი: თეიმურაზ აბულაძე

| დინამო | | |
|---|---|---|
| გივი ბაქრაძე | 1991 | 180 |
| გიორგი ნანიტაშვილი | 1990 | 187 |
| ლექსო ლაფანაშვილი | 1987 | 196 |
| გიორგი კუჭავა | 1986 | 193 |
| ნოდარ სიგუა | 1987 | 189 |
| ვახტანგ ბოლქვაძე | 1987 | 202 |
| გიორგი ხანიაშვილი | 1989 | 195 |
| გიორგი გემაზაშვილი | 1990 | 202 |
| დავით ხიზანიშვილი | 1987 | 202 |
| ზურაბ კორკოტაძე | 1983 | 194 |
| ვახტანგ ქარდაია | 1989 | 205 |
| ირაკლი კობიძე | 1990 | 207 |
| გიორგი ჯიქია | 1989 | 193 |
| ირაკლი დოლიძე | 1986 | 195 |
| ირაკლი სორდია | 1985 | 191 |

მთავარი მწვრთნელი: ზაზა ცაგარეიშვილი
ასისტენტი: დავით თორთლაძე
ასისტენტი: არჩილ ჟღენტი

| თსუ | | |
|---|---|---|
| გიორგი ყველაშვილი | 1981 | 206 |
| ლუკა შანიძე | 1981 | 201 |
| დავით ბარბაქაძე | 1982 | 203 |
| გიგი ბარბაქაძე | 1991 | 203 |
| გიორგი მარკოიშვილი | 1983 | 200 |
| შიო ხეცურიანი | 1983 | 194 |
| შალვა კოხრეიძე | 1986 | 188 |
| ზვიად დეკანოიძე | 1990 | 196 |
| გიორგი გაფრინდაშვილი | 1986 | 190 |
| დავით ბერიშვილი | 1978 | 182 |
| გულივერ ახალკაცი | 1976 | 205 |

მთავარი მწვრთნელი: ნუგზარ ჭეიშვილი
ასისტენტი: ნუგზარ მარკოიშვილი
ფიზმომზადების მწვრთნელი: საშა კვერნაძე

| მაკაბი | | |
|---|---|---|
| ზურაბ ბიბილური | 1998 | 206 |
| ზვიად ანთაძე | 1988 | 196 |
| ნიკა ელიკაშვილი | 1988 | 202 |
| დავით მჭედლიშვილი | 1988 | 190 |
| დავით იოსელიანი | 1991 | 207 |
| ირაკლი ივანეიშვილი | 1989 | 196 |
| ირაკლი ჩლაიძე | 1989 | 200 |
| გიორგი სუდაძე | 1989 | 185 |
| გელა კოპალიანი | 1990 | 200 |
| ნოდარ მეზვრიშვილი | 1990 | 204 |

მთავარი მწვრთნელი: ჯამლეტ ხუხაშვილი
ასისტენტები: ლევან ინწკირველი, ალექსანდრე ფერიაშვილი

| ენერჯი | | |
|---|---|---|
| გიორგი გამყრელიძე | 1986 | 184 |
| ზვიად ბაბიაშვილი | 1978 | 198 |
| ბესიკ ლეჟავა | 1986 | 193 |
| რეზო დიდია | 1987 | 203 |
| ლევან ცეკვავა | 1989 | 189 |
| კოტე ტულუში | 1984 | 191 |
| დავით უგრეხელიძე | 1983 | 208 |
| დავით არწივიძე | 1983 | 176 |
| ჟოლივეტ ტუჯანი | 1980 | 199 |
| მიხეილ ჭოჭუა | 1987 | 193 |

გუნდის დირექტორი: ამირან ხაჩიძე
სპორტული დირექტორი: სოსო არეშიძე
მთავარი მწვრთნელი: დავით უსტიაშვილი
ასისტენტი: მიხეილ ბერუაშვილი

| შსს | | |
|---|---|---|
| ლევან მიქაბერიძე | 1982 | 187 |
| ლაშა არველაძე | 1979 | 181 |
| შალვა ცხვედიანი | 1970 | 200 |
| გრიგოლ გურგენიძე | 1983 | 192 |
| შოთა პატარაია | 1982 | 175 |
| ბექა გოლეთიანი | 188 | 193 |
| ივანე აბულაძე | 1977 | 206 |
| ოთარ ფაიქრიძე | 1985 | 191 |
| ირაკლი ბაქრაძე | 1971 | 194 |
| ბექა ნოზაძე | 1979 | 202 |
| მანუჩარ ნინუა | 1984 | 182 |
| გოჩა კორძაძე | 1983 | 208 |
| გოგი ბერაია | 1979 | 202 |
| ბეჟან ქვილითაია | 1972 | 204 |
| მიხეილ ამაშუკელი | 1983 | 192 |

მთავარი მწვრთნელი: ზურაბ ტომარაძე
მწვრთნელები: პაატა ნუცუბიძე, ზურაბ მიქაძე, კობა კობიაშვილი
გუნდის უფროსი: მამუკა კალანდაძე

| ნტდ-თბილისი | | |
|---|---|---|
| მიხეილ ჩიტაშვილი | 1984 | 193 |
| ლადო სუხიშვილი | 1979 | 205 |
| გიორგი მამაცაშვილი | 1986 | 200 |
| ირაკლი კეიდია | 1983 | 202 |
| ვიქტორ კოლუაშვილი | 1985 | 202 |
| პლასიდე როდუმტა | 1976 | 212 |
| ანარ სარიევი | 1981 | 198 |
| ზაურ ფაშაევი | 1980 | 186 |
| ფუად ნუფთალიევი | 1983 | 185 |
| ტაირ ბახშიევი | 1982 | 200 |
| გიორგი ტეტელაშვილი | 1992 | 188 |
| გიორგი ძარსელაძე | 1990 | 190 |
| გიორგი გლოველი | 1991 | 190 |

მთავარი მწვრთნელი: დავით რიბაშვილი
მწვრთნელი-კონსულტანტი: ნუგზარ კანდელაკი



ხელბურთი

# გაერთიანება ეკონომიისთვის

გუშინ ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში 1990-92 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონატის თბილისური წრე დასრულდა.

როგორც ბოლო მომენტში გაირკვა, ამ ტურნირზე დაკავებულ ადგილებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონია, რადგან ეროვნულ ჩემპიონატში მაინც ის მიიღებს მონაწილეობას, ვისაც საამისო სახსრები აქვს. მაინც აღვნიშნოთ, რომ პირველი ადგილი "ფოთმა" ბოლოსწინა ტურში დაიბევა, მეორეადგილოსანი კი "რუსთავისა" და "სამტრედიის" შეხვედრაში გამოვლინდა, სადაც ქვემოქართლელებმა მოსალოდნელზე იოლად იმარჯვეს.

ეროვნულ ჩემპიონატში, სავარაუდოდ, დამოუკიდებლად იასპარეზებს "ქუთაისი". ნავარაუდევია "სამტრედიისა" და "ფოთის" გაერთიანება და მოზრდილთა პირველობაზე ამგვარად გამოსვლა. იგეგმება "რუსთავის", "ყვარელისა" და "გორის" შეამხანაგება. მათ გაერთიანებულ გუნდს ალბათ, "ქართლი" დაერქმევა. გაერთიანების იდეა, ბუნებრივია, თანხების დაზოგვის მიზნით გაჩნდა.

29 ოქტომბრამდე უფრო კონკრეტულად არაფერი იქნება ცნობილი. შეგახსენებთ, სწორედ ამ დღეს იწურება ეროვნულ ჩემპიონატში სამონაწილეო განაცხადისა და თანხის შეტანის ვადა. თუკი საქართველოს მუდმივი ჩემპიონი სტუ-"შევარდენი" ფინანსური პრობლემების გამო ჩემპიონატში ვერ ითამაშებს, მის ადგილს ჭაბუკთა ლიგის კიდევ ერთი გუნდი დაიკავებს. ქვეყნის პირველობაზე ექვსმა გუნდმა უნდა იასპარეზოს.

| | |
|---|---|
| ძარისხალა-ქუთაისი | 27:25 |
| რუსთავი-სამტრედია | 26:20 |
| ფოთი-გორი | 38:24 |

| | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ფოთი | 6 | 1 | 0 | 13 |
| 2. რუსთავი | 5 | 1 | 0 | 10 |
| 3. ყვარელი | 3 | 2 | 1 | 8 |
| 4. სამტრედია | 4 | 0 | 3 | 8 |
| 5. ძარისხალა | 2 | 1 | 3 | 5 |
| 6. ქუთაისი | 2 | 0 | 5 | 4 |
| 7. გორი | 0 | 0 | 7 | 0 |

ლევან ჯანეზაშვილი

კრივი

# დღეიდან გლდანში

ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი დასკვნითი შეკრება მოკრივეებმა დღეს დაიწყეს. თენგიზ მესხაძე და მისი გუნდი გლდანის კრივის დარბაზში იმყოფებიან. კონტინენტის პირველობას ლივერპული უმასპინძლებს. ტურნირი 5-დან 10 ნოემბრამდე ჩატარდება.

რამდენიმე მოკრივეს ნაკრებში მოხვედრა განაღდებული აქვს, დანარჩენების ბედი კი გლდანში გაირკვევა. რეპორტაჟს მოკრივეთა მზადების შესახებ "ლელოს" უახლოეს ნომრებში შემოგთავაზებთ.

ლევან ჯანეზაშვილი

# ნოკაუტი მეორე რაუნდში

გუშინ ლვოვის ცირკში ხუთი სარეიტინგო ბრძოლა გაიმართა პროფესიონალ მოკრივეებს შორის. ყველაზე დიდ ინტერესს ორი ჩხუბი იწვევდა. მსუბუქ წონაში WBO-ს ვერსიით რეიტინგით მეორე ნომერმა **ანდრეი ისაევმა** (ბელარუსი) ქულებით დაამარცხა **დონერ რახმუტალიევი** (უზბეკეთი). ქვემსუბუქში კი ქართველი **ბექა საჯაია** დაუმარცხებელ უზბეკს, **ალიშერ რაჰიმოვს** შეხვდა. ეს ჩხუბი 10 რაუნდს უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, რაჰიმოვმა მეორე რაუნდშივე ნოკაუტში ჩააგდო საჯაია. მანამდე ქართველმა ორჯერ ნოკდაუნი იგემა. პროფესიულ რინგზე 21 წლის საჯაიამ მე-6 მარცხი იწვნია (16 გამარჯვება), რაჰიმოვისთვის კი ეს მე-18 ბრძოლა მე-18 გამარჯვება იყო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ფარიკაობა

# პირველი ოქრო პირველ დღეს

ტრაბზონში მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი "რესპუბლიკის თასი" მიმდინარეობს. შეჯიბრება საკმაოდ წარმომადგენლობითია – მასში 12 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობენ. ტურნირი იმართება როგორც ვაჟებს, ასევე გოგონებს შორის, ორ ასაკობრივ კატეგორიაში, 1992-93 და 1994-95 წლიანთა შორის.

"რესპუბლიკის თასის" პირველივე დღეს ხმლის დისციპლინაში, უფროს ასაკში ოქროს მედალი მოიპოვა ქუთაისელმა **მიხეილ მარდალეიშვილმა**. ტურნირი კიდევ ოთხ დღეს გასტანს და, იმედია, გამარჯვებულები კიდევ გვეყოლებიან. საქართველოდან თურქეთში 13 მოფარიკავეა წასული და უახლეს ამბებს მათი ასპარეზობის შესახებაც მოგაწვდით.

3 ნოემბერს კი ევროპის იუნიორთა ჩემპიონატზე, რომელსაც ამსტერდამი უმასპინძლებს, ოთხი ქართველი მოფარიკავე გაემგზავრება.

ლევან ჯანეზაშვილი

**მილოცვა**

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავს ვეტერან მოფარიკავეს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, სსრ კავშირის ჩემპიონატების პრიზიორს, საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულს, პირველ სპორტის ოსტატს ქალთა შორის ამიერკავკასიაში ჯულიეტა გიორგაძეს.

ჩოგბურთი

# მარცხი ფინალში

ამ კვირაში ყველა ქართველმა ჩოგბურთელმა დაასრულა ასპარეზობა, ჩვენებურთაგან ყველაზე დიდი მიღწევა ისევ **ლადო ჩიხლაძეს** ჰქონდა. ლადო მაროკოელ **რაბი ჩაკისთან** დუეტში ზედიზედ მეორედ გავიდა „ფიუჩერსის" სერიის ტურნირის ფინალში. თუ ლა რომში მათ ტიტულის მოპოვება შეძლეს, როდეზში ფინალში დამარცხდნენ. ქართულ-მაროკოულ განუთესავ დუეტს ფინალში მე-2 ნომრად განესილი ფრანგული წყვილი დაუპირისპირდა **მატიუ როდრიგესის** (334) და **ჟერემი ბლანდინის** (352) შემადგენლობით. ლადომ და რაბიმ ორ სეტში დათმეს სატიტულო მატჩი – 2:6, 4: 6.

ამ კვირაშიც კარგად იასპარეზა 16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილმა**, რომელმაც მენსფილდის (აშშ) „ფიუჩერსში" ძირითად ბადეში გააღწია. ძირითადი ბადის პირველ წრეში ქართველმა სენსაცია მოახდინა – მე-5 ნომრად განთესილი 26 წლის ამერიკელი **ნიკოლას მონრო** დაამარცხა, რომელიც მსოფლიოს 280-ე ჩოგანია – 6:4, 4:6, 6:3. ნიკა მხოლოდ მერვედფინალში შეაჩერეს, მას ებრაელმა **ამირ ვეინტრაუბმა** (501) მოუგო – 4:6, 6:7 (8). მართალია, ახალგაზრდა ქართველმა ვერ შეძლო ამ ტურნირიდან სარეიტინგო ქულის წამოღება, მაგრამ კიდევ ერთხელ დაანახვა ყველას, რომ წინსვლის უდიდესი პოტენციალი გააჩნია.

ქალთა შორის მხოლოდ **ეკა გორგოძეა** იყო შემორჩენილი კორტებს. 16 წლის გორგოძე სანტ კუგატის (ესპანეთი) ტურნირის (10 ათასი დოლარი) მერვედფინალში იყო გასული, სადაც მე-7 ნომრად განთესილ რუმინელ **დიანა ენაჩეს** (483) ხვდებოდა. სამწუხაროდ, გორგოძემ მატჩი თითქმის უბრძოლველად დათმო და შეჯიბრებას გამოეთიშა – 2:6, 3:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

რაგბი

საქართველოს ჩემპიონატი

# დინამო უმაღლეს ლიგას გამოეთხოვა

**დინამო-ყოჩები 13:64**

დინამო (15-9): **ჯეირანაშვილი, გრუდკო, კვიცინაძე, ბიწაძე, აგიაშვილი (ბარკალაია 10, ხოსიტაშვილი 41), ხვიჩია, კამკამიძე, (1-8) გაგნიძე, სვანიძე, შანშიაშვილი, ანდრეასოვი, ონიანი, როსტომაშვილი, პაპავაძე, რამიშვილი.**

*2ლ: გრუდკო, რამიშვილი. ს: ჯეირანაშვილი.*

ყოჩები (15-9): **გ. კაჭარავა, გეგენავა (მახარაშვილი 570, პ.მაისურაძე (ადანაია 62), გრძელიშვილი, ს. ნიჟარაძე, მალალურაძე, ს. ნიჟარაძე, მალალურაძე, ბეგაძე (ხელაძე 57). (1-8) გ.ნიჟარაძე (კობახიძე 60), ბრეგვაძე, ასეიშვილი (გოგიშვილი 57), ბელაშვილი, თოთაძე, მარგველაშვილი (კიკუაშვილი 57), ცხადაძე, დგებუაძე.**

*10ლ: ს. ნიჟარაძე (2), ბელაშვილი (2), გეგენავა, გ.კაჭარავა, პ.მაისურაძე, ადანაია, გრძელიშვილი, გ.ნიჟარაძე, 7 გ: მალალურაძე.*

მსაჯი: **მ. ჩაჩუა.**

საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრაში გათამაშების ერთ-ერთმა ფავორიტმა „ყოჩებმა" დიდი ანგარიშით - 64:13 სძლია აუტსაიდერ „დინამოს". შედეგად დინამოელებმა ოფიციალურად გაიფორმეს საგზური რანგით უფრო დაბალ, პირველ ლიგაში.

მეტნაკლები წინააღმდეგობა „დინამომ" მატჩის 46-ე წუთამდე გასწია. როცა ანგარიშში სხვაობა 9 ქულამდე შეამცირა. თუმცა მანამდე, ერთი ხანობა, ანგარიში თანაბარიც იყო. პირველი ლელო „ყოჩებმა" მე-4 წუთზე გაიტანა. შეტევა მარცხენა ფრთაზე ვითარდებოდა. ოცდაორმეტრიანი ზონის მისადგომებთან **ლაშა მალალურაძემ** მიმართულება შეცვალა და მარცხნივ, ორის გამოტოვებით, გარემარბ **ირაკლი გეგენავას** გადააწოდა, რომელმაც ლელოში ფაქტობრივად წინააღმდეგობის გარეშე შეაღწია. მალალურაძემ გარდასახვა ვერ გაიტანა-5:0.

„დინამოს" ანგარიშის გასაქვითად ოთხი წუთი დასჭირდა. მათი პირველივე შეტევა ლელოთი დასრულდა. ოცდაორმეტრიან ზონაში დინამოელებმა მორკინლების მოკლე დარტყმებით შეაღწიეს. ჩათვლის მოედანს რომ მიუახლოვდნენ მოლი შეკრეს და რაც უნდა საკვირველი იყოს, ლელო მოლში ჩართულმა გარემარბმა, **ლადო გრუდკომ** გაიტანა. **ვახტანგ ჯეირანაშვილმა** გარდასახვა ვერ გამოიყენა-5:5.

ცხადია, მომხდარს „ყოჩების" რიგებში არეულობა არ შეუტანია. შვიდ წუთში „ყოჩებმა" პირველი ლელოს გატანისას გათამაშებული კომბინაციის იდენტური კომბინაცია გამოიყენეს. ოღონდ ამჯერად შეტევის მიმართულება იყო საპირისპირო. ლელო მარცხენა გარემარბის **სანდრო ნიჟარაძის** ანგარიშზეა. მალალურაძემ ისევ ვერ გარდასახა-10:5.

30-ე წუთზე თავი ისევ სანდრომ გამოიჩინა. მარცხენა ფრთაზე იგი მარტო გაუსწორდა რამდენიმე მოწინააღმდეგეს, ლელოდან ხუთ მეტრში კი, უფრო ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ მეორეხაზელ **დავით ბელაშვილს** გადააწოდა. ამან ლელო ძელებს შორის გაიტანა. ამჯერად გარდასახვა მალალურაძემ ზუსტად დაარტყა - 17:5. ოთხ წუთში დინამოელმა ჯეირანაშვილმა საჯარიმოდან 11 ქულამდე შეამცირა ანგარიში-8:17.

ტაიმის მიწურულს კი „ყოჩებმა" მეტოქის წინააღმდეგობა მოლის გამოყენებით დაძლიეს. ხუთმეტრიანი დერეფნიდან აგორებული მოლი, პირველხაზელმა **გიორგი ნიჟარაძემ** დაასრულა ლელოთი. მალალურაძეს გარდასახვა ისევ გაუცუდდა-22:8.

მეორე ტაიმი „დინამომ" ყოჩაღად დაიწყო. 46-ე წუთზე ისევ მრავალჯერ ნაცადი ხერხით, მოლით დაჯაბნეს მეტოქე. ლელო **ლევან რამიშვილმა** გაიტანა, ჯეირანაშვილმა ვერ გარდასახ-13:22. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ „დინამოს" აღარც ძალა ეყო წინააღმდეგობის გასაწევად და აღარც სათამაშო ოსტატობა. „ყოჩებმა" კი კიდევ ექვსი უპასუხო ლელო გაიტანეს და მატჩი ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს-64:13.

ბესიკ ჯანგავაძე

**დღეს. XIV ტური**

ლოკომოტივი-არმაზი

ლელო-აია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 13 | 10 | 0 | 3 | +278 | 20 |
| 2. ყოჩები | 14 | 10 | 0 | 4 | +124 | 20 |
| 3. ლელო | 13 | 10 | 0 | 3 | +75 | 20 |
| 4. უნივერსიტ. | 13 | 6 | 1 | 6 | -26 | 13 |
| 5. აია | 13 | 6 | 1 | 6 | +12 | 13 |
| 6 .აკადემია | 13 | 6 | 0 | 7 | -70 | 12 |
| 7. არმაზი | 13 | 2 | 0 | 11 | -122 | 4 |
| 8. დინამო | 14 | 2 | 0 | 12 | -271 | 4 |

ჭადრაკი

# ეკვატორზე სიცხემ დაგვცადა

ვიეტნამური ვუნგ ტაუს საჭადრაკო არენაზე, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატი იმართება რვიდან თვრამეტ წლამდე ასაკის გოგონებსა და ვაჟებს შორის, გუშინ მეხუთე ტური გათამაშდა. ეს ის მიჯნაა, როცა იტყვიან, შეჯიბრება ეკვატორს მიუახლოვდაო. შეგახსენებთ, წლევანდელი ასაკობრივი ჩემპიონატი თერთმეტ ტურად ტარდება. ეკვატორზე რომ ძალიან ცხელა, ყველას კარგად მოეხსენება და ამ შემთხვევაში ჟურნალისტური შედარება და არსებული სატურნირო რეალობა ნამდვილად თანხვედრაშია - ვუნგ ტაუში მართლაც გაუსაძლისად ცხელა. კლიმატზე რომ დაიწუწუნეს ქართველმა მოჭადრაკეებმა, გუშინდელ ნომერში მოგახსენეთ,მაგრამ იმედი გამოვთქვით, რომ გაუძლებდნენ უჩვეულო ჰავას და ამ საკითხში აზიელთა უპირატესობას თამაშით გაანეიტრალებდნენ. უმეტესობამ მეხუთე ტურში ეს შეძლო, მაგრამ რამდენიმემ ვერა და ლიდერობაც დაკარგა: თოთხმეტწლამდელებში **მერი არაბიძე** შავებით დამარცხდა ინდოელ **რუთ რადმინისთან, ნათია ჯალაბაძემ** კი ჰოლანდიელი **ლიზა შუთის** წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. არაბიძე ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია, მაგრამ ინდოელს მასზე მეტი რეიტინგი აქვს და წოდებითაც უსწრებს – საერთაშორისო ოსტატია; ნათია ჯალაბაძის მარცხიც გვემცხეთა, რადგანაც მშვენივრად თამაშობს და ფავორიტთა სტატუსსაც იძენდა. არაბიძესაც და ჯალაბაძესაც 3,5-3,5 ქულა აქვთ და ქულანახევრით ჩამორჩებიან ინდოელ რადმინის. სხვაობა სოლიდურია, მაგრამ დავიტოვოთ იმედი, რომ დარჩენილ ექვს ტურში ვითარება ქართველთათვის სასიკეთოდ შეიცვლება.

თორმეტწლამდელებში **ანა შამათავამ** 3 ქულის მოგროვება შეძლო და ცხრილის შუაშია. თექვსმეტწლამდელებში **ნაზი პაიკიძემ** კვლავ გაიმარჯვა, 4 ქულა გაუხდა და ლიდერებს მიუახლოვდა; **ქეთი წაწალაშვილს** კი 3,5 ქულა აქვს. შედეგიან, წაუგებელ სვლას აგრძელებს თვრამეტწლამდელებში **მერი ყორყოლიანი**. მართალია, გუშინ თეთრებით ვერ მოიგო, მაგრამ 4 ქულით ისევ მოწინავე პოზიციებზეა. **მარიამ დანელიას** ბევრი გარჯა მოუწევს ზედა ეშელონებში დასაბრუნებლად 3 ქულა აქვს, თუმც მისი ნიჭიერებისაც გვეიმედება. ათწლამდელებში 6 ტურია ჩატარებული. **ნინო ხომერიკს** საპრიზოსთვის ბრძოლა ალბათ გაუჭირდება - ოთხი ქულა აქვს და ცხრილის მეორე ათეულშია.

ვაჟებში ყველაზე მეტს **ლევან ბრეგაძისგან** მოველოდით, მაგრამ თეთრებით თურქ **მუსტაფა ილმაზს** მხოლოდ ყაიმს გამორჩა და ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამოშორდა. **ლუკა პაიჭაძე** თვრამეტწლამდელებში იბრძვის და გუშინდელი გამარჯვების შემდეგ 3,5 ქულა გაუხდა. **ნოდარ ლორთქიფანიძემ** წააგო და შანსები გაიუარესა –3 ქულა აქვს მხოლოდ. ამდენივე ქულა აქვს თორმეტწლამდელთა შორის **გიგლა ბენიძესაც.**

მეექვსე ტურის შემდეგ დასვენების დღეა.

ზვიდ შათირიშვილი

# ძაგნიძე საკლუბოზე საუკეთესოა

ევროპის საკლუბო ჩემპიონატი ერთ-ერთი გამორჩეული საჭადრაკო ტურნირია. განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობს ვაჟთა შორის, სადაც რამდენიმე ათეული გუნდი ასპარეზობს. წლევანდელ ჩემპიონატში რეკორდულად ბევრმა გუნდმა მოიყარა თავი: ვაჟებში 64 გუნდია, ქალებში -18. ყურადღებას ისიც იპყრობს, რომ მსოფლიოს ლამის ყველა უძლიერესი დიდოსტატი მონაწილეობს. ამჯერადაც ასეა და ვის აღარ ნახავთ აქ... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, რეიტინგის ლიდერის, ბულგარელი **ვესელინ ტოპალოვის** ყოფნაც საკმარისია პრესტიჟისათვის. რახან კლუბების ჩემპიონატია, ერთი ქვეყნიდან რამდენიმე კლუბმაც კი შეიძლება ითამაშოს. სამწუხაროდ, წლევანდელ ჩემპიონატში არც ერთი ქართული გუნდი არ თამაშობს უსახსრობის გამო. ამიტომ ქალთა შორის **ნანა ძაგნიძე** ფრანგულ კლუბ „მონტე კარლოში" თამაშობს; **მაია ჩიბურდანიძე** და **ნინო ხურციძე** კი სომხური „მიკას" ღირსებას იცავენ. იქვეა ვაჟთა შორის საქართველოს საუკეთესო მოჭადრაკე **ბაადურ ჯობავა**.



ნანა ძაგნიძე

მისმა გუნდმა საბოლოოდ მხოლოდ მეთორმეტე ადგილი დაიკავა. სამწუხაროდ, სათანადოდ ვერ ითამაშა ჯობავამ, - მას პრაქტიკა აშკარად აკლდა და ნაკლებშედეგიანობა ამის ბრალია. 30 ოქტომბერს ბაადური ესპანეთში მიემგზავრება და, იმედია, იქ აინაზღაურებს დანაკლისს. სომხებს კიდევ ერთი გუნდი ჰყავდათ ტურნირზე, რომელშიც ჩვენი **დავით არუთინიანიც** ირიცხებოდა; **ნიკოლოზ შავთვალაძე** კი ბერძნული „თესალონიკის" ღირსებას იცავდა. შავთვალაძე წლებია, საბერძნეთში ცხოვრობს და იქაურ გუნდში დიდი ხანია თამაშობს.

ჩემპიონატი საბერძნეთში, ქალაქ კალითეაში გაიმართა. გათამაშების ფორმულა შვეიცარიული იყო, შვიდ ტურად.

ქალთა შორის ჩემპიონი ფრანგული „მონტე კარლო" გახდა, რომელშიც ნანა ძაგნიძე თამაშობდა. ნანას მესამე დაფაზე უწევდა თამაში და ბრწყინვალედაც გაართვა თავი მოვალეობას - შვიდივე შეხვედრაში ითამაშა და 6 ქულა დააგროვა – ხუთჯერ იმარჯვა, ორჯერ კი ქულა გაუყო მეტოქეებს. ეს მაჩვენებელი, ანუ საერთო პერფორმანსი საუკეთესო აღმოჩნდა ქალთა შორის, მესამე დაფაზე კი მცირე ოქროს მედალიც დაისაკუთრა. ნანას გუნდში პირველ დაფაზე ინდოელი **ჰამპი კონერუ** თამაშობდა, მეორეზე შვედი **პია კრამლინგი**, მეოთხეზე პოლონელი **მონიკა სოცკო** და მეხუთეზე ფრანგი **ალმირა სკრიპჩენკო.**

ვაჟთა შორის ჩემპიონი რუსული „ურალ სვერდლოვსკაია" გახდა.

ზვიად შათირიშვილი

კალათბურთი

## ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. I ტური

**A ჯგუფი**

**უნიკახა-ლე მანი 84:79**

21:20, 17:13, 19:20, 27:26

უ: ნდონგი (14+6 მოხსნა), ხთმყომა (13+7 მოხსნა), არჩიბალდი (11+6 მოხსნა), უელში (10).

ლ-მ: ბლუნტენტალი (19), სპენსერი (14), ჩეიზი (13), ბატისტა (10).

**ციბონა-მაკაბი 81:76**

20:17, 16:19, 22:16, 23:24

ც: კუსი (23), მარშალი (20+3 ჩაჭრა), პრკაჩინი (14).
მ: ფიშერი (26+7 მოხსნა), ელიაპუ (14), აროიო (10).

**აველინო-ოლიმპიაკოსი 69:83**

22:14, 12:26, 20:22, 15:21

ა: უორენი (18), ბესტი (14+5 პასი+3 ჩაჭრა), რადულოვიჩი (10).

ო: ჩილდრესი (14+8 მოხსნა), პალპერინი (11), ერცეგი (11+6 მოხსნა), გრირი (10), პრინტეცისი (10).

**B ჯგუფი**

**პანათინაიკოსი-ქალგირისი 78:51**

26:11, 12:19, 27:9, 13:12

პ: დიამანტიდისი (15), პეკოვიჩი (14), ფოცისი (10+6 მოხსნა), ბატისტი (10).

ჟ: ვუდსი (17+16 მოხსნა+3 პასი), სალენგა (11), მაჩიულისი (7+8 მოხსნა).

**მონტეპასკი-პროკომი 80:71**

22:14, 21:22, 19:15, 18:20

მ: დოპირკანტი (15), ლავრინოვიჩი (13+13 მოხსნა), კაუკენასი (13), მაკანტარი (11+7 პასი).
პ: ლოგანი (25+4 პასიმ), ბარელი (15+7 მოხსნა).

**ნანსი-ბარსელონა 54:82**

15:21, 20:20, 10:25, 9:16

ნ: უილსონი (19), სემნიკი (11).
ბ: ილიასოვა (18+12 მოხსნა), ფ. ვასკესი (12), ლაკოვიჩი (9+4 პასი), გრიმუა (9+7 მოხსნა).

**C ჯგუფი**

**ტაუგრესი-ფენერბაჩე 80:70**

19:21, 23:13, 20:18, 18:18

ტ: რაკოჩევიჩი (24), მაკდონალდი (18+8 მოხსნა+5 დაფარება), მიკელი (15+8 მოხსნა), ტელეტოვიჩი (5+10 მოხსნა).
ფ: სმიტი (13+9 მოხსნა), სავაში (11), ბაშაკი (11), თურქჩანი (10+9 მოხსნა).

**ალბა-რომა 68:63**

15:16, 20:24, 15:12, 18:11

ა: მაკილროი (17+9 მოხსნა), პუბი (12+8 მოხსნა), ნაჯფეჯი (12).
რ: და ტომე (13), პათსონი (11), ბრეჟეცი (10).

**ხუვენტუდი-ოლიმპია 81:64**

17:18, 17:13, 25:22, 22:11

ხ: მენსა-ბონსუ (14+9 მოხსნა), მალეტი (11+7 პასი), რიბასი (11), რაიტი (11).
ო: ბეგიჩი (17+7 მოხსნა), ილიევსკი (15), მილიჩი (13).

**D ჯგუფი**

**ცსკა-მილანი 90:64**

22:9, 27:18, 17:16, 24:21

ც: ლენგდონი (18), ცისისი (15), ჰოლდენი (13+5 პასი), ლორბეკი (12+3 ჩაჭრა), შიშკაუსკასი (11+5 პასი).
მ: სოუ (12), ტომასი (12), ჰოუკინსი (11+6 მოხსნა), მორდენტე (11).

**ეფესი-პარტიზანი 61:60**

11:14, 24:10, 14:13, 12:23

ე: ვუიაჩიჩი (17+4 პასი), ტორნტონი (10).
პ: ველიკოვიჩი (16+8 მოხსნა), ლასმე (11+14 მოხსნა+3 ჩაჭრა), ზ. რაკოჩევიჩი (10).

**რეალი-პანიონიოსი 87:66**

26:21, 18:16, 23:15, 20:14

რ: ჰოსლი (17), რეიესი (16+6 მოხსნა), მასი (10), პაპადოპულოსი (6+6 მოხსნა).
პ: გეორგალისი (12), ნიკოლიჩი (12), კენდალი (10+6 მოხსნა).

### მაკდონალდი MVP გახდა

ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის ყველაზე სასარგებლო მოთამაშე ესპანეთის "ტაუგრესის" ცენტრალური თავდამსხმელი **უილ მაკდონალდი** გახდა. ტურნირის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, მან ყველაზე მეტი - 32 პირობითი ქულა დააგროვა.

"ფენერბაჰჩეს" წინააღმდეგ მაკდონალდმა 18 ქულა მიითვალა. თურქული კლუბის ლეგიონერმა თამაშიდან შვიდივე ტყორცნა ჩააგდო, ამას რვა მოხსნა, ორი შედეგიანი პასი, ორი ჩაჭრა და ხუთი დაფარება დაუმატა.

MVP-ისთვის ბრძოლაში მეორე ადგილზე "ციბონას" ფორვარდი **როულ მარშალი** გავიდა (29 ქულა), მესამეზე - "მაკაბის" ცენტრი **დ'ორ ფიშერი** (28 ქულა).

ახალი ამბები

## ლიგა ვიდეოგამეორებებს გამოიყენებს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (NBA) კლუბების მენეჯერთა საბჭომ ახალ სეზონში ვიდეოგამეორებების გამოყენების იდეა მოიწონა. ამ გადაწყვეტილების თანახმად, მსაჯებს მატჩის მსვლელობისას საკამათო ეპიზოდების ვიდეოთი ხილვის საშუალება ექნებათ.

ამ სიახლის საშუალებით, არბიტრები, მაგალითად, იოლად გაარკვევენ - შორეული ტყორცნის მომენტში დააბიჯა თუ არა კალათბურთელმა ფეხი სამწამიანის ხაზს. აგრეთვე მსაჯები შეამოწმებენ სროლის დროს ჯარიმებთან დაკავშირებულ საკამათო ეპიზოდებს. ისინი დააზუსტებენ - დარღვევა შვიდმეტრიანი ხაზის შიგნით იყო თუ გარეთ და ამის მიხედვით დაზარალებულს ორი ან სამი ჯარიმის შესრულების უფლებას მისცემენ.

*"ახალი წესი ძალიან გაუადვილებს საქმეს მსაჯებს, განსაკუთრებით მატჩების ბოლო წამებზე, - ამბობს "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" დამრიგებელი* **ფილ ჯექსონი**. *- სამქულიანის ხაზი 30 წლის წინ შემოიღეს და იქედან მოყოლებული, პერიოდულად წარმოიშობა საკამათო ეპიზოდები იმასთან დაკავშირებით - იყო თუ არა ტყორცნა სამქულიანი ხაზის გარედან".*

ვიდეოგამეორებას კიდევ ერთ შემთხვევაში გამოიყენებენ. მისი მეშვეობით გაირკვევა, უნდა ჩაითვალოს თუ არა საფინალო სირენასთან ერთად ნატყორცნი ბურთი.

## შაკი და გრანტი ორლანდოს უმიზნებენ

NBA-ის ლეგენდარულ ცენტრ **შაკილ ო'ნილსა** და ფორვარდ **გრანტ ჰილს**, რომლებიც ამჟამად "ფინიქსში" თამაშობენ, თავიანთი ყოფილი კლუბის "ორლანდოს" შეძენა აქვთ განზრახული.

*"დიახ, სერიოზულად ვფიქრობ ამაზე. გრანტი ჩემი საუკეთესო მეგობარია. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს "ორლანდოს" მფლობელ რიჩი დევოსთან და მის ოჯახთან. ამიტომაც გრანტს ყოველთვის კლუბის პრეზიდენტად, საკუთარ თავს კი გენერალურ მენეჯერად წარვუდგენ ხოლმე. ამას ყოველთვის ვუსვამ ხაზს, რადგან მაინტერესებს, როგორი რეაქცია ექნებათ დევოსის ოჯახის წევრებს.*

*ჩვენი გეგმების შესახებ "ორლანდოს" აღმასრულებელ დირექტორ ბობ ვენდერსაც მოვუყევი. მან პასუხად გადაიხარხარა, მაგრამ ვიცი, რომ ისინი მოხარულები იქნებიან, თუ ჰილს პრეზიდენტად იხილავენ, მე კი გენერალური მენეჯერის პოსტს ჩამაბარებენ. დარწმუნებული ვარ, ახალ მოვალეობებს თავს კარგად გავართმევ"*, - მოჰყავს შაკის სიტყვები გაზეთ Sacramento Bee-ის.



ჩოგბურთი

## ფედერერი ნადალის ორეულთან ივარჯიშებს



მსოფლიოს მეორე ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** ახალი სეზონისთვის ამერიკელ **ჯესი ლევინესთან** ერთად მოემზადება. ეს ახალგაზრდა პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის რეიტინგში 99-ე ადგილს იკავებს.

"დიდი სლემის" ტურნირების 13-გზის ჩემპიონს ლევინეზე არჩევანი შემთხვევით არ გაუკეთებია – ამერიკელი ნადალის მსგავსად ცაცია გახლავთ.

21 წლის ლევინემ 2008 წლის ზაფხულში უკვე გამართა ფედერერთან რამდენიმე ერთობლივი ვარჯიში. ამერიკელი ჩოგბურთელის სიტყვებით, როჯერისგან ბევრი რამ ისწავლა და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ შვეცარიელი ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეა.

ლევინემ პროფესიული კარიერა 2007 წელს დაიწყო. იქედან მოყოლებული, მან ATP-ის ტურში 27 ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა და ცხრა გამარჯვებას მიაღწია. ჯესის კარიერაში საუკეთესო მაჩვენებლად კლასიფიკაციაში დაკავებული 95-ე ადგილი ითვლება.

როგორც ვარაუდობენ, ლევინემ ფედერერი ნადალთან მატჩებისთვის უნდა მოამზადოს. 2008 წელს როჯერმა ესპანელთან ყველა პრინციპული დაპირისპირება დათმო და რეიტინგის პირველი პოზიცია რაფას გადაულოცა. 2009 წლისთვის ფედერერის მთავარი ამოცანა სწორედ დაკარგული ლიდერობის დაბრუნება იქნება.

## რვიდან ექვსი ცნობილია

ნელ-ნელა იკვეთება მომავალი წლის ჰოფმანის თასის გათამაშების ბადე. ეს ტურნირი ყოველი სეზონის სტარტზე იმართება და ის შერეული ნაკრებების არაოფიციალურ მსოფლიოს ჩემპიონატად არის მიჩნეული. აქ მონაწილე გუნდები თითო ქალი და მამაკაცი ჩოგბურთელებით არიან დაკომპლექტებული.

გუშინ ცნობილი გახდა იტალიის ნაკრების შემადგენლობა. 3-9 იანვარს ავსტრალიის ქალაქ პერტში აპენინელთა ღირსებას **ფლავია პენეტა** და **სიმონე ბოლელი** დაიცავენ.

ბოლელის ნაკრებში მიწვევა მოულოდნელი აღმოჩნდა, ვინაიდან ამ ჩოგბურთელმა ცოტა ხნის წინ დევისის თასზე თამაში იუარა და ფედერაციამ ის კარგა ხნით ჩამოაცილა ნაკრების რიგებს.

უკვე ცნობილია ჰოფმანის რვა მონაწილიდან ექვსი ნაკრების შემადგენლობა. ესენი არიან: ავსტრალია – **კეისი დელაკუა** და **ლეიტონ ჰიუიტი**; საფრანგეთი – **ალიზ კორნე** და **ჟილ სიმონი**; გერმანია – **საბინ ლისიცკი** და **ნიკოლას კიფერი**; სლოვაკეთი – **დომინიკა ციბულკოვა** და **დომინიკ ჰრბატი**, რუსეთი – **დინარა საფინა** და **მარატ საფინი**; იტალია – ფლავია პენეტა და სიმონე ბოლელი.

ფორმულა 1

## ფერარი მართლაც მოუწამლავთ

თითქოს დავიწყებას მიეცა საყოველთაოდ ცნობილი ჯაშუშური სკანდალი, რომელმაც გასულ წელს შეძრა ფორმულა 1-ის სამყარო. მაგრამ გუშინ იტალიიდან მოვიდა ცნობა, რომელმაც, შესაძლოა, ამ ისტორიას ახალი გაგრძელება მისცეს.

იტალიის ქალაქ მოდენას სასამართლომ დაადასტურა, რომ მონაკოს შარშანდელი გრანპრის წინ "ფერარის" წინააღმდეგ საბოტაჟის ფაქტს ჰქონდა ადგილი.

ამ საქმეში მთავარ ეჭვმიტანილად იტალიური საჯინიბოს ყოფილი მთავარი მექანიკოსი **ნაიჯელ სტეპნი** სახელდება. სავარაუდოდ, სწორედ ის არის გარეული თეთრ ფხვნილთან დაკავშირებულ ისტორიაში. გაურკვეველი ნივთიერება მონაკოს გრანპრისთვის მომზადებული "ფერარის" ბოლიდების ავზებში ჩაიყარა.



ესპანური გაზეთი Diario Sport მოდენის სასამართლოს ვერდიქტს აქვეყნებს და წერს, რომ ამ ფხვნილს მართლაც შეეძლო ძრავის მწყობრიდან გამოყვანა ან მისი სიმძლავრის შემცირება.

გაზეთს აგრეთვე მოჰყავს სტეპნის ადვოკატის სიტყვები, რომელიც ამ ბრალდებას გამოგონილსა და უაზროს უწოდებს.

## კანადას დააბრუნებენ?

კანადური გაზეთები ფორმულა 1-ის ბოსის **ბერნი ექლსტოუნისა** და კანადის გრანპრის ორგანიზატორთა ჯგუფის პირველი შეხვედრის შედეგებზე წერენ.

კანადელთა დელეგაციას სათავეში მონრეალის მერი ჟერალდ ტრემბლე ედგა. მისი განცხადებით, შეხვედრა ორ საათს გაგრძელდა და საკმაოდ კონსტრუქციულ ვითარებაშიც ჩაიარა, თუმცა მერმა ისიც დაამატა, რომ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი. ტრემბლეს სიტყვებში მთავარი ის იყო, რომ ჯერ კიდევ არსებობს კანადის გრანპრის 2009 წლის კალენდარში დაბრუნების შანსი.

*"ამ შეხვედრის შემდეგ ჩვენ უკეთ გავიგეთ პრობლემის არსი. წინ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ, რომ 2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის კანადის ეტაპის კალენდარში დაბრუნებას მოვასწრებთ"*, - აცხადებს მერი.

როგორც უკვე ვწერდით, კანადის ეტაპის კალენდრიდან ამოღება იმით იყო განპირობებული, რომ ორგანიზატორებს ბოლო სამი წლის განმავლობაში ფორმულა 1-ის მიმართ უდიდესი ვალი დაუგროვდათ. მაგრამ ტრემბლე ირწმუნება, რომ მისი ჯგუფი უკვე მუშაობს ძველი ვალის დაფარვაზე, ამიტომაც მოლაპარაკებები მხოლოდ 2008 წელს წარმოქმნილ პრობლემებს შეეხებოდა.

ცნობილია, რომ კანადის გრანპრის წყალობით, მონრეალის ბიუჯეტი ყოველწლიურად 100 მილიონი დოლარით იზრდება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ტორონტო 2:4**

2:0, 0:2, 0:2

**გოლები:** 1:0 პ. ბერჟერონი-1 (მტურმი-3, ჰნიდი-1), 2:0 ვილერი-2 (აქსელსონი-4, ა. უორდი-1), 2:1 ვან რინი-1 (ჰაგმანი-1, კულემინი-1), 2:2 ანტროპოვი-4 (სტაიანი-1, პონიკაროვსკი-4), 2:3 სტრალმანი-1 (მური-1, ა. სტინი-2), 2:4 ჰაგმანი-2.

**კოლორადო-ედმონტონი 4:1**

0:0, 3:1, 1:0

**გოლები:** 0:1 პორკოფი-3 (სურეი-4, ჰემსკი-5), 1:1 ლაპერიერი-1 (გიტი-1, ლეოპოლდი-3), 2:1 პ. შჩასტნი-2 (სვატოსი-3, ტაკერი-2), 3:1 მაკლეოდი-3 (ლაპერიერი-2, გიტი-2), 4:1 საკიკი-2 (ტაკერი-3, ვოლსკი-5).

**ფინიქსი-ვაშინგტონი 2:1**

0:0, 0:1, 2:0

**გოლები:** 0:1 ლეიჩი-2 (სიომინი-5, ბექსტრიომი-2), 1:1 ბოედკერი-3 (ო. იოკინენი-6), 2:1 მიულერი-3 (პანტალი-2, იენდლი-3).

**პიტსბურგი-კაროლინა 4:1**

0:1, 0:0, 4:0

**გოლები:** 0:1 სატერი-1, 1:1 კროსბი-2 (მალკინი-10), 2:1 ფედოტენკო-1 (ჯ. სტაალი-3, სიკორა-2), 3:1 ტელბოტი-1 (ტ. კენედი-2), 4:1 მალკინი-3 (კროსბი-9, სკუდერი-1).

**აილენდერსი-დალასი 3:5**

0:3, 1:2, 2:0

**გოლები:** 0:1 ლ. ერიქსონი-2 (რიბეირო-5), 0:2 მოროუ-3 (რიბეირო-6, რობიდასი-5), 0:3 ლ. ერიქსონი-3 (რიბეირო-7), 1:3 გერინი-2 (ბერგენჰაიმი-1, შტრაიტი-3), 1:4 ბერჩი-2 (მოროუ-4, რიბეირო-8), 1:5 რიბეირო-1 (მოდანო-4, მოროუ-5), 2:5 შტრაიტი-1 (პანტერი-1, უეიტი-3), 3:5 სიმი-1 (შტრატი-4, ვერვე-4).

**ნეშვილი-კალგარი 3:5**

0:0, 3:1, 0:4

**გოლები:** 1:0 ზენონი-1 (კლაინი-2, არნოტი-3), 2:0 ტუტუ-1 (სმიტსონი-2, ტარნავსკი-1), 3:0 არნოტი-3 (დუმონი-7, შ. უებერი-5), 3:1 იგინლა-3 (კონროი-1, სერიჩი-1), 3:2 იგინლა-4 (ვანდერმეერი-1, კონროი-2), 3:3 მოსი-2 (ფანოფი-5, უ. პრიმო-2), 3:4 კამალერი-2 (ფანოფი-6, ბოიდი-2), 3:5 იგინლა-5 (რ. ბურკი-3).

**მინესოტა-ბაფალო 3:4 (ო)**

0:1, 2:0, 1:2, 0:1

**გოლები:** 0:1 სტეფორდი-2 (Derek Roy, ვანეკი-3), 1:1 პუიო-2 (ბოოგარდი-2, უელერი-1), 2:1 ვეილო-1 (ბელანჟე-1, ბუშარი-3), 3:1 ბერნსი-1, 3:2 მეირი-2 (პაეტში-1, აფინოგენოვი-5), 3:3 ვანეკი-8 (სეკერა-3, სტეფორდი-1), 3:4 დ. რუა-1 (ტალინდერი-2, ლიდმანი-3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი

# როგე წასვლას არ აპირებს

ბელგიელმა ჟაკ როგემ გადაწყვიტა ხელმეორედ იყაროს კენჭი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტზე.

66 წლის ყოფილმა ქირურგმა და ამჟამად სპორტული სამყაროს მთავარმა ჩინოვნიკმა წერილით მიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებს, სადაც არჩევნებში მონაწილეობის სურვილი დაადასტურა. სოკ-ის პრეზიდენტს 2009 წლის ოქტომბერში აირჩევენ. როგორც ვარაუდობენ, სხვა კანდიდატი არ იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ოლიმპიურ ოჯახს კვლავაც ბელგიელი ფუნქციონერი უხელმძღვანელებს.

როგე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რიგით მერვე პრეზიდენტი 2001 წლის ივლისში გახდა. მან ამ პოსტზე ესპანელი **ხუან-ანტონიო სამარანჩი** შეცვალა. პრეზიდენტის თანამდებობაზე რვაწლიანი მოღვაწეობის ვადა 2009 წელს იწურება და როგეს უფლება აქვს ხელახლა, ოღონდ ამჯერად ოთხი წლის ვადით იყაროს კენჭი.

ბელგიელის პრეზიდენტობის პერიოდში ოთხი ოლიმპიური თამაშები გაიმართა: ზამთრის – სოლტ-ლეიკ-სიტისა (2002) და ტურინში (2006) და ზაფხულის – ათენსა (2004) და პეკინში (2008).

ბოლო შვიდი წლის განმავლობაში როგე ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა დოპინგთან ბრძოლას. მანვე საფუძველი ჩაუყარა პირველ ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებს და როგეს ინიციატივით გაქრა ოლიმპიური პროგრამიდან ორი სახეობა – სოფტბოლი და ბეისბოლი.



ჭადრაკი

# კრამნიკმა კინაღამ მეოთხედ წააგო

ინდოელმა **ვიშვანათან ანანდმა** და რუსმა **ვლადიმირ კრამნიკმა** ყაიმით დაასრულეს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩის მეშვიდე პარტია, რომელშიც თეთრი ფიგურებით აზიელი დიდოსტატი თამაშობდა.

პარტიის მსვლელობისას კრამნიკი კვლავ უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ მეტოქის უზუსტობების წყალობით დაფაზე სიტუაცია გამოასწორა და ანანდთან ნახევარი ქულის გაყოფა მოახერხა.

ამგვარად, შვიდი პარტიის შემდეგ ანგარიშია – 5:2 ინდოელი დიდოსტატის სასარგებლოდ. ანანდმა სამი პარტია მოუგო რუსს, თანაც ორჯერ შავი ფიგურებით.

12 პარტიისგან შემდგარ მატჩში გამარჯვებისთვის დიდოსტატებმა 6-ზე მეტი ქულა უნდა დააგროვონ. ასე რომ, ანანდს ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად 1.5 ქულის მოგროვებაც ჰყოფნის. მატჩის დამთავრებამდე 5 პარტიაა დარჩენილი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

**ინგლისი — I ლიგა**

| | |
|---|---|
| ტრანმერი-კრიუ | 2:0 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| გრიმსბი-ბრედფორდი | 1:3 |

**იტალია — სერია B**

| | |
|---|---|
| ემპოლი-პიზა | 0:3 |
| ტრიესტინა-ალბინოლეფე | 1:1 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი-კიოლნი | 2:0 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ალენი-ფრაიბურგი | 0:3 |
| ფრანკფურტი-ჰანზა | 0:0 |
| ფიურტი-ალემანია | 1:1 |
| ინგოლშტადტი-აუგსბურგი | 1:2 |
| სტ. პაული-ვეენი | 2:0 |

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ვუპერტალი-ვერდერი A | 2:1 |

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| ბაბელსბერგი-ჰანოვერი A | 1:1 |
| ლაიპციგი-მაგდებურგი | 0:1 |

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| ბოხუმი A-ელვერსბერგი | 1:1 |
| კაიზერი A-ოგერშაიმი | 0:0 |
| კიოლნი-A-ლევერკუზენი A | 2:0 |

**საფრანგეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| შატორუ-ბასტია | 2:0 |
| კლერმონი-მონპელიე | 2:1 |
| ნიმი-ბულონი | 0:1 |
| სედანი-დიჟონი | 2:1 |
| ტრუა-გინგამი | 2:2 |
| ვანი-რეიმსი | 1:0 |
| ანჟერსი-ტური | 2:0 |
| ბრესტი-მეცი | 2:1 |
| ლანსი-ამიენი | 2:0 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ჰერაკლესი-დენ ჰააგი | 3:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ემენი-აპელდოორნი | 2:3 |
| ექსელსიორი-ტოპ ოსი | 2:1 |
| დენ ბოში-ეინდჰოვენი | 0:2 |
| დორდრეხტი-ფორტუნა | 3:0 |
| ცვოლე-ვაალვიკი | 1:1 |
| ჰელმონდი-ჰაარლემი | 1:1 |
| მაასტრიხტი-ომნივორლდი | 2:1 |
| როსენდალი-კამბური | 1:2 |
| ვენლო-ვეენდამი | 1:0 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| კორტრიიკი-მუსკრონი | 2:2 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ტროფენსე-აკადემიკა | 0:0 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ჰალმსტადი-სუნდსვალი | 0:0 |
| ერებრუ-გაის | 1:0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ზალცბურგი-კაპფენბერგი | 7:3 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აუსტრია (ლ)-გრატკორნი | 2:1 |
| აუსტრია A-ტიროლი | 4:1 |
| სტ. პოლტენი-ფრენკვალდერი | 2:3 |
| ფოკლაბრუკი-ლუშტენაუ | 1:0 |
| ვინერი-ლეობენი | 8:1 |

**შვეიცარია — ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| კონკორდია-შო-დელ-ფონი | 0:4 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში-შივასი | 1:1 |

**ირლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| სტ. პატსი-ბოჰემიანსი | 1:3 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ქონექსი-უელშპული | 1:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სიგმა-ლიბერეცი | 2:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-უსტმ | 0:1 |
| მოსტი-ტრშინეცი | 2:2 |

**რუსეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანჟი-როსტოვი | 3:2 |
| ნოსტა-მეტალურგი | 0:0 |
| მაშუკი-სკა ენერგია | 1:3 |
| საკ მოსკოვი-დინამო (ბრ) | 3:1 |
| სიბირი-ურალი | 2:0 |
| ვიტიაზი-დინამო (ბარ) | 1:1 |
| ალანია-ზვეზდა | 3:0 |
| კამაზ-ყუბანი | 3:4 |
| სალიუტი-ტორპედო | 4:2 |
| სკა-ბალტიკა | 1:1 |
| ვოლგა-ჩერნომორეცი | 0:2 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| არსენალი-ვორსკლა | 0:0 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| პიასტი-რუხი | 0:0 |
| ბელხატოვი-პოლონია (ვ) | 1:2 |
| იაგელონია-ლეხია | 2:0 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| დებრეცენი-ჰონვედი | 4:1 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| პანდური-ვასლუი | 1:0 |
| არჯესი-პოლიტეხნიკა | 3:0 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| ლოკომოტ. (მ)-ლოკომოტ. (ს) | 4:0 |
| სპარტაკი-ბოტევი | 0:0 |

## კალათბურთი

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ჯაიანტსი-ბრაუნშვაიგი | 63:68 |
| ტრირი-ბროზე | 68:79 |
| ტუბინგენი-ბონი | 74:75 |
| კიოლნი-გისენი | 86:81 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ბეზანსონი-რუანი | 80:96 |

## ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ტრაქტორი-ამური | 2:2 |
| ნეფტეხიმიკი-აკ ბარსი | 4:1 |
| მვდ-მეტალურგი (მ) | 4:2 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ზალცბურგი-ალბა | 2:0 |
| კლაგენფიურტი-გრაცი | 5:1 |
| ლინცი-ვილახი | 4:5 |
| ოლიმპია-ინსბრუკი | 4:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 4:2 |
| ჰანოვერი-აუგსბურგი | 4:3 |
| კასელი-კიოლნი | 2:3 |
| კრეფელდი-დიუსელდორფი | 4:4 |
| მანჰაიმი-აისბარენი | 5:2 |
| ნიურნბერგი-იზერლონი | 4:1 |
| შტრაუბინგი-დუისბურგი | 4:2 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ფრედერიკშავენი-ოდენსე | 1:4 |
| ჰერნინგი-სიონდერილი | 5:2 |
| ესბერგი-ჰერლევი | 4:0 |
| ოლბორგი-ნორდსილანდი | 5:5 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-ნიტრა | 7:2 |
| ჟილინა-ზვოლენი | 3:2 |
| მარტინი-კეჟმაროკი | 4:1 |
| მიკულაში-სკალიცა | 4:3 |
| კოშიცე-ტრენჩინი | 2:3 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ლუკო-კერპეტი | 5:1 |
| იუვიასკიულა-ტპუ | 5:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ჟლინი-ზნოიმო | 3:2 |
| ბუდეიოვიცე-პლზენი | 4:4 |
| კარლოვი ვარი-ლიტვინოვი | 1:2 |
| პარდუბიცე-კლადნო | 2:2 |
| სპარტა-ტრშინეცი | 2:2 |
| სლავია-ვიტკოვიცე | 3:4 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| დავოსი-ფრიბურგი | 4:2 |
| ჟენევა-ბლი | 4:2 |
| კლოტენი-ბერნი | 1:1 |
| ლანგნაუ-რაპერსვილი | 4:1 |
| ცუგი-ლუგანო | 2:2 |
| ციურიხი-ამბრი | 4:1 |

## ხელბურთი

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| რედბერგიდსი-ისტადი | 40:29 |
| ტუმბა-გუიფი | 26:27 |

## ჩოგბურთი

**ATP. ბაზელი**

| | |
|---|---|
| ნალბანდიანი-ბეკერი | 7:6, 6:4 |
| დელ პოტრო-ანდრეევი | 6:4, 7:5 |
| ბლეიკი-ფ. ლოპესი | 4:6, 6:7 |
| ფედერერი-ბოლელი | 6:2, 6:3 |

**ATP. ლიონი**

| | |
|---|---|
| როდიკი-სიოდერლინგი | 6:7, 6:7 |
| სიმონი-უანა | 6:3, 7:5 |
| ცონგა-ფერერო | 7:6, 6:1 |
| ბენეტო-დარცისი | 6:3, 6:2 |

**ATP. სტ. პეტერბურგი**

| | |
|---|---|
| ვერდასკო-შუტლური | 7:5, 6:2 |
| ზვერევი-გოლუბევი | 7:6, 4:6, 6:7 |
| ჰანესკუ-ელგინი | 6:1, 6:4 |
| მიურეი-ტიპსარევიჩი | 7:6, 7:5 |

**WTA. ლინცი**

| | |
|---|---|
| პეტროვა-ა. რადვანსკა | 3:6, 2:6 |
| ზვონარევა-კორნე | 7:5, 6:1 |
| ივანოვიჩი-პენეტა | 6:4, 6:4 |
| ბარტოლი-ა. ბონდარენკო | 6:3, 5:7, 6:1 |

**WTA. ლუქსემბურგი**

| | |
|---|---|
| ნა ლი-ბენეშოვა | 6:4, 4:6, 6:2 |
| ჰანტუხოვა-კირსტეა | 6:7, 2:6 |
| ვოზნიაჩკი-მედინა გარიგესი | 6:1, 7:6 |
| დემენტიევა-მორესმო | 6:4, 6:0 |

TV სპორტი

## 25 ოქტომბერი. შაბათი

**I არხი**

14:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ლოკომოტივი-გაგრა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:20 სასტვენი.
07:50 საფეხბურთო კლუბი.
08:40 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
09:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 საფეხბურთო კლუბი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-კიოლნი.
14:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
14:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
14:55 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
16:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
17:25 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-ჰალი (LIVE).
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:25 ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მიდლსბრო (LIVE).
22:25 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვოლფსბურგი.
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ალმერია (LIVE).
02:00 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მანჩესტერ იუნ.
03:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. რენი-ლე მანი.
04:40 ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მიდლსბრო.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:05 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. 1/4. რივერ პლეიტი-ჩივასი.
08:50 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
08:55 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ციბონა-მაკაბი.
10:35 სპორტკლუბი.
11:40 ცურვა. მსოფლიოს თასი. სიდნეი. ავსტრალია (LIVE).
14:00 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
14:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
17:00 სპორტის სამყარო.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვოლფსბურგი (LIVE).
18:30 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო – სერია A-ს მიმოხილვა.
19:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მიდლსბრო (LIVE).
22:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ტორინო (LIVE).
00:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ნიუ ჯერსი (LIVE).
02:45 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
02:15 სპორტკლუბი.
03:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-სან ხოსე (LIVE).
05:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
05:35 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
06:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური. გალათასარაი-ოლიმპიაკოსი.

**EUROSPORT**

10:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. იაპონია.
11:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
11:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
12:30 მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალენსიას გრანპრი. პრაქტიკა. ესპანეთი.
13:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
14:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
15:00 მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალენსიას გრანპრი. კვალიფიკაცია. ესპანეთი (LIVE).
18:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ლინცი. ავსტრია (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
20:30 რალი. ახალი სერია IRC. შვეიცარია.
21:00 სნუკერი. მსოფლიოს სესია. I დღე. პოლონეთი.
22:00 სნუკერი. მსოფლიოს სესია. I დღე. პოლონეთი (LIVE).
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.
03:00 სნუკერი. მსოფლიოს სესია. I დღე. პოლონეთი.

## 26 ოქტომბერი. კვირა

**იმედი**

00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბილბაო (LIVE).

**I არხი**

14:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).
16:15 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:30 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვოლფსბურგი.
09:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ბოლტონი.
11:10 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მანჩესტერ იუნ.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ალმერია.
15:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-მონაკო.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ლივერპული (LIVE).
18:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-არსენალი (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ატლეტიკო (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბილბაო (LIVE).
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:10 არგენტინის ჩემპიონატი. რასინგი-სან ლორენსო.
03:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ლივერპული.
05:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-პსჟ.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მანჩესტერ იუნ.
10:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
11:10 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
11:40 ცურვა. მსოფლიოს თასი. სიდნეი. ავსტრალია (LIVE).
13:40 მინი-მოედანი
13:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ალმერია.
15:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ნიუ ჯერსი.
17:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ლივერპული (LIVE).
19:30 სპორტის სამყარო.
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ატლეტიკო (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბილბაო (LIVE).
01:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ჯენოა.
03:40 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ალმერია.
05:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ნიუ ჯერსი.
07:20 ფეხბურთელთა ცხოვრება.
07:45 მინი-მოედანი

**EUROSPORT**

10:15 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. ოკაიამა. იაპონია (LIVE).
11:15 მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალენსიას გრანპრი. კვალიფიკაცია. ესპანეთი.
11:45 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. ოკაიამა. იაპონია (LIVE).
12:45 მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალენსიას გრანპრი. ესპანეთი (LIVE).
13:45 მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალენსიას გრანპრი. 125 კ. სმ. ესპანეთი (LIVE).
15:00 მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალენსიას გრანპრი. 250 კ. სმ. ესპანეთი (LIVE).
16:15 მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალენსიას გრანპრი. მოტოგრანპრი. ესპანეთი (LIVE).
18:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
20:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ლინცი. ავსტრია.
22:00 ავტომოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
22:30 სნუკერი. მსოფლიოს სესია. II დღე. პოლონეთი (LIVE).
03:00 პროფესიული კრივი.
04:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ლუქსემბურგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

ჰაინეკენის თასი

# ევროპული ელიტა

**ცოტა ხნის წინ დაწყებულმა ჰაინეკენის თასმა ორტურიანი დისტანცია განვლო და სანაკრებო ტესტმატჩების მიზეზით, თვეზე მეტი ხნით გამოაცხადა პაუზა.**

**აქამდე ჩვენ ამ პრესტიჟული ტურნირის მხოლოდ ტექნიკურ შედეგებს განვდიდით. დღეს კი წარმოდგენას შეგიქმნით რაგბისეულ "ჩემპიონთა ლიგაზე", ვისაუბრებთ მის ფავორიტებზე, ვარსკვლავებსა და ტურნირზე დამკვიდრებულ წესებზე.**

## აფიშა

ჰაინეკენის თასი ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირია, დაახლოებით იმ დონის, რასაც ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგა წარმოადგენს. თუმცა ჯერჯერობით იქ მხოლოდ ექვსი ევროპული ჩემპიონატის – ინგლისის, ირლანდიის, უელსის, საფრანგეთის, შოტლანდიისა და იტალიის გუნდები თამაშობენ. ექვს ჯგუფში ოთხ-ოთხი გუნდი ირიცხება. ჯგუფების გამარჯვებულები და ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი გაზაფხულზე მეოთხედფინალში ითამაშებენ. 2009 წლის 23 მაისს ედინბურგის "მიურეიფილდზე" თასის ახალი მფლობელის ვინაობა გაირკვევა.

ტურნირის 13-წლიანი ისტორიის განმავლობაში აქ ყველაზე უკეთ ინგლისური კლუბები გამოდიან, რომლებმაც ექვსჯერ შეძლეს საპატიო თასის მოგება. გამარჯვებების რაოდენობით რეკორდსმენად ფრანგული "ტულუზი" ითვლება – ის სამჯერ დაესაკუთრა ჰაინეკენის თასს.

## ფავორიტები

წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი ირლანდიის "მანსტერია", რომელიც თასის მოქმედი მფლობელიც გახლავთ. ამ გუნდის აღიარებულ ლიდერად ირლანდიის ნაკრების წევრი **რონენ ო'გარა** ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ კლუბის ბოლოდროინდელი წარმატებების სულისჩამდგმელმა, მთავარმა მწვრთნელმა **დიკლენ კიდნიმ** ირლანდიის ნაკრები ჩაიბარა, "მანსტერის" შანსები მაინც მაღალია. სხვათა შორის, მანსტერის პროვინციის კლუბმა ბოლო სამი წლის განმავლობაში ორჯერ დაისაკუთრა ჰაინეკენის თასი.

კიდევ ერთი ფავორიტია "ტულუზი", რომელმაც გასულ სეზონში ფინალამდე მიაღწია, მაგრამ "მანსტერთან" წააგო. ორი ინგლისური კლუბი – "უოსპსი" და "ლესტერი" შეეცდება ამ დუეტისთვის კონკურენციის გაწევას. ამ გუნდების ანგარიშზე ჰაინეკენის თასზე ორი-ორი გამარჯვება მოდის.

## პრეტენდენტები

იმ კლუბებს შორის, რომლებმაც შეიძლება ვერ მოიპოვონ მთავარი ჯილდო, მაგრამ რომელიმე ფავორიტი გაამწარონ – "კარდიფი", "ბეტი", "თვიქნემი", "პერპინიანი", "ოსპრეისი", "ლეინსტერი" შედიან. სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა უკვე შეუქმნა პრობლემები ინგლისურ "უოსპს", როცა ეს გუნდი მეორე ტურში დაამარცხა.

რაც შეეხებათ შოტლანდიისა და იტალიის გუნდებს, მათ მეოთხედფინალში გასვლაც წარმატებად ჩაეთვლებათ.

## სიკვდილის ჯგუფი

ყველაზე თანაბარი ძალის მეტოქეები მესამე ჯგუფში შეიკრიბნენ – აქ არიან ინგლისის "ლესტერი", უელსის "ოსპრეისი", საფრანგეთის "პერპინიანი" და იტალიის"ტრევიზო". უფრო მეტი შანსი ინგლისელებს აქვთ, მაგრამ "ლესტერის" ფავორიტობას არ შეურიგდებიან უელსელები და ფრანგები. "პერპინიანის" მთავარი იმედები ახალი ზელანდიის ნაკრების ლიდერ **დენი კარტერს** უკავშირდება, რომელმაც ფრანგულ კლუბთან ნახევარწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

"ოსპრეისის" შემადგენლობაში წლის საუკეთესო მოთამაშის ტიტულზე ნომინირებული ერთბაშად ორი მორაგბე ირიცხება – **რაიან ჯონსი** და **შეინ უილიამსი**. ასე რომ, სპეციალისტები ამ ჯგუფში დიდ ბრძოლებს ელიან.

## ვარსკვლავები

ჰაინეკენის თასზე გულშემატკვირებს უამრავი ვარსკვლავის ხილვის საშუალება აქვთ. მათ შორის ყველაზე კაშკაშა უკვე ნახსენები დენ კარტერია, რომელმაც ზელანდიის ნაკრებში ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა და წლის საუკეთესო მორაგბის ტიტულზეც სერიოზულ და სამართლიან პრეტენზიას აცხადებს. ზელანდიელი ჰაინეკენის თასზე თავის პირველ შეხვედრას დეკემბერში ჩაატარებს.

აქვეა სამხრეთი ნახევარსფეროს კიდევ ერთი ვარსკვლავი – ავსტრალიელი **როკი ელსომი**, რომელმაც ცოტა ხნის წინ დასრულებულ სამი ერის თასის გათამაშებაზე გაიბრწყინა.

ამათ გარდა, გულშემატკვირებს შეუძლიათ თვალი ადევნონ **დენი სიპრიანის** (ინგლისი, "უოსპსი"), **ფელიპე კონტეპომის** (არგენტინა, "ლეინსტერი"), **მარკ გასნიეს** (ავსტრალია. "სტად ფრანსე"), **რონენ ო'გარასა** (ირლანდია, "მანსტერი") და სხვა დიდი ოსტატების თამაშს.

## ციტატა

*"ჰაინეკენის თასის მატჩების წინ გუნდში ყოველთვის ჩხუბს ვაწყობთ ხოლმე"*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა "უოსპსის" მწვრთნელმა **შონ ედვარდსმა** პირველი ტურის მატჩის წინ **დენი სიპრიანისა** და **ჯოშ ლუისის** შორის მომხდარ ჩხუბს.

## ციფრი

ირლანდიელ რონენ ო'გარას ჰაინეკენის თასზე ("მანსტერის" შემადგენლობაში) ჯამში 968 ქულა აქვს დაგროვილი. მისმა გუნდმა ევროთასზე 93 შეხვედრაში 65 გამარჯვებას მიაღწია.

თასით მარცხნივ რონენ ო'გარა




რიჩი მაკოუ და დენ კარტერი



# ინგლისი და ზელანდია ჰილარის თასზე იბრძოლებენ

29 ნოემბერს თვიქნემში დიდი რაგბი იმართება – ინგლისის ნაკრები ახალ ზელანდიას მასპინძლობს. შეხვედრის ორგანიზატორებმა ახალი ტურნირის რანგში გადაწყვიტეს მომავალი მატჩის ჩატარება. გუნდები ერთმანეთს შეებრძოლებიან თასისთვის, რომელსაც ევერესტზე პირველად ასული სერ **ედმუნდ ჰილარის** სახელი მიენიჭა. ზელანდიელმა ჰილარიმ ნეპალელ **თენსინგ ნორგეისთან** ერთად 1953 წელს დაიპყრო პლანეტის უმაღლესი მწვერვალი. ლეგენდარული ალპინისტი წელს, იანვარში გარდაიცვალა.

*"ორივე გუნდისთვის დიდი პატივი იქნება ასეთ ტურნირში მონაწილეობა. ახალ ზელანდიაში დიდი დრო გავატარე და ვიცი, რა პატივისცემით ეპყრობიან იქ სერ ედმუნდ ჰილარის. მაგრამ იმავეს თქმა დიდ ბრიტანეთზეც შეიძლება. ამიტომაც ამ თასის მოპოვებას ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება"*, - განაცხადა BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარტინ ჯონსონმა**.

■ ■ ■

ნოემბერ-დეკემბერში ზელანდიას საერთო ჯამში ხუთი ტესტმატჩის ჩატარება მოუწევს. მომავალი შეხვედრების შესახებ თავისი აზრი გამოთქვა "ოლ ბლექსის" კაპიტანმა **რიჩი მაკოუმ**. მანვე კომენტარი გააკეთა თანაგუნდელ **დენ კარტერის** ევროპაში გადაბარგებასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ თავად არ აპირებს იმავე გზის გამეორებას.

- *"იმითაც კმაყოფილი ვარ, რასაც ახლა ვაკეთებ და ჯერჯერობით არ ვფიქრობ ევროპაში გადასვლას. მაგრამ თუ "პერპინიანში" წასული დენ კარტერი რამდენიმე თვის შემდეგ მეტყვის, რომ ღირს ასეთი ნაბიჯის გადადგმა, მაშინ შეიძლება დავფიქრდე.*

*დენის 18 თვე შესვენების გარეშე მოუწევს თამაში. ამ დროის გასვლის შემდეგ საინტერესო იქნება მისი შთაბეჭდილებების მოსმენა. არ მგონია, რომ პირადად ჩემთვის წელიწად-ნახევარი რაგბის შეუსვენებლად თამაში სწორი გადაწყვეტილება იყოს. თუ სიმართლე გაინტერესებთ, ჯერჯერობით ამისთვის მზად არ ვარ.*

*ხუთი ამხანაგური მატჩი ხუთი კვირის განმავლობაში – ეს ძალიან რთულია. ნაკრების 35-ივე მოთამაშის გამოყენება დაგვჭირდება ამ დიდი გზის გასავლელად. ყოველ თამაშს სხვადასხვაგვარი გამოწვევა ექნება. არც ერთი თამაშის გამოყოფა არ მინდა, მაგრამ ერთს გეტყვით – თვიქნემში იოლი მატჩი არასოდეს ჩამიტარებია"*, - ამბობს მაკოი.

# ავსტრალიამ ჯორჯ სმიტი გამოარჩია

ავსტრალიაში რაგბის სეზონის შედეგები შეაჯამეს და წლის საუკეთესო მოთამაშეები გამოავლინეს. ქვეყნის საუკეთესო მორაგბის ტიტული ავსტრალიის ნაკრების მოთამაშემ **ჯორჯ სმიტმა** დაიმსახურა – მან კარიერაში მეორედ მოიგო **ჯონ ილსის** მედალი.

ხმის მიცემის პროცედურა ნაკრების მორაგბეებს შორის ჩატარდა. სმიტმა 205 ხმა დააგროვა და გაუსწრო, შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილებზე გასულ **უაიკლიფ პალუსა** (184 ხმა) და **მეტ ჟიტოს** (183). ჯორჯ სმიტმა პირველად ამ გამოკითხვაში 2002 წელს გაიმარჯვა.

*"ბედნიერი ვარ ამ ჯილდოს მეორედ მოგებით. წელს ამას ნამდვილად არ ველოდი. ჩემი აზრით, პალუ და ჟიტო ამ სეზონში ბრწყინვალედ თამაშობდნენ"*, - განაცხადა სმიტმა.

გულშემატკივრების ვერსიით, ავსტრალიის საუკეთესო მოთამაშე **როკი ელსომი** გახდა, ხოლო წლის საუკეთესო ახალბედად **პიტერ ჰაინსი** დასახელდა.



გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა